საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№30 (548)
12 - 18 აგვისტო, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## ვინმემ იცით, როგორია საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგია? გაგვიმხილეთ, თუ ღმერთი გწამთ

10

# ფარული გათურქება



## რომელსაც მეგობრად გამოცხადებული ისტორიული მტერი ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს

3



თამარ კიკნაძე:

## დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პათოსიდან მხოლოდ ხსოვნაზე გადავედით

4



გურამ ნიკოლაიშვილი:

## საქართველო თავისი პოლიტიკური კურსითა და ორიენტაციით საფრთხეა საკუთარი თავისთვის

2




## ევროასოციაციის მტარვალი სახე — დაკანონებული ლექიანობა

6



## დასავლური ცხოვრების წესი — თავნება, ფესვებს მოწყვეტილი სასტიკი თაობა

7



21

## MI6-ის ხელმძღვანელად დიდი თურანის მომხრე რიჩარდ მური დანიშნეს



## გამოიწვევს თუ არა Italexit-ს «მზრუნველი» ევროკავშირის დირექტივები

15

## ქართული კოვზი ამერიკულ ნაცარში

8



ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„კარგი იქნებოდა, ჟურნალისტებმა ბატონ პრემიერს დაუსვან შეკითხვა, რას ფიქრობს ნატოს წევრობაზე ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე. ვიცი, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც პირად საუბრებში ამბობენ, რომ მოცემულ ვითარებაში ეს დასაშვებია. საინტერესოა, მთავრობის მეთაური რა აზრისაა ამ ყველაფერზე“.**



გურამ ნიკოლაიშვილი:

# საქართველო თავისი პოლიტიკური კურსითა და ორიენტაციით საფრთხეა საკუთარი თავისთვის

**საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი გახარიამ 2008 წლის აგვისტოს ომზე მედიასთან გაკეთებულ კომენტარში ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ კურსზე ისაუბრა და განაცხადა, რომ, მიუხედავად რიგი სირთულეებისა, რომლებიც თავისთავად გარკვეულ დაბრკოლებას წარმოადგენდა, საქართველო თავის ისტორიულ არჩევანთან უპრეცენდენტოდ ახლოსაა. მისი თქმით, ამ გზაზე ქვეყანამ ყველა გამოწვევას ღირსეულად გაუძლო (კი, აბა რა, ძალიან ღირსეულია, რომ ტერიტორიები დავკარგეთ და ქვეყნის მოსახლეობა განახევრდა, ეკონომიკა გაგვანადგურებინეს და ევროპა-ამერიკის ყურმოჭრილ მონებად გვაქციეს. მონობა გამორჩეულად ღირსეული მდგომარეობაა) და საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ალიანსის წევრობისთვის მზად არის. გამოსვლისას პრემიერმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ სწორ პოლიტიკას დასავლელი პარტნიორები სათანადოდ აფასებენ, რაც ბოლო პერიოდში ამერიკელი კონგრესმენების მიერ გავრცელებულ მხარდამჭერ განცხადებებშიც ნათლად გამოჩნდა. თუმცა პრემიერს არ განუმარტავს, კონკრეტულად რაში ჩანს და აისახება ვაშინგტონის მხარდაჭერა საქართველოსადმი, ან რა ნაბიჯები შეიძლება გადაიდგას მომავალში, რომ მათ მიერვე გამოგონილი "რუსული საფრთხისგან" ქვეყანა მეტ-ნაკლებად დაცული იყოს...**

**ცნობისთვის:** ამერიკის შეერთებული შტატების „რესპუბლიკელმა“ კონგრესმენმა **ადამ კინზინგერმა** რამდენიმე დღის წინათ გამართულ საერთაშორისო ონლაინკონფერენციაზე განაცხადა, რომ დროა, საქართველო ნატოს სრულუფლებიანი წევრი გახდეს. აღნიშნულ გამოსვლას ხელისუფლებაში მაშინვე მოჰყვა აღტკინებული აჟიოტაჟი, მაგრამ მედიაში ნაკლებად გაშუქდა განცხადების ის ნაწილი, რომელშიც კონგრესმენი ამბობს, რომ ტერიტორიების ერთი მესამედის ოკუპაცია არ უნდა გახდეს შემაფერხებელი ფაქტორი ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის. აი, ამ ფონზე გვიცხადებს პრემიერი, რომ საქართველო თავის ისტორიულ არჩევანთან უპრეცენდენტოდ ახლოსაა...

**რას ნიშნავს დღევანდელ ვითარებაში პრემიერის განცხადება ნატოს წევრობისთვის საქართველოს სრულ მზადყოფნაზე და რას ნიშნავს ამ ყველაფრის ფონზე კინზინგერის მინიშნება, რომ „ოკუპაცია ინტეგრაციის შემაფერხებელი არ უნდა იყოს“? ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გენერალ-ლეიტენანტი გურამ ნიკოლაიშვილი გვესაუბრება.**

**— ბატონო გურამ, პრემიერმა გახარიამ ამას წინათ მედიასთან განაცხადა, რომ საქართველო, როგორც არასდროს, მზადაა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობისთვის, რასაც, თურმე, ჩვენი დასავლელი პარტნიორებიც ხედავენ და აფასებენ. თავის მხრივ, დასავლეთის გარკვეული პოლიტიკური წრეები, ძირითადად, დესტრუქციული პოლიტიკური ჯგუფები, უკვე მერამდენედ გვეუბნებიან, რომ ინტეგრაციაზე აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე უნდა ვიფიქროთ. ახლახან კინზინგერმაც გააკეთა მსგავსი განცხადება. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე, რა პოლიტიკური გათვლა შეიძლება იყოს ამის უკან და რას მოგვიტანს ეს ჩვენ?**

— ვფიქრობ, ის რიტორიკა, რომ თურმე საქართველო დღითიდღე სულ უფრო ახლოსაა ნატოსთან და ეს ხელისუფლების მიერ განხორციელებული სწორი პოლიტიკის შედეგია, ყველაფერთან ერთად, ამ ხელისუფლების სისუსტისა და უუნარობის ერთგვარ ინდიკატორადაც იქცა. რას ვგულისხმობ? — იმას, რომ, მიუხედავად ამ პროპაგანდის უშედეგობისა, შიდა მოხმარების თვალსაზრისით, **მმართველ გუნდს სხვა უფრო ოპტიმალური სათქმელი აღარ დარჩა ხალხისთვის. ეს, არც მეტი, არც ნაკლები, იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება პოლიტიკურად გაკოტრებულია და არა მხოლოდ ხელისუფლება, მთლიანად ის სპექტრი, რომელსაც, უკვე 15 წელია, ერთგვარი დოღი აქვს გამართული ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ სწრაფვის ერთგულების გზაზე.** რაც შეეხება კონკრეტულად პრემიერის განცხადებას ალიანსის წევრობისთვის საქართველოს სრულ მზადყოფნაზე, მან უკვე მერამდენედ „ახარა“ საზოგადოებას, რომ საქართველო, როგორც არასდროს, ახლოსაა ნატოსთან და, დღეს თუ არა, ხვალ აუცილებლად მიგვიღებენ. ჯერ ერთი, **გახარია მთავრობის მეთაურია და, სულ ცოტა, უნდა ესმოდეს, რომ მის ნებისმიერ სიტყვას განსაკუთრებული პოლიტიკური დატვირთვა აქვს, მეორე — შეიძლება, ამხელა თანამდებობის პირი განცხადებას ისე აკეთებდეს, რომ ერთი არგუმენტიც არ მოჰყავდეს?!** დაასახელონ თუნდაც ერთი სტატისტიკური მონაცემი, რომელიც ცხადყოფს, რომ წინსვლა გვაქვს, ვთქვათ, თავდაცვისუნარიანობის ან შეიარაღების გაუმჯობესების კუთხით... ყველა კომპონენტში სრული რეგრესია და რომელ მზადყოფნაზეა საუბარი?! სხვათა შორის, **ის რიტორიკა, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი, გვესმის 1994 წლიდან, როცა ამოქმედდა პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. აი, იმ პერიოდიდან გვპირდებოდნენ ამერიკელები, რომ 1998 წლამდე, დიდი-დიდი, 2000-მდე, ალიანსში მიგვიღებდნენ, მაგრამ მერე როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ ვიცით. ჯერ ის მოიმიზეზეს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები იყო აქ განლაგებული; შემდეგ, ბაზები რომ გავიდა, გვეუბნებოდნენ, დემოკრატიული რეფორმებია გასატარებელიო; შემდეგ — თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაატაროთო. მოკლედ, დაპირება დაპირებად დარჩა, მისი არშესრულების საბაბები კი არ დაილია.**

**«რიტორიკა, რომ ჩვენ აუცილებლად გავხდებით ნატოს წევრი, გვესმის 1994 წლიდან, როცა ამოქმედდა პროგრამა «პარტნიორობა მშვიდობისთვის». აი, იმ პერიოდიდან გვპირდებოდნენ ამერიკელები, რომ 1998 წლამდე, დიდი-დიდი, 2000-მდე, ალიანსში მიგვიღებდნენ, მაგრამ მერე როგორც განვითარდა მოვლენები, ყველამ ვიცით. ჯერ ის მოიმიზეზეს, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები იყო აქ განლაგებული; შემდეგ, ბაზები რომ გავიდა, გვეუბნებოდნენ, დემოკრატიული რეფორმებია გასატარებელიო; შემდეგ — თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაატაროთო. მოკლედ, დაპირება დაპირებად დარჩა, მისი არშესრულების საბაბები კი არ დაილია»**

**— წლების წინათ, როცა ალიანსში მიღების კონკრეტულ ვადებს გვისახელებდნენ, მართლა იდგა ეს საკითხი დღის წესრიგში თუ მაშინაც გარკვეულ პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა?**

— ერთ ფაქტს გავისხენებ. 1994 წლის 22 აპრილს მე და იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი **ალექსანდრე ჩიკვაიძე** ვიყავით **ედუარდ შევარდნაძესთან** კაბინეტში რიგ საკითხებზე სასაუბროდ. მახსოვს, ლათინური ტე-ს ფორმის მაგიდა იყო — მე მარჯვნივ ვიჯექი, ჩიკვაიძე — მარცხნივ, შუაში ბუნებრივია — პრეზიდენტი. ჩიკვაიძემ დაიწყო საუბარი და შევარდნაძეს არწმუნებდა, რომ ნატო მზად არის საქართველოს მისაღებად, უკვე ველაპარაკე ხელმძღვანელობას და გვპირდებიანო. მცირე პაუზის შემდეგ შევარდნაძემ მაგიდაზე დაარტყა ხელი და თქვა, აქედან არაფერი არ გამოვაო. ძალიან გამიკვირდა. მმართველ გუნდში სულ სხვა განწყობა და მოლოდინი იყო... ორი დღის შემდეგ გავემგზავრეთ ნატოს სამიტზე და იქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ჩვენ მივუერთდით პროექტს, „პარტნიორობა მშვიდობისთვის.“ მოვისმინეთ ბევრი დაპირებაც. ახლა ამ ყველაფერს რატომ ვყვები, დასაწყისშივე, როცა ჯერ კიდევ კულუარულ დონეზე დაიწყო საუბრები იმაზე, რომ საქართველო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი გახდებოდა, უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში ამას სერიოზულად არ უდგებოდნენ. ანუ, **პრეზიდენტს, ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, არ სჯეროდა, რომ ეს საკითხი სერიოზულად დადგებოდა და არ სჯეროდა იმიტომ, რომ არსებულ პოლიტიკურ კონიუქტურას ადეკვატურად აფასებდა.** დღეს კი ვხედავთ, რომ დაწყებული პრემიერით, დამთავრებული პრეზიდენტითა და პარლამენტის თავმჯდომარით — ყველანი სიტყვებს ჰაერში ისვრიან და მაღალი ტრიბუნებიდან ისე გაიძახიან ტყუილს, რომ ამ ტყუილის დამაჯერებლობაზე ფორმალურადაც არ ფიქრობენ.

**— იმ დღეს, როცა გახარიამ ნატოს წევრობისთვის მზადყოფნაზე ისაუბრა, ამერიკელმა კონგრესმენმა ადამ კინზინგერმა ერთ-ერთ ონლაინკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოკუპაცია არ უნდა იყოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის შემაფერხებელი. ანუ, მისი აზრით, საქართველო ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე უნდა მიიღონ, ე.ი. ჩვენ ოფიციალურად უნდა ვთქვათ უარი ჩვენი მიწის ნაწილზე. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლების საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ალიანსის იქით გზა არ აქვს, ნიშნავს თუ არა თანხმობას სამხედრო ბლოკში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე გაწევრებაზე?**

— არც აფხაზეთიან-ცხინვალიანად და არც მათ გარეშე ნატოში არავინ არ მიგვიღებს, ეს უკვე ნათქვამია გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** პირით, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში ეს არ არის, მთავარია თვითონ დამოკიდებულება იმ ქვეყნისა და ხალხისა, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მიჩნეულია ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთ გარანტად. კინზინგერს რაც შეეხება, ცხადია, ის არ გამოხატავს ამერიკის უმაღლესი ხელისუფლების პოზიციას, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავს განცხადებას პირველად არ ვისმენთ. გახსოვთ ალბათ, თავის დროზე **ანდერს ფოგ რასმუსენმაც** თქვა იგივე და მაშინ ამას მწვავე რეაქცია მოჰყვა ჩვენს საზოგადოებაში. ეს განცხადებები არის იმის მკაფიო დემონსტრირება, რომ ისინი თეორიულადაც კი არ ითვალისწინებენ საქართველოს უმთავრეს სახელმწიფოებრივ ამოცანას — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ისე, კარგი იქნებოდა, ჟურნალისტებმა ბატონ პრემიერს დაუსვან შეკითხვა, **რას ფიქრობს ნატოს წევრობაზე ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე. ვიცი, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც პირად საუბრებში ამბობენ, რომ მოცემულ ვითარებაში ეს დასაშვებია. საინტერესოა, მთავრობის მეთაური რა აზრისაა ამ ყველაფერზე...**

**— ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე ნატოში საქართველოს მიღების საკითხით მანიპულირება დასავლეთის მხრიდან რუსეთის გაღიზიანებას ემსახურება. დღევანდელ ვითარებაში არსებობს რეალური საფრთხე, რომ კრემლმა აქტიურად იმოქმედოს სამხრეთით?**

**— სექტემბერში რუსეთს დაგეგმილი აქვს გრანდიოზული მასშტაბის სამხედრო წვრთნა „კავკაზ-2020“, რომელიც, ოფიციალური ინფორმაციით, უამრავ სახმელეთო და საზღვაო პოლიგონზე ჩატარდება. მასში 150 000-მდე სამხედრო მოსამსახურე, 26 000-მდე სამხედრო ტექნიკა, 404 საფრენი აპარატი და 106 საზღვაო ხომალდი მიიღებს მონაწილეობას... აი, ეს არის კრემლის პასუხი ნებისმიერ არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეზე, რომელსაც მოწინააღმდეგე პოლიტიკური ვექტორი ქმნის.**

რაც შეეხება საფრთხეებს, **საქართველო, ბოლო 15 წელია, თავისი პოლიტიკური კურსითა და ორიენტაციით საფრთხეა საკუთარი თავისთვის და ეს უკვე ერთგვარ პრაქტიკად იქცა. ჩვენი ხელისუფლებების "წარმატებულობა" განისაზღვრება იმის მიხედვით, როგორ ახერხებს ის სხვისი ინტერესების სამსახურს საკუთარის საზიანოდ.** ვფიქრობ, სანამ ასეთი ანომალიური მიდგომებით იმართება ქვეყანა, საფრთხე ჩრდილოეთიდანაც არის, სამხრეთიდანაც, დასავლეთიდანაც და აღმოსავლეთიდანაც. ამიტომ არის აუცილებელი, რომ გამოცხადდეს სამხედრო მოუმხრობლობა და ქვეყანა შორს დადგეს სამხედრო ბლოკებისგან. ახლა ვიღაცა იტყვის, რომ ეს არის რუსული ნარატივი და სინამდვილეში ჩვენ ნეიტრალიტეტის საშუალებას არ მოგვცემენ, მაგრამ ამას ამბობს ჯგუფი დასავლეთიდან დაფინანსებული პოლიტიკოსებისა, რომლებიც უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესებს ახორციელებენ. ასეთი ხალხი ან უნდა გააძევო პოლიტიკური სპექტრიდან და, საერთოდ, ქვეყნიდან, ან უნდა გამოიძიო მათი საქმიანობა და, დარწმუნებული ვარ, ბევრი დასაჭერიც იქნება. თუმცა ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში მსგავსი ცვლილებების ილუზია არ მაქვს. ცვლილებებზე თუ ვსაუბრობთ, უწინარესად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ორივე ძალა — „ოცნება“ და „ნაციმოძრაობა“— სამუდამოდ უნდა ჩამოშორდეს სახელისუფლო სადავეებს და მსგავსი ანტისახელმწოფოებრივი სუბიექტებისთვის ადგილი პოლიტიკურ სპექტრში აღარ უნდა გაჩნდეს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ 1801 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲐᲘ, ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲮᲘᲨᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲚᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲐᲛᲓᲔᲪ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ — ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲡ, ᲗᲣᲠᲥᲗᲐᲒᲐᲜ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲡ“.

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ᲗᲣᲠᲥᲘ «ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲛᲔᲜᲘ» ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ «ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲡ» ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲭᲠᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ

**აჭარაში მოღვაწე თურქმა ბიზნესმენმა გალიფ ოზთურქმა რამდენიმე დღის წინათ ჟურნალ „ფორბსის“ ქართულენოვან ვერსიასთან ინტერვიუში საქართველოზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ქვეყნის სამომავლო განვითარების პერსპექტივას მხოლოდ თურქეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობის ჭრილში განიხილავს. მისი თქმით, დღეს სახელმწიფოს წინსვლისთვის საკმარისად თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკა გააჩნია, თუმცა წარმოების გაზრდისა და განვითარების თვალსაზრისით ყველაზე რეალური თურქული მრეწველობის საქართველოში გადმოტანაა, რაც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროცესისთვის სერიოზული ხელშემწყობი ფაქტორი იქნება. აი ამონარიდები მისი ინტერვიუდან: „მიმყოლია ქართველი ხალხი, ეს პანდემიის პერიოდშიც კარგად გამოჩნდა...“, „ადრე მეზობელ ქვეყანაში ვიყავი, ახლა ჩემს ქვეყანაში ვარ, მოქალაქეობა მივიღე. ქართულ დროშებს სიამაყით ვაფრიალებ...“**

## ვაჟა ოთარაშვილი:
## ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲗᲣᲠᲥᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲢᲔᲠᲘ ᲜᲐᲑᲘᲯ-ᲜᲐᲑᲘᲯ ᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ




ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ


ᲒᲐᲚᲘᲤ ᲝᲖᲗᲣᲠᲥᲘ

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:** კომპანია metro holdingis-ის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი გალიფ ოზთურქი ერდოღანის ნაციონალისტურ ხელისუფლებასთან დაახლოებული თურქი ბიზნესმენია, რომელიც 2012 წლიდან აჭარაში სხვადასხვა სახის ფინანსურ აქტივობებს ახორციელებს. მათ შორის, როგორც თვითონ აცხადებს, რეგიონის მასშტაბით მან უკვე ააშენა 40 თურქული სკოლა, სადაც ამჟამად 350-მდე თურქი მოსწავლე სწავლობს და მომავალში კიდევ უფრო მეტი ბავშვის ჩამოყვანას აპირებს...

**რა ინტერესები აქვს დღეს თურქული ინვესტიციების უკან მდგომ ე.წ. ბიზნესმენებს საქართველოში და რას ნიშნავს კონკრეტულად ოზთურქის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს მომავალს თურქეთსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობის ჭრილში განიხილავს? „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პოეტი ᲕᲐᲟᲐ ᲝᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

**— ბატონო ვაჟა, თურქმა ბიზნესმენმა გალიფ ოზთურქმა, რომელსაც აჭარაში, პრაქტიკულად, შესყიდული აქვს ბათუმის ყველა ისტორიული შენობა, ამას წინათ განაცხადა, რომ საქართველოს მომავალი განვითარების პერსპექტივას თურქეთსა და აზერბაიჯანთან ურთიერთობის ჭრილში განიხილავს. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ემსახურებიან მსგავსი „ბიზნესმენები“ ჩვენს ქვეყანაში?**

— ეს ე.წ. ბიზნესმენი, რომელიც ყველამ ვიცით, სინამდვილეში რა ბიზნესმენიცაა, არის ტიპური თურქი დამპყრობლის მენტალიტეტის მქონე. უბრალოდ, მოკაკული ხმალი არ უჭირავს ხელში და ცეცხლითა და მახვილით არ მოდის. რაც შეეხება მიზანს, ამაზე ლაპარაკს ცოტა შორიდან დავიწყებ. მოგეხსენებათ, თურქების წინაპრები შუა აზიიდან მცირე აზიაში მე-13 საუკუნეში მოვიდნენ. **ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲐ ᲙᲘ ᲛᲔ-14 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐᲛᲐᲐᲠᲡᲔᲑᲚᲐᲓ ᲝᲡᲛᲐᲜᲘ ᲘᲗᲕᲚᲔᲑᲐ, ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲓᲐᲔᲠᲥᲕᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ. ᲘᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲧᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲖᲔ — ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲞᲧᲠᲝᲑᲐᲖᲔ, ᲫᲐᲠᲪᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲐᲖᲔ. ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ, ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲖᲠᲐᲮᲕᲔᲑᲘᲗ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲛᲢᲐᲠᲕᲐᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲐᲡᲬᲝᲠᲐ ᲛᲘᲬᲐᲡᲗᲐᲜ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲔᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲣᲠᲥᲝᲑᲐ.** სხვათა შორის, 1510 წელს, როდესაც ოსმალები შემოესივნენ დასავლეთ საქართველოს, სასტიკად ააოხრეს ქვეყანა, გაჟლიტეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გადაწვეს ქუთაისი თავის ისტორიული ძეგლებით, მათ შორის გელათიც. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი სისასტიკე, რომელიც მათ ჩაიდინეს, სხვა უფრო საზარელი ფაქტებიც ვიცით. ჩვენი დიდი მეფეები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ VII** და **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ I,** დაიღუპნენ სწორედ თურქებთან ბრძოლაში. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ 1609 წელს, როდესაც ოსმალოთა 60 000-იანი ლაშქარი ქართლში შემოიჭრა კველთამანგლისის მხრიდან და მიწასთან გაასწორა, ფაქტობრივად, მტკვრის მარჯვენა სანაპირო — გაანადგურეს სოფლები: ერთაწმინდა, დღევანდელი სოფელი მეტეხი, ნიაბი, ყარალაჯი, გრაკალი, დოესი, სასირეთი, ხიდისთავი, უფლისციხე და ა.შ. რომ არა **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ** დიდი მხედართმთავრული ნიჭი და ბრწყინვალე გამარჯვება ტაშისკართან, საქართველოს უდიდესი საფრთხე ემუქრებოდა... ვილაც იტყვის, — ისტორია რა შუაშიაო? იმ შუაშია, რომ პროცესები მეორდება და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ყველაფერი ქრონოლოგიური სიზუსტითაც ხდება. ვგულისხმობ იმას, რომ იმ უმძიმეს წლებში, როცა ოსმალეთი მუსრს ავლებდა მართლმადიდებელ საქრისტიანოს და, მათ შორის, საქართველოს, ის ასევე აქტიურად მიმართავდა ეკონომიკურ ექსპანსიას, რომელსაც სხვადასხვა ფორმით ახორციელებდა.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, სადაც ომით ვერაფერს ხდებოდა, აწესებდნენ ხარკს. გლეხებს მიწას ართმევდნენ და მისი დაბრუნების ერთადერთი გზა ისლამის მიღება იყო. გარდა ამისა, ყოველწლიურად ათასობით ტყვე გაჰყავდათ ქვეყნიდან, ძირითადად, ახალგაზრდა გოგო-ბიჭები. რა კავშირშია ეს ყველაფერი დღევანდელ ვითარებასთან? **ᲓᲦᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲗᲘ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘᲐ — ᲛᲝᲓᲘᲡ ᲕᲘᲚᲐᲪ „ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲞᲐᲜᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲞᲧᲠᲝᲑᲘᲚᲘ ᲔᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲦᲐᲚᲐᲢᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲐᲡ ᲝᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ: ᲔᲠᲗᲘ — ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ.** წარმოიდგინეთ, 40-მდე თურქული სკოლა აქვს ამ ადამიანს უკვე საქართველოში გახსნილი და 350-მდე თურქი მოსწავლე ჰყავს ჩამოყვანილი. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რა არის ეს, თუ არა XXI საუკუნის თურქიზაცია და ისლამიზაცია, რომელსაც მოღალატე ხელისუფლებების მიერ მეგობრად და პარტნიორად გამოცხადებული ისტორიული მტერი, უკვე წლებია, ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს?

**— სხვათა შორის, „ფორბსთან“ ინტერვიუში თურქი ბიზნესმენი დიმიტრი ქუმსიშვილს ახსენებს და ამბობს, რომ მას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდიდან იცნობდა... როგორ ფიქრობთ, „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ კონკრეტული ძალები, რომლებიც მსგავს „ინვესტორებს“ ეხმარებოდნენ და ხელს უწყობდნენ თავიანთი მიზნების განხორციელებაში საქართველოში?**

— **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲥᲣᲛᲡᲘᲨᲕᲘᲚᲘ** არის ჩვეულებრივი კრიმინალი, რომელმაც თანამდებობა ბოროტად გამოიყენა და, ჩვენ რომ დღეს ნორმალური სახელმწიფო ვიყოთ ეროვნული, პატრიოტული ხელისუფლებით, ამ ადამიანის საქმიანობაზე დაწყებული უნდა იყოს გამოძიება. ყოველ შემთხვევაში, მე ვერავინ დამარწმუნებს, რომ ქუმსიშვილი, ყოფილ პრემიერ **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ** ერთად, თურქებისგან ქრთამს არ იღებდა.

თურქეთი ის სახელმწიფოა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მშვიდობიან ადამიანებს ხოცავდა აჭარაში და არა მხოლოდ. სხვათა შორის, ორი საუკუნის წინათ ჭოროხის ხეობაში ერთ დღეში 30 ათას ქართველს მოჰკვეთეს თავი. მიზეზი იყო ის, რომ მათ ისლამი არ მიიღეს. ეს იყო იმპერია, რომელიც საუკუნეების განმავლობაში სჩადიოდა წარმოუდგენელ ბოროტებას და ამას თვითონ თურქი მემატიანეებიც არ უარყოფენ. ნახეთ, რას წერენ ცნობილი თურქი და ირანელი ისტორიკოსები — **ᲰᲐᲡᲐᲜ ᲠᲣᲛᲚᲣ, ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ ᲛᲣᲜᲨᲘ, ᲛᲣᲡᲢᲐᲤᲐ ᲜᲐᲘᲛᲐ, ᲔᲕᲚᲘᲐ ᲩᲔᲚᲔᲑᲘ** და სხვები... **ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ 1801 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ. ᲐᲘ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲣᲙᲕᲔ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲮᲘᲨᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲛᲚᲘᲗ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲓᲔᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲔᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔ-19 ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲐᲛᲓᲔ. ᲐᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ, ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲐᲛᲓᲔᲪ ᲛᲘᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲩᲐᲠᲔᲕᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲓ, ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲘᲖᲐᲜᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ ᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲐ — ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲝᲞᲝᲚᲡ, ᲗᲣᲠᲥᲗᲐᲒᲐᲜ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲐᲓ ᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲡ.**

**— დღეს თურქეთის ნებისმიერ კრიტიკას ლიბერალური ელიტა თურქოფობიად აფასებს და „რუსული პროპაგანდის“ ნაწილად რაცხავს. ამ პირობებში რა ბერკეტები არსებობს ქვეყანაში აგრესიული პანთურქისტული იდეების წინააღმდეგ სამოქმედოდ?**

— პირველი და უმთავრესი — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ისტორია არ გაყალბდეს და მომავალი თაობები ამ ყალბი ისტორიით არ მოწამლონ. თურქეთი შეიძლება იყოს ჩვენი სავაჭრო პარტნიორი, მაგრამ ის ვერასდროს ვერ იქნება მეგობარი. სხვათა შორის, ჩვენ დავიანგარიშეთ და ერთი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი 54-ჯერ დაესხა თავს საქართველოს. 21-22 შემოსევა იყო განსაკუთრებით სასტიკი. ყოველ საუკუნეში ერთხელ დაახლოებით 300 ათასი ქართველი ეწირებოდა ამ შემოსევებს... მოღალატე თუ არა ხარ, შეიძლება სახელმწიფოს, რომელთანაც ასეთი სისხლიანი წარსული გაკავშირებს, მეგობარი უწოდო?!

**— ოზთურქის მსგავსად, ჩვენმა ხელისუფლებებმა ათასობით თურქს მისცეს საქართველოს მოქალაქეობა. ამასთანავე, საზღვარგარეთ, ძირითადად, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებს ხშირად უარს ეუბნებიან ანალოგიურ მოთხოვნაზე. მეტიც, მოსკოვში მოღვაწე ქართველ პოლიტოლოგს ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲡ საერთოდ გააუქმეს საქართველოს მოქალაქეობა, იმ მოტივით, თითქოს ის საშიშია ჩვენი სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის(!)... ოზთურქი და მისთანები სასარგებლონი არიან ჩვენი ქვეყნისთვის და ჭაჭია არის საშიში?! ეს ყველაფერიც მიზანმიმართულად ხდება?**

— რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიზანმიმართული პოლიტიკაა, რომელსაც სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ნილბავენ. **ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ** და **ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ხელისუფლებები ერთი ძალის ორი განშტოებაა, რომლებიც განსხვავებული ფორმებით ასპარეზობენ პოლიტიკურ არენაზე. ერთს აცვია ლურჯი ფორმა, მეორეს — წითელი. საქართველოსთვის ორივე დამღუპველია.

**ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲜ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘᲡ ᲗᲥᲛᲐᲡ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲐᲡ, ᲔᲡ ᲪᲮᲐᲓᲧᲝᲤᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲞᲔᲪᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲒᲐᲜᲒᲐᲨᲝᲐ.**

**ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘᲐ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ — ᲩᲕᲔᲜ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝᲗ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲘᲣᲛᲮᲠᲝᲑᲚᲝᲑᲐ. ᲐᲘ, ᲔᲡ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲞᲚᲐᲪᲓᲐᲠᲛᲐᲓ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ.**

ესაუბრა **ᲯᲐᲑᲐ ᲭᲣᲐᲜᲘᲐ**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნაციონალების პოლიტიკაა, აგინონ რუსებს და ჩუმად აკეთონ ცუდი, არაქართული საქმეები. რიგითი მოქალაქე, რომელიც არ არის ვალდებული, ერკვეოდეს პოლიტიკაში, რუსების გინებით გულს იფხანს, მაგრამ აქ გავიხსენებ ილიას სიტყვებს: „ფხანა ქეცმა იცის“... დაკარგული ტერიტორიების საკითხში, გვინდა თუ არა ეს ქართველებს, გადამწყვეტ როლს რუსეთის ფედერაცია თამაშობს“.**



თამარ კიკნაძე:

# დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პათოსიდან მხოლოდ ხსოვნაზე გადავედით

## «2008 წლის ომი იყო ტესტი, როგორი რეაქცია ექნებოდა რუსეთს. ეს იყო გლობალური ომი, რომელიც სააკაშვილმა გააჩაღა ჩვენს ტერიტორიაზე»

**აფხაზეთის ომის შედეგ 2003 წლამდე ყველა ნაბიჯზე შეხვდებოდით ბანერს წარწერით: „დავიბრუნოთ აფხაზეთი“. 2003 წლის შემდეგ ეს წარწერა შეიცვალა: „გვახსოვდეს აფხაზეთი“-ით. ახლა აგვისტოა, ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო თვე, და უკვე რამდენიმე დღეა, ტელეფონზე გზავნილები მოდის: „გვახსოვდეს გმირები — რუსეთი ოკუპანტია“...**

**ფაქტია: ტექსტები, ასე ვთქვათ, დეგრადაციას განიცდის, მაგრამ მხოლოდ ტექსტები რომ იყოს, არ შეშფოთდებოდა ადამიანი — დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე სულ უფრო იშვიათად საუბრობენ პოლიტიკოსები... შემოდგომაზე მეათე მოწვევის პარლამენტს ავირჩევთ, ქვეყანაში წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, ამომრჩეველი ისმენს ყველანაირ დაპირებას, რისი მოსმენაც შეიძლება და არ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი პარტია და არც ერთი ლიდერი უკვე აღარ საუბრობს დაკარგულის დაბრუნებაზე, თუნდაც დაბრუნების მცდელობის გეგმაზე.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე:**

— ტექსტების დინამიკა და პათოსი მართლაც იცვლება, მართლაც ვართ მოწმენი იმისა, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების პათოსიდან მხოლოდ ხსოვნაზე გადავედით. დღეს საქართველოს არ შეუძლია, ძალისმიერი მეთოდით დაიბრუნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი.

როდესაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველოს ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა. საქართველოს პოლიტიკური ელიტა გამოუცდელი იყო, რადგან ის საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ნაწილს წარმოადგენდა და გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ვერ იღებდა. იმჟამინდელი პოლიტიკური ელიტა არ ფლობდა ინფორმაციას, რომელიც საერთაშორისო პროცესებთან იყო დაკავშირებული.

სიმართლე გითხრათ, იმჟამინდელ მოვლენებს დღეს უკვე სხვანაირად აღვიქვამ — ქართველები გულუბრყვილონი ვიყავით. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა მარტივი არ არის, ეს არ არის მხოლოდ რუსეთ-საქართველოს შორის გადასაწყვეტი საკითხი, ის გლობალურია. გადავხედოთ ისტორიას. როდესაც აფხაზეთში ომი დაიწყო, რუსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტი **ბორის ელცინი** ანგარიშვალდებული იყო ამერიკის პრეზიდენტის წინაშე. **ახლახან ვთარგმნე ევგენი პრიმაკოვის წიგნი „რვა თვე პლუს“, რომელშიც შესანიშნავადაა აღწერილი, როგორ არ იყო რუსეთი სუვერენული და ელცინი როგორ აბარებდა ანგარიშებს ამერიკის პრეზიდენტს. ჩვენ ვიცით ისიც, რომ ელცინს ორი ჰარვარდელი პროფესორი ჰყავდა მრჩევლად, რომელთა მითითებებსაც უსიტყვოდ ასრულებდა. სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა გლობალურ ჭრილშია განსახილველი. ის, რაც მოხდა 1992-93 წლებში, არც რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა...** წლები გადიოდა და ეს პრობლემა უფრო და უფრო იხლართებოდა, ამიტომ მხოლოდ რუსეთსა და საქართველოს აღნიშნული პრობლემის გადაჭრა არ შეუძლიათ. ჩვენ ვხედავთ, რა ხდება დასავლეთსა და რუსეთს შორის, ამერიკასა და რუსეთს შორის. რუსებმა თავის დროზე ვერანაირი მექანიზმი ვერ გამონახეს ნატოს გაფართოების წინააღმდეგ, გარდა ბრუტალური ხერხებისა, რომლებშიც საქართველო მოყვა, მხოლოდ იმიტომ, რომ ინფორმაციას არ ვფლობდით და გამოუცდელები ვიყავით. ქართველები ემოციურები ვართ და ბევრი შეცდომაც სწორედ აქედან მომდინარეობს.

**— ამბობთ, რომ იმჟამინდელ ხელისუფლებასა და პოლიტიკოსებს გამოცდილება არ ჰქონდათ, რადგან წლების განმავლობაში დამოუკიდებლები არ ვიყავით, მაგრამ მას შემდეგ წლები გავიდა, საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახლა ყველა ხელისუფალი ტრაბახობს, რომ სუვერენულ ქვეყანას მართავს, მაგრამ უკვე მეათე მოწვევის პარლამენტს ვირჩევთ და, სამწუხაროდ, დღეს თითქმის არავინ აღარ ლაპარაკობს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ამ პრობლემის მოგვარებაზე არ უფიქრია, არც ერთს არ აქვს პროგრამაში ამ პრობლემის გადაჭრის გზა...**

— როდესაც სააკაშვილმა გადაწყვიტა, რადიკალური ზომებით გადაეჭრა ტერიტორიული პრობლემები, ვნახეთ, რა უკუშედეგი მივიღეთ. არსებობს ბიბლიური ჭეშმარიტება — „არის დრო ქვების შეგროვებისა და არის დრო ქვების განბნევისა“. **საქართველომ დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც რადიკალური ზომები მიიღო. ეს სააკაშვილმა თვითონაც კარგად იცოდა. ის ქართულ თამაშს არ თამაშობდა, დიპლომატიური ურთიერთობებიც კი გაწყვიტა რუსეთთან, რაც საბოლოოდ დამღუპველი აღმოჩნდა ბევრი მიმართულებით.**

## «თუ ისეთი პოლიტიკა გატარდება, როგორიც ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტს სურს, საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების შანსი გაუჩნდება»

**— სააკაშვილის დაწყებული საქმე გრძელდება, არც დღეს ფიქრობენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე...**

— აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** პოლიტიკა შანსს გვაძლევს, რომ რუსეთს დაველაპარაკოთ, რადგან ომით ჩვენ ვერაფერს ვერ დავიბრუნებთ.

**ნაციონალების პოლიტიკაა, აგინონ რუსებს და ჩუმად აკეთონ ცუდი, არაქართული საქმეები. რიგითი მოქალაქე, რომელიც არ არის ვალდებული, ერკვეოდეს პოლიტიკაში, რუსების გინებით გულს იფხანს, მაგრამ აქ გავიხსენებ ილიას სიტყვებს: „ფხანა ქეცმა იცის“... დაკარგული ტერიტორიების საკითხში, გვინდა თუ არა ეს ქართველებს, გადამწყვეტ როლს რუსეთის ფედერაცია თამაშობს.**

დღეს გლობალისტურ ძალებს ამერიკის პრეზიდენტი ებრძვის, რაც ჩვენთვისაც მისაღებია. ნაცმოძრაობა და მათთნაირი ჯგუფები გლობალისტებს არიან მიტმასნილი და ამიტომ არ აძლევენ ხელს ტრამპის პოლიტიკის გატარება. თუ ისეთი პოლიტიკა გატარდება, როგორიც ამერიკის დღევანდელ პრეზიდენტს სურს, საქართველოს გაუჩნდება შანსი, დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები.

უკვე დიდი ხანია, ვამბობ, რომ საქართველო ნატოში ვერ შევა. 30 წელიწადია, თავს ვიტყუებთ. ჩვენი გადამეტებული მცდელობა ნატოში შესვლისა მუდამ პრობლემას გვიჩენდა.

ამერიკას ჯარები გაჰყავს გერმანიიდან, რადგან პრეზიდენტი თვლის, რომ ნატო წამგებიანი ორგანიზაციაა. სახელმწიფოების ჰეგემონიას აქვს დაღმავალი ციკლი, ტრამპი არის კრიზისმენეჯერი, რომელიც ლაპარაკობს ამერიკის დიდებაზე და ამბობს, რომ მას, შესაძლოა, ამოსუნთქვა სჭირდება. ის ფინანსური მოდელი, რომელიც აქამდე არსებობდა, საპნის ბუშტივით შეიძლება გასკდეს სულ მალე... ამერიკის პრეზიდენტს სურს, უარყოფითი შედეგები თავიდან აიცილოს.

**— ქალბატონო თამარ, წინა შეკითხვას დავუბრუნდები. რატომ არ ახსენებენ ჩვენი პოლიტიკოსები ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემას წინასაარჩევნოდ მაინც... მათ ხომ ამ თემაზე ლაპარაკს მაინც არავინ უშლის? პირიქით, ხშირად გვეუბნებიან ჩვენი ე.წ. პარტნიორები, რომ ველაპარაკოთ რუსებსაც, ოსებსაც და აფხაზებსაც?**

— დღევანდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლებაზე გონივრულად უდგება ამ საკითხს და საერთაშორისო პრობლემებსაც, მაგრამ უბედურება არის ის, რომ **სააკაშვილმა** ცხრა წლის განმავლობაში ისეთი ვითარება დაამკვიდრა, რომ ადამიანები, რომლებიც წინსვლასა და კარიერის აწყობაზე ფიქრობენ, ერიდებიან საჯაროდ საუბარს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე, ეს „წამგებიანი“ თემაა. რამდენიმე ხნის წინათ პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძემ** თქვა: ჩვენ გვინდოდა რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, მაგრამ ოპოზიცია ამის საშუალებას არ გვაძლევსო. არავის არ უნდა, „რუსეთუმეს“ იარლიყი მიაწებონ.

პოლიტიკაში ჯობია, საქმე აკეთო, პოლიტიკას ბევრი ლაპარაკი არ უყვარს. ჩვენი ტერიტორების პრობლემა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, გლობალურ ჭრილშია გადასაჭრელი და გადაიჭრება კიდეც, მაგრამ საამისოდ ჩვენგანაც სულ მცირე რამაა საჭირო: წინდახედული და გონივრული ქცევა.

**— ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელისუფლებები დაკარგულ ტერიტორიებსაც დათმობენ, თუ ნატოში შესვლის რეალური შანსი გაჩნდება, მათ, უბრალოდ, ხალხის რისხვის ეშინიათ...**

— არ არის ასე. ტერიტორიები რომც დათმოს ხელისუფლებამ, ნატოში მაინც ვერ შევალთ, რადგან აქ არის რუსეთის ფაქტორი, ნატოში რუსეთის გამო მაინც არ მიგვიღებენ. **2008 წლის ომი იყო ტესტი, როგორი რეაქცია ექნებოდა რუსეთს. ეს იყო გლობალური ომი, რომელიც სააკაშვილმა გააჩაღა ჩვენს ტერიტორიაზე. საქართველოს ხელისუფლებამ იცის, უარიც რომ თქვას ტერიტორიების დაბრუნებაზე, ნატოში მაინც არ მიიღებენ. დღეს ნატო აქტუალური აღარ არის, რიტორიკა, რომელიც არსებობს, ინერციით მოდის საქართველოში.** თქვენ წეღან თქვით, — საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა და ახლა ყველა ხელისუფალი ტრაბახობს, სუვერენულ ქვეყანას მართავსო და ამაზეც გაგცემთ პასუხს.

სუვერენიტეტის ცნება შეცვლილია. საქართველოს ეუბნებიან, დამოუკიდებელი და სუვერენული ქვეყანა ხარო, რაც დასავლეთისთვის არის მოხერხებული, თორემ **რა სუვერენიტეტზეა საუბარი, როდესაც ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ქვეყანა აღარ ვართ. ჩვენ ვართ იმ გაერთიანების იდეისა და მოქმედების გამზიარებლები, ვისთანაც ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ დასავლეთის წესებით. ამიტომ აღარ გაგიკვირდეთ ლოზუნგების პათოსის შეცვლაც — „დავიბრუნოთ აფხაზეთი“-დან, „გვახსოვდეს გმირებამდე“...**

**— რომელი ქვეყნის ინტერესშია, რომ ჩვენ ტერიტორიები ვერ დავიბრუნოთ?**

— ეს მარტივია. **ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ვერ გაითვალისწინებს ვერავინ, თუ ჩვენი ქვეყანა თვითონ არ იზუნებს ამაზე. ეს ფაქტი საწყენი არაა, რადგან ყველა ქვეყანა და განსაკუთრებით ჩვენი მეზობლები, თავიანთი ქვეყნებისა და ხალხების ინტერესებზე ზრუნავენ და შესაბამისად მოქმედებენ კიდეც.** საქართველომ გამუდმებით უნდა იზრუნოს თავის ინტერესებზე და იფიქროს იმ მატრიცაზე, რომ ჩვენი უპირველესი პრობლემა — ტერიტორიების დაბრუნება, როგორმე მოახერხოს და შეძლოს. სწორედ ამაშია პოლიტიკის სირთულეც და წარმატებაც. ქართველ პოლიტიკოსებს მოსწონთ ანგლოსაქსების პოლიტიკა, ამიტომ შეხედონ, რა მშვიდად და ლამაზად ახერხებენ ისინი თავიანთი მიზნების განხორციელებას.

საქართველომ თავისი შესაძლებლობების გათვალისწინებით უმტკივნეულო პოლიტიკა უნდა განახორციელოს. დიპლომატია უნდა გვქონდეს ძლიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, **საგარეო საქმეთა სამინისტროს ამჟამინდელი კადრებით შორს ვერ წავალთ. საერთოდ, საგარეო საქმეთა სამინისტრო არ აკეთებს პოლიტიკას, ის არის შემსრულებელი, ქვეყნის კურსის გამტარებელი, მაგრამ ჩვენ შემთხვევაში, ქვეყნის კურსსაც სხვა გეგმავს. ეს, ალბათ, საქართველოს ოცდაათწლიანი ისტორიის ბრალია.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**ნატო ჩხეიძე არჩევნებამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო თავისი პარტიის შექმნას ვერ ასწრებდა (პარტიის შექმნას, სულ ცოტა, 1000 დადასტურებული მხარდამჭერი სჭირდება) და, დიდი ალბათობით, იყიდა ნიკა მაჭუტაძის 5-კაციანი პარტია, რომლის სიაში პირველი ნომერია. ასეთი რაღაცები უანგაროდ არ ხდება.**



ავი მესაიფი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორი ხალხი არ უნდა იყოს ხელისუფლებაში

**ვინც გასული საუკუნის 60-70-იან ბედნიერ (ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე) ეპოქას მოესწრო, ემახსოვრება, რომ თბილისი არა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ ღირსების დაუწერელი კანონებით ცხოვრობდა, კაცი კაცობდა, ქალი ქალობდა... უბანი უბნობდა. მავანი იკითხავს და ერთი შეხედვით სამართლიანადაც — რა დროს 60-70-იანი წლების თბილისის ნოსტალგიაა ამ გაგანია წინასაარჩევნო ციებ-ცხელებისას, როცა ისეთი მდგომარეობაა, ფრთიან ფრაზას თუ მოვიშველიებთ, „დედა შვილს არ აიყვანს", ხოლო, თუ ყველაფერს თავის სახელს დავარქმევთ, დეპუტატობის მსურველთა უმრავლესობა პარლამენტში მოხვედრის სანაცვლოდ მილიონებს იხდის; ვისაც ეს მილიონები არ აქვს, საკუთარ ცოლსა და სამშობლოსაც უყოყმანოდ გაყიდის?**



ნატო ჩხეიძე



ზაზა ოქუაშვილი

**ინტელექტი სანთლით საძებარი რომ იყო წინა მოწვევის პარლამენტებში, ამას «ქათამ» ნიკა გვარამიასთან «ბიზნესმენ» ზაზა ოქუაშვილის ინტერვიუც მოწმობს — 2 საათის განმავლობაში ბლუკუნებდა «რუსთავი-2»-ის პირდაპირ ეთერში მულტიმილიონერი «პოლიტიკოსი» და კაციშვილმა ვერ გაიგო, რა უნდოდა. არადა, ამ «ბიზნესმენს» კომუნისტების პერიოდში ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი აქვს დამთავრებული — სამედიცინო ინსტიტუტი. კიდევ კარგი, ექიმის კარიერაზე უარი თქვა, თორემ ვაი იმ პაციენტის ბრალი, რომელიც «დოხტურ» ოქუაშვილის ხელში აღმოჩნდებოდა — შეიძლება, გლანდების ნაცვლად აპენდიქსი ამოეჭრა**

ნათქვამია, **საქართველო ისეთი პატარა ქვეყანაა, ყველა ყველას იცნობს და ყველამ ყველაფერი იცისო. აქედან გამომდინარე, ფართო საზოგადოებისთვის დაფარული დიდი ხნით ვერაფერი და არაფერი რჩება. და ასეთი უგვანო გზებით აღზევებული რამდენი დეპუტატი თუ მინისტრი იცის ქართველმა საზოგადოებამ? თუმცა ამ შემთხვევაში რაოდენობა კი არა, ის უფრო საინტერესოა, მავანმა მილიონების „შეწირვით" გაიკეთა პოლიტიკური კარიერა თუ „ოღრაშოზით" (ძველი თბილისური ჟარგონით, ცოლის გამქირავებელი) მოიპოვა დეპუტატის მანდატი.**

ასეთები საქართველოს პარლამენტში შესვლის შემდეგ **დოდო აბაშიძის** კინოგმირ ყვარყვარესავით ურცხვად გვპირდებიან — „ოქროს სარაიას აგიშენებთ, ჩვენსას რომ მოვრჩებით, მერე"-ო.

**ჩვენში ხომ ასეა — შეიძლება წერა-კითხვასთან მწყრალად იყოს, ინტელექტი, რომ იტყვიან, პლინტუსს ქვემოთ ჰქონდეს, 4 წლის განმავლობაში მუთაქასავით იდოს პარლამენტში, ანუ ერთხელაც არ მივიდეს მიკროფონთან, მაგრამ, აბა, გაბედეთ და ხელი ახლეთ ასეთ მუთაქას თუნდაც აშკარა კრიმინალური დანაშაულის ჩადენისთვის, ჩვენი დასავლელი „მეგობრებისგან" პოლიტპატიმრის იარლიყის მიწებება გარანტირებული აქვს.**

ინტელექტი სანთლით საძებარი რომ იყო წინა მოწვევის პარლამენტებში, „ქათამ" **ნიკა გვარამიასთან** „ბიზნესმენ" **ზაზა ოქუაშვილის** ინტერვიუც მოწმობს. 2 საათის განმავლობაში ბლუკუნებდა „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში მულტიმილიონერი „პოლიტიკოსი" და კაციშვილმა ვერ გაიგო, რა უნდოდა. არადა, ამ „ბიზნესმენს" კომუნისტების პერიოდში ყველაზე პრესტიჟული სასწავლებელი აქვს დამთავრებული — სამედიცინო ინსტიტუტი. კიდევ კარგი, ექიმის კარიერაზე უარი თქვა, თორემ ვაი იმ პაციენტის ბრალი, რომელიც „დოხტურ" ოქუაშვილის ხელში აღმოჩნდებოდა — შეიძლება, გლანდების ნაცვლად აპენდიქსი ამოეჭრა...

ახლა ორიოდე სიტყვა ოქუაშვილის მეუღლე **ნატო ჩხეიძეზე**, რომელსაც წერა-კითხვასთან მწყრალად ყოფნას ვერ დავწამებ (სხვა თუ არაფერი, მწერალ **ოთარ ჩხეიძის** ქალიშვილი და „დიდი პუბლიცისტ-ისტორიკოსისა" და ქართველთა ეროვნული გმირის, **გიორგი სააკაძის**, დაუძინებელი მტრის — **როსტომ ჩხეიძის** დაა), ქალბატონი ნატო მეუღლესავით უინტელექტობით „ვერ დაიკვეხნის", მაგრამ, ამ მხრივ, რომ იტყვიან, პლინტუსს ოდნავ მაღლაა და დაბლის მაღლად წარმოჩენას ცდილობს. ამის სასაცილო (სატირალი რომ არ იყოს) შემთხვევა ცოტა ხნის წინათ ვიხილეთ პარლამენტში, როდესაც **გიორგი გახარიას** „მაღალინტელექტუალურად ესროლა", — თქვენთან შეკითხვები არ მაქვსო. ამ „სროლაში" იკითხებოდა — იმიტომ, რომ გოიმი ხარო, რაც, ვიმეორებ, სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს.

ქართულ პოლიტიკაში ინტელექტის დეფიციტის თემას დიდი აკაკის ბრწყინვალე ლექსის პერიფრაზით დავამთავრებ: ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა, პარლამენტში — ინტელექტი?

**ბევრისთვის, ალბათ, მისაღებია ზაზა ოქუაშვილისა და მისი მეუღლე ნატო ჩხეიძის მიმართ ნათქვამი „კომპლიმენტები", მაგრამ ისეთებიც გამოჩნდებიან, რომლებიც იფიქრებენ, რატომ გადაეკიდა ასე განსაკუთრებულად ამ ცოლ-ქმარსო?** სავსებით ლეგიტიმური კითხვაა, რომელზეც ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს ვერ გავცემ, ამიტომ ნაწილ-ნაწილ შევეცდები მკითხველის ინტერესის დაკმაყოფილებას... დავიწყოთ იქიდან, რომ წინამდებარე წერილის ამ ნაწილის მთავარი „გმირის" ოჯახობას, ნახევარ საუკუნეზე მეტია, ვიცნობ. გორშიც ბევრჯერ გვიქეიფია ზაზას ვაჟკაცი მამის ოჯახში, როცა დღევანდელი მილიონერი პატარა ბავშვი იყო და, აქედან გამომდინარე, ხატოვნად თუ ვიტყვით, ჩემს თვალწინ გაიზარდა. ეს ლირიკული შესავალი იმისთვის, რომ ამთავითვე გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი წინამდებარე წერილის შეკვეთით დაწერაზე. ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი ერთადერთი სიმდიდრე სწორედ ისაა, რომ ვინმეს დაკვეთით სიტყვა არ დამიწერია (თუმც შეთავაზება საკმარისზე მეტი მქონდა). ხოლო ყველაზე დიდი ჰონორარი უცნობი მკითხველის სატელეფონო ზარია, ჩემი სტატიის საქებარი...

**ამ წერილის ერთ-ერთი მიზანი ისიც არის, რომ საზოგადოებას ცოლ-ქმარი „პოლიტიკოსების" მაგალითზე დავანახვო, როგორი ხალხი არ უნდა იყოს ხელისუფლებაში.**

რამ გააფუჭა ერთ დროს კეთილი და ბუნჩულა ბავშვი? — დიდძალმა ფულმა! როგორც ჩანს, დიდძალი ფულის მოხვეჭიდან უმადურობამდე და ღალატამდე (მცირე გამონაკლისის გარდა) ერთი პატარა ნაბიჯია. ჯერ იყო და, „პატრიოტთა ალიანსის" სიით ცოლი საქართველოს პარლამენტის დეპუტატი გახდა, ქმარი — აჭარის უზენაესი საბჭოსი. შემდეგ მოკლე ხანში ორივემ ერთად, რომ იტყვიან, „სინქრონში" უღალატეს „პატრიოტთა ალიანსს" — ნატო ჩხეიძემ საპარლამენტო ფრაქცია დატოვა და საფრთხე შეუქმნა ფრაქციის არსებობას; ხოლო ზაზა ოქუაშვილი საერთოდ არ უნახავთ ბათუმში. არადა, თავის დროზე **ასლან აბაშიძის** „კრიშის" ქვეშ სიგარეტის უთვალავმილიონიან ბიზნესს ატრიალებდა. ასლან აბაშიძის, რომელსაც „საჭირო დროს" უღალატა; **ასლან აბაშიძის,** რომლის მხარდაჭერით იმედმიცემულმა, თავისი ფირმის, „ომგას", კონკურენტი „ელიზი" მიწასთან გაასწორა და სხვა მრავალი საქმენი საგმირონი, რომლებიც საქართველომ იცის...

**ზაზა ოქუაშვილი ახლა ინგლისს აფარებს თავს და, როგორც ამბობენ, ტუალეტშიც კი დაცვის თანხლებით დადის, რადგანაც ეშინია, რომ ბიძინა ივანიშვილი 4 თითის კომბინაციის ცნობილ სიცრუეს, დიდი ალბათობით, არ აპატიებს, სამშობლოში ჩამოსვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

**თუმცა მილიონერების უმრავლესობას სამშობლო არ აქვთ — მათი სამშობლო არის იქ, სადაც კარგად არიან და ყველაზე მთავარი — ცოლ-ქმრის ლექსიკონში სიტყვა „ქველმოქმედება" არ არსებობს, რადგან ღმერთი, ალბათ, არ სწამთ და, თუ სწამთ, ალბათ, მომხვეჭელობისა და სიმდიდრის მფარველი მამონა, რადგან არ იციან, რომ აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სამოთხეში.**

ახლა ვიცი, ზაზას კრიტიკის გამო ერთი ჩვენი საერთო ნაცნობი ისე გამიბრაზდება, რომ საქმე მუშტი-კრივამდეც შეიძლება მივიდეს და ამიტომ იმ ნაცნობს შევახსენებ: თავის დროზე პრინციპების გამო საკუთარი ოჯახი არ დავინდე და ზაზა ოქუაშვილი რატომ უნდა დავინდო?!

აქვე მინდა, გავაფრთხილო ბატონი ზაზა: რაც აქამდე ვთქვი, სრულიად საქართველომ იცის, მაგრამ ბევრი ისეთი რამ არ მითქვამს, რაც მხოლოდ რამდენიმე კაცმა ვიცით და ეს ართქმული იმ შემთხვევისთვის შემოვინახე, თუ ჭკუა არ გეყოფა და მასმედიით მიპასუხებ.

**მართალია, წერა-კითხვასთან მწყრალად ხარ და მხოლოდ ფულის თვლა გეხერხება, მაგრამ სწორედ მაგ ფულით ვინმესთვის პასუხის შეკვეთა არ გაგიჭირდება და ასეთ შემთხვევაში მიფრთხილდი! ისეთ რაღაცებს გამოგიმზეურებ, ოთახში მეხუთე კუთხეს დაუწყებ ძებნას!**

ამ წერილს იქნებ არ ეხილა დღის სინათლე, რომ არა ნატო ჩხეიძის ენით აუწერელი თავხედობა — რადგან არჩევნებამდე დარჩენილი დროის სიმცირის გამო თავისი პარტიის შექმნას ვერ ასწრებდა (პარტიის შექმნას, სულ ცოტა, 1000 დადასტურებული მხარდამჭერი სჭირდება), დიდი ალბათობით, იყიდა ნიკა მაჭუტაძის 5-კაციანი პარტია, რომლის სიაშიც პირველი ნომერია. ასეთი რაღაცები უანგაროდ არ ხდება.

ბარიერის არარსებობის პირობებში მულტიმილიონერ ნატო ჩხეიძეს არ უნდა გაუჭირდეს 2 ადგილის ყიდვა და მაშინ, რომ იტყვიან, ტაში კუკური — ანეკდოტი მაჭუტაძე დეპუტატი გახდება. ხოლო ზაზა ოქუაშვილი ლონდონიდან შეეცდება საქართველოში სიტუაციის არევას.

თუმცა, ვინ იცის, ეგებ ისე მიუხურონ კარი მაჭუტაძე-ჩხეიძის მხარდამჭერებს, როგორც მე არ გავუღე კარი **თაკო ჩარკვიანის** კარდაკარ მოარულ აგიტატორებს.

**დავით მხეიძე**

**P.S. ქართული ტელევიზიების გადაცემებს შეგნებულად არ ვუყურებ, მაგრამ, პროფესიიდან გამომდინარე, ხანდახან მიწევს საინფორმაციო გადაცემებისთვის თვალის შევლება. ჰოდა, ამას წინათ რომელიღაც ქართული ტელეარხიდან მომესმა, რომ პოლონეთი და უკრაინა აპირებენ ყირიმის დაბრუნებაზე ფორუმის მოწყობას, რომელიც ვარშავაში უნდა გაიმართოს და ფორუმის ორგანიზატორებმა მსოფლიოს მოუწოდეს მხოლოდ ყირიმის კი არა, საზოგადოდ, ანტირუსული სამხედრო ბლოკის შექმნისკენ. ამ მოწოდებას პირველი ვინ გამოეხმაურა? ჩხრა მთას იქით მდებარე კანადა და კიდევ, აბა, გამოიცანით, ვინ? რა თქმა უნდა, საქართველო, რომლის დედაქალაქიდან 30 კილომეტრში მძლავრი რუსული სამხედრო ბაზაა.**

**ამ სიტუაციისთვის „ძაღლი სახლში არ ვარგოდაც" შეიძლებოდა დაგვერქმია. ამ მეტიჩრული „ვაჟკაცობისთვის" რუსებმა ცხვირპირი რომ დაგვალეწონ, ღირსები არ ვიქნებით? მაგრამ ეს სხვა თემაა, რომლის შესახებაც აუცილებლად შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ...**

იუვენალური სამართალი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამ პროგრამის მთავარი მიზანია, გაუფასურდეს მშობლისა და შვილის ურთიერთობა, გაუბრალოვდეს და არ ჰქონდეს მნიშვნელობა, ბავშვს ვინ და როგორ გაზრდის; მთავარია, ისეთი გაიზარდოს, როგორიც ვიღაცას აძლევს ხელს. მშობლების გარემოცვაში თუ არ იზრდება ბავშვი, მშობლის პატივისცემას ვერ ისწავლის და, როცა მშობელს არ სცემს პატივს, ძნელია, სხვას მოეპყრას პატივისცემით.**

# ევროასოციაციის მტარვალი სახე — დაკანონებული ლეკიანობა

## 9 შვილის გამჩენი გმირი დედისთვის თვეში ის 4500 ლარი რომ მიგეცათ, რომელსაც ახლა 9 ოჯახს 500-500 ლარად ურიგებთ, ხომ არ იქნებოდა პრობლემა და ბავშვებიც ნორმალურად ხომ გაიზრდებოდნენ?

**საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, როცა სოციალური სააგენტო ბავშვს მინდობით აღსაზრდელად გადასცემს ოჯახს, მას თვეში 400-დან 600 ლარამდე ეხმარება. ეს თანხა ბევრ რამეზეა დამოკიდებული და, თუ ბავშვი შშმ პირია, თანხა 800 ლარამდეც ადის. მოდი, საშუალო არითმეტიკული გამოვიყვანოთ იმ 400-600 ლარიდან და ვთქვათ, რომ ოჯახი თითოეულ ბავშვზე იღებს 500 ლარს. ამ პროგრამის აბსურდულობა, პირველ რიგში, არის ის, რომ, იმავე სახელმწიფოს მიერ დაწესებული რეგულაციით, 4-სულიანი ოჯახის გამოკვება თვეში 326 ლარი ჯდება, ანუ 4 სული შეიძლება გამოიკვებოს 326 ლარად, ხოლო ერთი ბავშვის შეკედლება 500 ლარია. ვინ და როგორ დაიანგარიშა ეს ყველაფერი, ვერ გეტყვით, მაგრამ ვეთანხმები, რომ ბავშვის სრულფასოვნად გამოსაკვებად, შესამოსად, განათლების მისაღებად 500 ლარი ადეკვატური თანხაა. არაადეკვატური სწორედ ის 326 ლარია, რომელიც თურმე 4-სულიანი ოჯახისთვის საკმარისია.**

გასულ კვირას ხელვაჩაურის რაიონის სოფელ თხილნარში მცხოვრებ **მადონა ფუტკარაძეს** სოციალურმა სააგენტომ ცხრა შვილი წაართვა. წართმევა ჰქვია იმას, რომ 9 ბავშვი სხვადასხვა ოჯახში გადაანაწილეს და მიზეზად ის დაასახელეს, რომ თურმე მათ მშობლებთან ცხოვრების არასათანადო პირობები ჰქონდათ. ანუ, ბავშვები სრულფასოვნად ვერ იღებდნენ საკვებს, არ ეცვათ შესაბამისად, ვერ იღებდნენ განათლებას. ახლა ეს ბავშვები უცხო ოჯახებში გადაანაწილეს, რომლებიც თითო ბავშვის აღზრდის სანაცვლოდ მიიღებენ 500 ლარს.

აი, ასეთი სისულელე სხვაგან თუ ხდება, ვერ გეტყვით. რატომ სისულელე? **თუ სახელმწიფოს 9 ბავშვის შენახვა 4500 ლარი უჯდება, ეს თანხა დედისთვის რომ მიეცათ ყოველთვიურად (ხომ მაინც იხდის ახლა?!), მშობელი უკეთესად მოუვლიდა თავის შვილებს თუ ის ოჯახები, რომლებშიც ეს ბავშვები მიიყვანეს?!** რა თქმა უნდა, არ ვამტკიცებთ, რომ ახალ ოჯახებში ბავშვები ცუდად იქნებიან ან ცუდად მოექცევიან, ან საკვებს არ მიცემენ, მაგრამ დაგვეთანხმეთ, დედასავით მათ ვერავინ ჩაიკრავს გულში, მამასავით არავის ეტკინება შვილის გასაჭირი და არავის გაუხარდება მისი წარმატება.

უფრო დიდ აბსურდზე გიამბობთ: **სახელმწიფოსგან ეს ოჯახი, როგორც სოციალურად დაუცველი, თვეში 470 ლარს იღებდა. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ 9 ბავშვსა და მათ მშობლებს თვეში 470 ლარი ეყოფათ, მაგრამ, როცა ბავშვები სხვაგან გადაიყვანა, თითოს იმაზე მეტი თანხა დაუნიშნა, ვიდრე ყველა ერთად იღებდა.** როცა სოციალური სააგენტოს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს დავუკავშირდით, გვითხრა: კანონია ასეთი, ჩვენ რა ვქნათო, მაგრამ ის კი არ თქვა, — იდიოტური კანონია და სახელმწიფოს რეკომენდაციით მივმართეთ, რომ გაასწოროსო. არა, **არის კანონი და ასრულებენ, თუმცა თავადაც კარგად ხვდებიან, რომ ყველაფერი ძალიან სულელურია.**

ეს — გასულ კვირას, ერთი თვის წინათ კი ავლაბარში წაართვა სოციალურმა მუშაკმა დედას 2 წლის შვილი, — სათანადო პირობებში არ ცხოვრობს, დედას შემოსავალი მხოლოდ 170 ლარი აქვს და ბავშვი სრულფასოვნად ვერ იკვებებაო. წაიყვანეს ეს ბავშვიც, მიაბარეს სხვა ოჯახს და ზუსტად ვიცით, რომ დაუნიშნეს 600 ლარი (ბავშვის კვება ძვირია). დედა ყოველ დღე მიდის იმ ოჯახის კართან და ყელგამოწეული ეხვეწება, — შვილი მანახვეთო. ანუ, **სახელმწიფომ დედას კი არ მისცა ის 600 ლარი, არამედ სხვა ოჯახს, დედას კი შვილი წაართვა.** ფუტკარაძეების დედამ რა უნდა ქნას — ყოველდღე ცხრა ოჯახში უნდა მივიდეს შვილის სანახავად? ისიც ხომ ფაქტია, რომ ყველას აჭარაში მცხოვრებ ოჯახებში არ გადაანაწილებდნენ? ზოგი თბილისში მოხვდება, ზოგიც ქუთაისში ან ზუგდიდში... და **რა ქნას დედამ, შვილის ნახვა რომ მოუნდება?** ერთხელ მაინც გიფიქრიათ, ბატონებო, **რა განწყობაზე დადგებით, თქვენ რომ წაგართვან შვილი და სხვას მისცენ გასაზრდელად?** რომელიღაც სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებით, რომ გართმევენ სისხლსა და ხორცს... სხვა კი არაფერი იყო ლეკიანობა?! ასე მიჰყავდათ ბავშვები, ასე იტაცებდნენ და მერე სხვა ოჯახები ზრდიდნენ. ჰო, ყველა **იაკობ გოგებაშვილის** „იავნანამ რა ჰქმნა?"-ს გმირივით ვერ მოხვდება ისეთ ოჯახში, მზრუნველობა რომ არ მოაკლდეს და დედობრივი სითბო მიიღოს.

მაგალითად, ახლა, შუა ზაფხულში, ჩემი შვილი ხან გამოხეული შარვლით, ხანაც ფეხშიშველა დარბის. რომ შეხედო, ვერ იტყვი, ამ ბავშვზე ვინმე ზრუნავსო, მაგრამ ვინმემ რომ თქვას, შვილი უნდა წაგართვაო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თოფს ვესვრი. იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, როგორც მე მინდა საუკეთესო ჩემი შვილისთვის, ისე უნდათ იმ შვილწართმეულ მშობლებსაც და მათზე უკეთესად შვილებზე ვერავინ იზრუნებს. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისიც, არიან ისეთები, რომლებიც ახალშობილს სანაგვეზე აგდებენ, მაგრამ ეს ერთეული შემთხვევაა და ვერანაირად ვერ მიუსადაგებთ იმავე ფუტკარაძეებს. ამ ქალს შვილების ყოლის სურვილი რომ არ ჰქონოდა, ერთზე, ორზე, ბოლოს და ბოლოს, სამზე და ოთხზე გაჩერდებოდა.

ხელისუფლებამ კი დაცინვის აქტი ზარ-ზეიმით ჩაატარა. როგორც გვახარეს, 17-წლამდე ბავშვები ერთჯერადად 200-ლარიან დახმარებას მიიღებენ და ეს იმიტომ, სკოლისთვის თუ ბაღისთვის უკეთ მოემზადონ და თანაც, პანდემიამ ყველა აზარალა და ოჯახები ცოტას ამოისუნთქავენო. **ბატონებო, შეიძლება ამაზე არ გიფიქრიათ, მაგრამ ეს ბავშვები სკოლებსა და ბაღებში შარშანაც დადიოდნენ, გაისადაც წავლენ და მაინცდამაინც საარჩევნო წელს რომ დაემთხვა ეს თქვენი გულუხვობა, საეჭვო არ არის?**

900 ათასი 17-წლამდე ბავშვიაო (ღმერთმა ამრავლოს!) და, რომ გვამადლით, 200 მილიონს გავიმეტებთო, ეგ 200 მილიონი ყოველწლიურად რომ გაიმეტოთ? ან სოციალურად დაუცველ ბავშვებზე რომ გადაანაწილოთ და იმ ოჯახებში დატოვოთ, რომლებშიც დაიბადნენ?! თუმცა, რაღა გადანაწილება, აგერ, წართმეულ ბავშვზე 500 ლარს იხდით და ახალი ველოსიპედის მოფიქრებაც არ არის საჭირო, ბიუჯეტში გაქვთ ეს თანხა, უბრალოდ, სწორი მიმართულებით უნდა დახარჯოთ. კიდევ გავიმეორებ: **9 შვილის გაჩენი გმირი დედისთვის თვეში ის 4500 ლარი რომ მიგეცათ, რომელსაც ახლა 9 ოჯახს 500-500 ლარად ურიგებთ, ხომ არ იქნებოდა პრობლემა და ბავშვებიც ნორმალურად ხომ გაიზრდებოდნენ?** როგორ გგონიათ, უცხო ოჯახში რომ მივა არასრულწლოვანი, უცხო ადამიანებს ერთ დღეში შეეგუება, მეორე დღეს მშობლები დაავიწყდება, მესამე დღეს — დედმამიშვილები და ასე გაიზრდება სრულფასოვან მოქალაქედ? არა, ბატონებო, არა! პირველ რიგში, ეს ყველაფერი მათ ფსიქიკას ისე დაარტყამს, მეორე დღესვე რომ დააბრუნოთ შინ, რამდენიმე წელი გაჰყვება შიში, დედის კალთას ისევ არ მომაცილონო. იმ ბავშვებმა უკვე ისეთი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღეს, რომ მისი დანგრეული ფსიქიკის აღდგენას წლები დასჭირდება. ჰო, ფსიქოლოგს ყველას უნიშნავთ და ეგ კიდევ ცალკე ხარჯია, რომელიც ისევ ბავშვებს აკლდებათ.

არ გვჯერა შეთქმულების თეორიების, მაგრამ **რატომღაც გვგონია, რომ ეს ყველაფერი ევროპულ-ამერიკული მოდელია და მას, უბრალოდ, ბრმად მიჰყვებით. დაგიწერ-**




**ეს ასე და თქვენც ასრულებთ; არ ფიქრობთ, რომ თანხები არასწორად იხარჯება, რომ შეჭირვებულ ბავშვაბზე ზრუნვა სხვანაირად შეიძლება, გაცილებით უკეთესად.** ბოლოს ისე გამოვა, რომ ბავშვების წართმევა ჩვეულებრივ ამბად იქცევა და პროტესტსაც აღარავინ გამოთქვამს. ისე ჩანს, **ამ პროგრამის მთავარი მიზანიც ეს არის — გაუფასურდეს მშობლისა და შვილის ურთიერთობა, გაუბრალოვდეს და არ ჰქონდეს მნიშვნელობა, ბავშვს ვინ და როგორ გაზრდის; მთავარია, ისეთი გაიზარდოს, როგორიც ვიღაცას აძლევს ხელს. მშობლების გარემოცვაში თუ არ იზრდება ბავშვი, მშობლის პატივისცემას ვერ ისწავლის და, როცა მშობელს არ სცემს პატივს, ძნელია, სხვას მოეპყრას პატივისცემით. შესაბამისად, ჯანსაღი თაობის ნაცვლად მივიღებთ ზომბებს, რომლისთვისაც უცხო იქნება სიყვარული და სიყვარული არა მხოლოდ მშობლის, არამედ დედმამიშვილის მიმართაც.** დას ან ძმას წლების შემდეგ რომ შეხვდები, ის ისეთივე უცხო ადამიანი იქნება შენთვის, როგორც ნებისმიერი სხვა. სხვადასხვა ოჯახში გაზრდილ ბავშვებს სხვადასხვა მენტალიტეტი ექნებათ, სხვანაირად შეხედავენ მოვლენებს, არ ექნებათ საერთო ინტერესები, არ ექნებათ ნათესავებთან კონტაქტი და ასეთ ადამიანებთან შემდეგ პატრიოტიზმზე საუბარიც სისულელე იქნება — ვინ უნდა უყვარდეს და, რაც მთავარია, რატომ? **ის, დედის კალთას მოგლეჯილი და გასხვისებული ბავშვი, უყვარდა ვინმეს?!**

**სახელმწიფოსგან ეს ოჯახი, როგორც სოციალურად დაუცველი, თვეში 470 ლარს იღებდა. სახელმწიფომ გადაწყვიტა, რომ 9 ბავშვსა და მათ მშობლებს თვეში 470 ლარი ეყოფოდათ, მაგრამ, როცა ბავშვები სხვაგან გადაიყვანა, თითოს იმაზე მეტი დაუნიშნა, ვიდრე ყველა ერთად იღებდა. როცა სოციალური სააგენტოს ერთ-ერთ მაღალჩინოსანს დავუკავშირდით, გვითხრა: კანონია ასეთი, ჩვენ რა ვქნათო, მაგრამ ის კი არ თქვა, — იდიოტური კანონია და სახელმწიფოს რეკომენდაციით მივმართეთ, რათა გაასწოროსო. არა, არის კანონი და ასრულებენ, თუმცა თვითონაც კარგად ხვდებიან, რომ ყველაფერი ძალიან სულელურია**

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ისე, საინტერესოა, იმ 9 ბავშვს სახელმწიფოსგან ამ წინასაარჩევნოდ 1800 ლარი რომ ერგება, მშვილებელი ოჯახები მიიღებენ დამატებით თუ ნამდვილ მშობლებს მისცემენ, შვილებს რამე უყიდეთო?!**

**ბავშვები ხედავენ, რომ არაფერში შეზღუდულები არ არიან და ამას მაქსიმალურად იყენებენ. თანაც, როცა ბავშვი ხედავს, რომ მეგობარი მასზე მეტად თავისუფალია და თავისუფალია სწორედ იმიტომ, რომ მშობლებს ატერორებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), ისიც ცდილობს, დამოუკიდებლობა ამ გზით მოიპოვოს.**

დასავლური «თავისუფლება»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დასავლური ცხოვრების წესის «სიკეთეები» — თავნება, სასტიკი და ფესვებს მოწყვეტილი ახალგაზრდა თაობა

## ადრე ფიზიკურად ვკარგავდით ბიჭებსა და გოგოებს, ახლა მორალურადაც ვკარგავთ

**ალბათ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ბავშვობაში ერთხელ მაინც არ უჩხუბია. ადრე ჩხუბი არ იყო იშვიათი მოვლენა, მაგრამ დანას არავინ ხმარობდა (იარაღის ტარება თუ დასაშვები იყო მოზარდისთვის, არც ვიცოდით). არცთუ იშვიათად, ჩხუბის მომენტში ვიღაცას შეეშინდებოდა და გარბოდა, მაგრამ გაქცეულს არავინ მისდევდა, არც წაქცეულს ურტყამდა ვინმე, იმიტომ, რომ ზნეობა იყო ასეთი: გაქცევა თუ წაქცევა მარცხს ნიშნავდა და დამარცხებულისთვის წიხლის მიყოლება უკადრისი საქციელი იყო. დღეს კი, გამოძიების მასალების მიხედვით, გიორგი შაქარაშვილს რამდენიმე ასეულ მეტრზე სდიეს, ჯაგებსა და ეკლებში, რათა ეცემათ, ბოლომდე ჩაეწიხლათ და... მოკლეს. მანამდე იყო დათუნა სარალიძე და ლევან დადუნაშვილი, რომლებსაც მუშტი არ აკმარეს, არც დანის ერთხელ დარტყმა, დაჩეხეს, აკუწეს... ახლა კი ბუსა ჟვანიაზე ეჭვი აქვთ, რომ ლევან თოფაძეს დანა ოთხჯერ დაარტყა. არა ერთხელ ან ორჯერ, არამედ ოთხჯერ. და არავინ სვამს კითხვას — რა სჭირს ახალგაზრდა თაობას?**

2003 წლიდან, ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ, დასავლურ რელსებზე გადავედით და დასავლურად დავიწყეთ თაობების აღზრდა. ესენი იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლებიც 2003-ში 2-3 წლისანი იყვნენ, ახლა გაიზარდნენ და არავინ მალავს, რომ დღევანდელი თაობა ძალიან აგრესიულია. რატომ? რა შეგვეშალა? **დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რამდენიმე თაობა სხვადასხვა მიზეზის გამო დავკარგეთ, დავკარგეთ სამოქალაქო ომის პერიოდში, დავკარგეთ ომის შემდგომ, როცა ნარკომანობა თითქოს აუცილებელი ატრიბუტი იყო და კარგ ტონად ითვლებოდა; ჰო, კარგ ტონად და გოგოები ცდილობდნენ, შეყვარებული ძველი ბიჭი და ნარკომანი ჰყოლოდათ — საამაყო იყო ეს ამბავი.** ადრე ფიზიკურად ვკარგავდით ბიჭებსა და გოგოებს, ახლა კი მორალურადაც ვკარგავთ. ბავშვებს დავაჯერეთ, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ, 13-14 წლის ბავშვს ჩააგონეს, რომ, თუ მშობელი დაუყვირებს, შეუძლია დარეკოს და არასამთავრობო ორგანიზაციების მთელი არმია დაიძვრება, მშობელს მონსტრად გამოიყვანენ, პოლიცია მოვა და ხელწერილს დააწერინებს; ან კიდევ, ეგებ პირობითი სასჯელი არ აკმარონ დედას ან მამას და ციხეშიც უკრან თავი.

**ბავშვები ხედავენ, რომ არაფერში შეზღუდულები არ არიან და ამას მაქსიმალურად იყენებენ. თანაც, როცა ბავშვი ხედავს, რომ მეგობარი მასზე მეტად თავისუფალია და თავისუფალია სწორედ იმიტომ, რომ მშობლებს ატერორებს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით); ისიც ცდილობს, დამოუკიდებლობა ამ გზით მოიპოვოს.** სხვათა შორის, დიდი სამამულო ომისა და მის შემდგომ პერიოდში ყველაზე სასტიკი დანაშაულები და მკვლელობები სწორედ ოჯახს მოწყვეტილ არასრულწლოვნებზე მოდიოდა, იმიტომ, რომ ისინი იოლად იმეტებდნენ ადამიანს, თანაც იცოდნენ, რომ მათ ამის გამო ვერაფერს ეტყოდნენ მშობლები — ისინი ან ფრონტზე იბრძოდნენ, ან დაღუპულები იყვნენ. ზუსტად **ასეა ახლაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ახლა მშობელი ან შეშინებულია, ან არასამთავრობოებთან ბრძოლის ველზეა შვილის აღზრდის უფლების დასაცავად. ჰო, სწორედ შვილის აღზრდის უფლების, და როცა ბავშვის უფლებებზე ხმამაღლა გაჰკივიან, თუ გსმენიათ, ვინმეს ეთქვას, უფლებები მშობელსაც აქვს, შვილი ისე გაზარდოს, როგორც სწორად მიაჩნიაო? ვინმეს უთქვამს, უფლება აქვს მშობელს, შვილს დაუყვიროს და დატუქსოსო?** ძველი თაობის წარმომადგენლებმა გულზე ხელი დაიდეთ, განა **ისე გაგზარდეს მშობლებმა, ხმა არ აუწევიათ? ან გიფიქრიათ ოდესმე, სადმე დაგერეკათ, ვინმესთვის შეგეჩივლათ, მშობელმა დამიყვირაო?** არა. იმიტომ, რომ ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, ბავშვებმა ზუსტად იცოდნენ, რომ მშობელს მათთვის კარგი სურდა და ხმასაც იმიტომ უწევდა. იმხანად თუ არ იცოდნენ, რომ გაიზარდნენ, მერე მიხვდნენ, რომ მშობელი მართალი იყო. **ახლა კი ფიქრის დროც არ აქვთ ბავშვებს, მათ იმდენი „დამცველი" გამოუჩნდათ, მშობელმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.** ყველას აქვს ისეთი მომენტი, როცა გგონია, მთელი სამყარო შენს წინააღმდეგაა და აი, **სწორედ მაშინ, როცა მშობლის რჩევა და ხელია საჭირო, საქმეში არა მშობელი, არამედ არასამთავრობო ორგანიზაცია ერევა და სადღაც, უცხო ქვეყანაში დაწერილი პროგრამის მიხედვით, დაზეპირებული ფრაზებით ცდილობს ბავშვის აღზრდას.**



**სწორედ მაშინ, როცა მშობლის რჩევა და ხელია საჭირო, საქმეში არა მშობელი, არამედ არასამთავრობო ორგანიზაცია ერევა და უცხო ქვეყანაში დაწერილი პროგრამის მიხედვით, დაზეპირებული ფრაზებით ცდილობს ბავშვის აღზრდას**

გემახსოვრებათ, ალბათ, რამდენჯერ ახსენეს, განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში, ახალშობილთა თუ მოზრდილთა კანქვეშ სპეციალური „ჩიპის" ჩადება, რათა ნებისმიერი ადამიანი გაეკონტროლებინათ. სხვადასხვა ქვეყანაში ამას განსხვავებული რეაქცია მოჰყვა. ევროპაში რამდენიმე სახელმწიფომ იდეა აიტაცა და ე.წ. დაჩიპვის პროცესიც დაიწყო. ჩვენთან ამ ყველაფერს მძაფრი რეაქცია მოჰყვა, ცალკე საზოგადოებამ გააპროტესტა, ცალკე — ეკლესიამ, მაგრამ იმაზე არავინ ფიქრობს, რომ აუცილებელი არ არის, კანქვეშ რამე დაამაგრონ და ისე აკონტროლონ ადამიანები. **ქვეცნობიერში უდებენ მომავალ თაობას „ჩიპებს" და სწორედ მათი მეშვეობით მართავენ.** ისევ შაქარაშვილზე ვთქვათ — 19 წლის ყმაწვილის სასტიკი მკვლელობის საქმე სასამართლოშია და მკვლელობაში ეჭვმიტანილებს სასამართლოს კართან ხვდებიან თანატოლები და ამხნევებენ ბოლო ხმაზე შეძახილებით — „ჩემი ძმა ხარ!", „გამაგრდით, ბრატცი!" სანამ საქმე ძიებაშია, სანამ განაჩენი არ დადგება, ვერ ვიტყვით, ვინ არის მტყუანი და ვინ — მართალი, თუმცა ახალგაზრდებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, მათი მეგობარი მკვლელია თუ არა. ის უნდა „გამაგრდეს" და იცოდეს, რომ მათი „ბრატია". **ცალკე პრობლემაა ის, რომ ეს არასრულწლოვნები ღამის ორ საათზე მცხეთა-თბილისის გზატკეცილზე დარბოდნენ და შაქარაშვილსა და მის მეგობრებს დასდევდნენ. ღამის 2 საათზე მშობლებმა შესაძლებლობა მისცეს არასრულწლოვან შვილებს, გაურკვეველი მიმართულებით წასულიყვნენ, ბოლომდე არ ჩაეძიენ, სად მიდიოდნენ, რატომ, რისთვის. უბრალოდ, შინიდან გაუშვეს არასრულწლოვანი შვილი და ახლა გამოძიების პროფესიონალიზმში შეაქვთ ეჭვი. მათ თავიანთ, როგორც მშობლის, კომპეტენციაში კი არ შეაქვთ ეჭვი, იმას კი არ ამბობენ, — მე შემეშალა, არასწორად მოვიქეცი, რომ არ გამეშვა, არ მოხდებოდაო,** — არა, გამოძებისა და მოსამართლისკენ იშვერენ თითს: არ გაბედო და ჩემი შვილი არ გაამტყუნოო.

მაგალითად, **ბუსა ჟვანიას** დედამ ბოდიში მოიხადა: მერჩივნა, დაზარალებული მე ვყოფილიყავიო და ძნელია, მის გულწრფელობაში ეჭვი შეიტანო, მაგრამ იმას რა ვუყოთ, რომ ამ პატარა საქართველოში და უფრო პატარა თბილისში ლაპარაკობენ, რომ ეს დაჭრა პირველი არ არის, რომელიც ბუსა ჟვანიამ ჩაიდინა, რომ მანამდე აპატიეს, როგორც ზურაბ **ჟვანიას** შვილს, და ეგებ ახლაც ეპატიებინათ, სასიკვდილოდ გამეტებული ბიჭი რომ არ იყოს მეორე მხარეს და თანაც ცნობილი პიროვნების **გოგი თოფაძის** შვილიშვილი. ეს არის სწორედ პრობლემა, რომ რაღაცებს ვმალავთ, მივუტევებთ და შემდეგ მოზარდი მარტივად იჯერებს, რომ ყველაფერი ეპატიება. გენერალი **კობა კობალაძე** პატივსაცემი პიროვნებაა, მაგრამ, სანამ ტელევიზიით არ გამოუცხადეს, — თქვენი შვილი ახალგაზრდა კაცის სასტიკ ცემაში მონაწილეობდაო, მანამდე არ მიიყვანა შვილი პოლიციაში. არ იცოდა? იცოდა, მაგრამ, „ქართულად, ჯიგრულად" უნდოდა საქმის მოგვარება. ამ ჯიგრობას მივყავართ სისასტიკემდე. ასე მარტივად რომ ეპატიებინათ კობალაძის შვილისთვის, ხომ დაიჯერებდა, მამაჩემი ყოვლისშემძლეაო და მერე უარესს იზამდა? ამიტომ ჩადენილი დანაშუალისთვის პასუხი უნდა აგოს ყველამ, არ აქვს მნიშვნელობა, რა გვარისაა და ვისი შვილია, კანონის წინაშე ყველა თანასწორი უნდა ვიყოთ.

სანამ ბავშვები იფიქრებენ, რომ მშობლებს, არასამთავრობოებსა და კიდევ ათას ვინმეს შესაძლებლობა ექნებათ, ყველა ვითარებიდან გამოაძვრინონ, სასტიკი დანაშაულები ყოველდღიურად გვექნება და ვერაფერს შევცვლით. მშობლებმა იციან, რომ შვილებს არასამთავრობოების მიერ დაწერილ დოგმებზე უკეთ გაზრდიან და ამის შესაძლებლობა სახელმწიფომ უნდა მისცეს, იმ სახელმწიფომ, რომელიც ჯერჯერობით მშობლის მხარეს არ არის და მხოლოდ გაზრდილ სტატისტიკურ მონაცემებზე მითითებით შემოიფარგლება.

კიდევ ვიმეორებ: **სასტიკი დანაშაულების უმრავლესობა ადრეც და ახლაც არასრულწლოვნებზე მოდიოდა და ამიტომ არასრულწლოვნებს განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა მოვეპყრათ, თორემ მორიგი დაკარგული თაობა შეგვრჩება ხელში და საქართველო ამას ფიზიკურად ველარ გადაიტანს.**

**სანამ ბავშვები იფიქრებენ, რომ მშობლებს, არასამთავრობოებსა და კიდევ ათას ვინმეს შესაძლებლობა ექნებათ, ყველა ვითარებიდან გამოაძვრინონ, სასტიკი დანაშაულები ყოველდღიურად გვექნება და ვერაფერს შევცვლით. მშობლებმა იციან, რომ შვილებს არასამთავრობოების მიერ დაწერილ დოგმებზე უკეთ გაზრდიან და ამის შესაძლებლობა სახელმწიფომ უნდა მისცეს, იმ სახელმწიფომ, რომელიც ჯერჯერობით მშობლის მხარეს არ არის და მხოლოდ გაზრდილ სტატისტიკურ მონაცემებზე მითითებით შემოიფარგლება**

ბესო ბარბაქაძე

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბელარუსის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომ 2008 წელს ამერიკელების მიერ ბელარუსისთვის დაწესებული უსინდისო სანქციების გამო ვაშინგტონიდან ელჩი გამოიწვია, მინსკიდან კი აშშ-ის ელჩი გააძევა, არც მეტი, არც ნაკლები, ბელარუსში აშშ-ის „მეხუთე კოლონის“ ორგანიზების ბრალდებით.**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეჩვიდმეტე გადაცემა

# ქართული კოვზი ამერიკულ ნაცარში

**ვალერი კვარაცხელია:** — გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა“, რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

დღევანდელ გადაცემაში ნახავთ:

* აგვისტოს ომით სპეკულანტები;
* კრიმინალი და პოლიტიკა;
* ორი „დიდი ქართველი“ მესამე „ცუდი“ ქართველის წინააღმდეგ;
* რუსულ-ბელარუსული გაუგებრობის კვანძი გახსნილია.

მაშ, ასე: 2008 წლის აგვისტოს ომიდან თორმეტი წელიწადი გავიდა. საქართველო კი დღემდე იმის გარკვევას ცდილობს, ვინ დაიწყო ომი.

**ერთი ტიპის „პატრიოტები“** საკუთარ თავსაც არ უტყდებიან იმაში, რომ ომი საქართველომ დაიწყო და, შინ თუ გარეთ, გაიძახიან: 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთმა დაიწყოო!

**მეორე ტიპის „პატრიოტები“** კერძო საუბრებში აღიარებენ, რომ ომი საქართველომ დაიწყო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რაკი პატრიოტები ვართ, ოფიციალურად არ უნდა ვაღიაროთ ეს ამბავი და ვიძახოთ, — 2008 წლის ომი რუსეთმა დაიწყოო!

**მესამე ტიპის „პატრიოტები“** გაიძახიან: საქართველო რა შუაშია, 2008 წლის ომი სააკაშვილმა დაიწყოო.

ეს განცხადებები ისმის საქართველოში, უკვე მეთორმეტე წელიწადია. სამივე ტიპის ეს „პატრიოტები“ ტყუიან, ვინაიდან სიმართლე სხვაა. კერძოდ:

**2008 წლის 7 აგვისტოს ქართულმა მხარემ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის, მიხეილ სააკაშვილის, წინამძღოლობით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია დაიწყო. 8 აგვისტოს, გამთენიისას მათ ცხინვალი შტურმით აიღეს. რუსული არმია მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აი, ეს არის სიმართლე. ყველაფერი სხვა დანარჩენი, რაც ამ ფაქტს ეწინააღმდეგება, არის ტყუილი.** სიმართლე ვთქვათ თუ ტყუილი ვთქვათ, ჩვენთვის ასე სჯობს თუ ისე და ა.შ., სხვა თემებია. მე ამ თემებს არ განვიხილავ, რადგან მიმაჩნია, რომ ფრანგი ფილოსოფოსი **მონტესკიე** ცამდე მართალი იყო, როდესაც სიცრუის თქმას არ გვავალდებულებდა:

**შარლ ლუი დე მონტესკიე, ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი:** — ყველა ვალდებულია, მოკვდეს სამშობლოსთვის, მაგრამ არავინ არ არის ვალდებული იცრუოს სამშობლოსთვის!

**ვალერი კვარაცხელია:** — მე არ ვთვლი თავს ვალდებულად, რომ ვიცრუო — თუნდაც სამშობლოსთვის. მით უმეტეს, რომ ამ სიცრუეს სამშობლოსთვის ხეირი კი არ მოაქვს, უკიდურესად აზიანებს. ბევრი ფაქტი და დოკუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს ცხინვალში ომი სააკაშვილმა, ანუ ქართულმა მხარემ დაიწყო. მე **შემიძლია ამ დოკუმენტების აქ გამოფენა, მაგრამ ან მე რატომ ვიწვალო, ან თქვენ რატომ გაწვალოთ, მაშინ, როდესაც თვითონ პირველწყაროსა და სამხედრო დამნაშავე მიხეილ სააკაშვილისგან შეგვიძლია მოვისმინოთ სრულიად არაორაზროვანი და პირდაპირი აღიარება, რომ ომი სწორედ ქართულმა მხარემ დაიწყო. საკმარისია, დალოცვილი ქართული შრიფტით „იუთუბზე“ ავკრიფოთ სიტყვები: სააკაშვილი: „ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება ცხინვალის რეგიონში სამხედრო მოქმედებების შესახებ“, მერე დავაჭიროთ თითი კომპიუტერის იმ ღილაკს, რომელსაც ლათინური შრიფტით აწერია — enter. ორი ამ უმარტივესი პროცედურის გავლის შემდეგ თქვენ უდიდესი ბედნიერება გელით:**

**1.** ხილვა საქართველოს მესამე პრეზიდენტისა და მსოფლიო მხედართმთავრული გენიის „უბრწყინვალესი“ წარმომადგენლისა.

**2.** მოსმენა იმ ჭეშმარიტებისა, რომლის დასადგენად ქართველ „პატრიოტთა“ მთელმა პლეადამ თორმეტი წლის განმავლობაში ამაოდ იშრომა, იბრძოლა, იწვალა, იღვაწა და... მიზანს ვერ მიაღწია. მათ „პატრიოტულ“ თავგამოდებას, რომ ომი სააკაშვილს არ დაუწყია, თვითონ მიხეილ სააკაშვილი, აგერ თქვენს გასაგონად, ხელის ერთი მოსმით, წყალში გადაყრის. თქვენ კი, სანამ „იუთუბზე“ ეს გვერდი არ წაუშლიათ, შეგიძლიათ მოდუნდეთ, მოეშვათ და დატკბეთ...




**მიხეილ სააკაშვილი,** საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი: — კითხვაზე — განვახორციელეთ თუ არა ჩვენ სამხედრო მოქმედებები აგვისტოს დასაწყისში იმისათვის, რომ აგვეყვანა კონტროლქვეშ ცხინვალი და ის ადგილები სამხრეთ ოსეთის, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებდით, მე ადრეც ღიად ვაცხადებდი და ახლაც ვაცხადებ, რომ, დიახ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გვეწარმოებინა სამხედრო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში. ჩვენ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ეს იყო მძიმე გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებდა ქვეყნისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობის მქონე ნებისმიერი დემოკრატიული ხელისუფლება!

**ვალერი კვარაცხელია: — სააკაშვილის ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, მთლად შეურაცხადი თუ არ არის ადამიანი, იმის მტკიცებას არ დაიწყებს, ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები ქართულ მხარეს არ დაუწყიაო, ვინაიდან ეს არის დადასტურებული ფაქტი, რომელიც ჩვენ თვალწინ მოხდა და, რომელსაც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი აღიარებს.** ამის შემდეგ უარყოფა იმისა, რომ ცხინვალში საომარი მოქმედებები ქართულმა მხარემ დაიწყო, მთელ ქვეყანას უხერხულ და სასაცილო მდგომარეობაში აგდებს, რაც არ გვეკადრება. **რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა საქართველოს ხელისუფლებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების წარმოების იურიდიული უფლება, პასუხი აქაც ერთმნიშვნელოვანია — მას ამის უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან ამ ტერიტორიას საერთაშორისო ორგანიზაციების მანდატით აღჭურვილი სამშვიდობოები აკონტროლებდნენ, რის გამოც იქ საქართველოს კანონიერი იურისდიქციის აღგენის ერთადერთი მექანიზმი იყო დიპლომატია.** ყველა სხვა გზა, სამხედრო ჩარევის ჩათვლით, იყო უკანონო, კონტრპროდუქტული და საქართველოსთვის დამანგრეველი შედეგების მომტანი. **ვინც დღესაც „პატრიოტულად“ არის მომართული და ამტკიცებს, რომ ომი საქართველოს არ დაუწყია (ვინც უნდა იყოს იგი — პოლიტიკოსი, ჟურნალისტი თუ, უბრალოდ, მოქალაქე), არის მატყუარა და სპეკულანტი, რომელიც საქვეყნო საქმის ფეხებზე დაკიდებით ცდილობს, საკუთარი თავი პატრიოტად წარმოაჩინოს.**

ეს, რაც შეეხება 2008 წლის ომს.

ერთი უცნაური ტენდენცია შეიმჩნევა საქართველოში — **შვილმოკლული მშობლები პოლიტიკოსობას იწყებენ.** ადამიანები, რომლებსაც ოჯახის წევრი მოუკლეს, ხშირად უკმაყოფილო რჩებიან გამოძიებით, საქმის წარმოებით, სასამართლო პროცესით და დამდგარი განაჩენით. საქართველოს მოქალაქეებში, საზოგადოდ, უსამართლობის განცდა სჭარბობს სამართლიანობის განცდას. ეს, ცხადია, უსაფუძვლოდ არ ხდება. გაიხსენეთ, სააკაშვილის მმართველობის პერიოდი — განუკითხაობა, ქუჩებში ახალგაზრდების დახოცვა, ე.წ. ციხის ბუნტი, პატიმართა წამება და სხვა ათასი უბედურება. გაიხსენეთ შვილმკვდარი მშობლები — **ირინა ენუქიძე, ია მეტრეველი, სოსო რობაქიძე, ჯამბულ გამცემლიძე** და საკუთარი შვილის საფლავზე ვერაგულად აფეთქებული **იური ვაზაგაშვილი.** ყველას ვერ ჩამოვთვლით. სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმის მიერ გაუბედურებული ოჯახი ბევრია საქართველოში. დღეს სამართალდამცავი სისტემის მუშაობით უკმაყოფილო თუ ხარ, ბუნებრივია, უნდა იბრძოლო სამართლიანობის მისაღწევად, მაგრამ ამ ბრძოლამ პოლიტიკურ აბსურდში არ უნდა გადაგაგდოს. საერთოდაც, არ უნდა გაგაპოლიტიკოსოს, თორემ იგივე დაგემართება, რაც შვილმოკლულ მამებს, თავისთავად შეუპოვარსა და მებრძოლ პიროვნებებს — **მალხაზ მაჩალიკაშვილსა** და **ზაზა სარალიძეს,** რომლებიც, პოლიტიკა- ▶

**2008 წლის 7 აგვისტოს ქართულმა მხარემ საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტისა და უმაღლესი მთავარსარდლის, მიხეილ სააკაშვილის, წინამძღოლობით ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაცია დაიწყო. 8 აგვისტოს, გამთენიისას მათ ცხინვალი შტურმით აიღეს. რუსული არმია მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. აი, ეს არის სიმართლე. ყველაფერი სხვა დანარჩენი, რაც ამ ფაქტს ეწინააღმდეგება, არის ტყუილი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოში რამდენჯერაც ტრაგედია დატრიალდება, იმდენჯერ უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება? ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მობრუნება ხომ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი? ბატონმა ჯუმბერ ბაჩალიაშვილმა იმაზე თუ იფიქრა, მკვლელი სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრუნება კიდევ რამდენ ახალგაზრდას გაისტუმრებს იმქვეყნად და რამდენ მშობელს შემოსავს ძაძებით?

აშში გადავარდნით „ნაციონალური მოძრაობის“ მძევლებად იქცნენ. სამწუხაროდ, პოლიტიკური იყო დაღუპული გოგონას — **თამარ ბაჩალიაშვილის** მშობლების არაერთი განცხადება.

**თეონა თამაზაშვილი,** თამარ ბაჩალიაშვილის დედა: — მივმართავ ამერიკის ელჩს — **კელი დეგნანს,** ჩემი შვილის გარდაცვალების საქმის გამოძიებაში აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო ჩაერთოს.

**ვალერი კვარაცხელია:** — დედა, რომელმაც ანგელოზივით გოგო საფლავში ჩააწვინა, სიმართლის დასადგენად რომ იბრძოდეს, რა გასაკვირია, მაგრამ აშშ-ის საელჩოსთან გამართული ეს მიტინგი და „ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიურო“ მისი პირიდან მაინც არაბუნებრივად და პოლიტიზებულად ისმოდა.

პოლიტიზების მცდელობაზე გამოთქმული ეს ჩემი ფრთხილი ვარაუდები მთლად უსაფუძვლო არ არის. ამაში თამარ ბაჩალიაშვილის მამის მიერ გაკეთებული ერთი უხერხული განცხადება უფრო დაგარწმუნებთ.

**ჯუმბერ ბაჩალიაშვილი,** თამარ ბაჩალიაშვილის მამა: — ჩვენ ბრძოლას არ შევწყვეტთ. ოქტომბრის ბოლომდე ბრძოლას არ შევწყვეტთ. იმედი მაქვს, რომ ნოემბრიდან უკვე დაიწყება კარგი ცხოვრება და ყველას გვეშველება. გამოვილვიძოთ და ერთად ვიყოთ.

**ვალერი კვარაცხელია: — რთული არ არის ამ ტექსტის გაშიფვრა. ოქტომბრის არჩევნებში მმართველი პარტია დამარცხდება, ხელისუფლებაში სხვა პოლიტიკური ძალა მოვა და ყველაფერი კარგად იქნებაო. მაინც რომელია ის პოლიტიკური ძალა, რომლის გამარჯვებასაც გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის მშობლები ასე მოუთმენლად ელიან?** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჯუმბერ ბაჩალიაშვილი ჯერ კიდევ შვილის დაკრძალვამდე სააკაშვილის ტელეარხის სტუმარი იყო და **კვესიტაძესთან** საუბრისთვის შინაგანი ძალა და ნერვები ჰყოფნიდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი სააკაშვილისა და მისი „ნაციონალური ხროვის“ მობრუნებას ელოდება.

როგორ შევაფასოთ ეს ვითარება?

ეს საკითხისადმი რაციონალური მიდგომაა?

**საქართველოში რამდენჯერაც ტრაგედია დატრიალდება, იმდენჯერ უნდა მოხდეს სახელმწიფო გადატრიალება? ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მობრუნება ხომ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი?**

**ბატონმა ჯუმბერ ბაჩალიაშვილმა იმაზე თუ იფიქრა, მკვლელი სააკაშვილის ხელისუფლებაში მობრუნება კიდევ რამდენ ახალგაზრდას გაისტუმრებს იმქვეყნად და რამდენ მშობელს შემოსავს ძაძებით?**

ბაჩალიაშვილების ტრაგიკული ოჯახის წევრთა ფიქრი, შესაძლებელია, ვერ გასწვდეს საქვეყნო საქმეს, მაგრამ ქართველ ხალხს უფრო სერიოზული დაფიქრება მართებს თავის მომავალზე, მით უმეტეს, ამდენი პოლიტიკური ფიასკოს შემდეგ...

კიდევ ერთ საკითხს შევეხები.

ქართულ საინფორმაციო საშუალებებსა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ყბადაღებული სიცრუისა და უსინდისობის პარალელურად, მძლავრობს შემზარავი დილეტანტიზმი. ახლა გაგაცნობთ ფრაგმენტს ტელეარხ **„ფორმულას“ ერთ-ერთი გადაცემიდან.**

**ირაკლი ტაბლიაშვილი, წამყვანი:** — სტალინი ებრძოდა ილიას. გესმით, რას ვგულისხმობ. განმივრცეთ, განმივრცეთ!

**გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი:** — სტალინი თავის თავს არც ხედავდა ქართველად, არც ასაღებდა ქართველად... სხვათა შორის, არც იტყუებოდა. არც ამბობდა, რომ ქართველი ვარო. რუსი ვარო... რუსი ვარო... სტალინი არ ამბობდა, რომ უყვარს საქართველო, სტალინი ამბობდა, რომ უყვარს საბჭოთა კავშირი, მსოფლიო პროლეტარიატი და, ამბობდა, რომ დანარჩენი ყველა არის გასაქრობი...

**ირაკლი ტაბლიაშვილი:** — ოღონდ, ვერ გაგვაქრო. სამოცდაათი წლის შემდეგ მოხდა ის, რაც მოხდა, 91 წელს დამარცხდა სტალინი. ისტორიულ დამარცხებას ვგულისხმობ, ცხადია.

**ვალერი კვარაცხელია:** — დილეტანტიზმი ვახსენე წელან. მგონი, ზედმეტად ლიტერატურული სიტყვა გამოვიყენე. **დილეტანტიზმი კი არა, ისეთი გულისამრევი სისულელე და სიბინძურეა ის, რასაც ეს წამია გაეცანით, მეტი რომ არ შეიძლება. საერთოდ, ქართული ტელეარხებიდან რაც სისულელე იფრქვევა, მსოფლიოს ეყოფა. ამიტომ, ამან აღარც უნდა შეგვაშფოთოს, მაგრამ მაინც გიკვირს, როდესაც ხედავ, რომ კაცი, რომელიც საკუთარ თავს ფილოსოფოსად ასაღებს და, რაც მთავარია, ქართული სახელმწიფოს ყოფილი პრეზიდენტია, ასე უაპელაციო განცხადებებს აკეთებს.** მით უმეტეს, როდესაც საქმე იმ მასშტაბის ისტორიულ პიროვნებას და იმ მასშტაბის ქართველს ეხება, როგორიც სტალინია. ბიბლიური პასაჟები გადატანითი მნიშვნელობით უფრო უნდა გავიგოთ-ხოლმე, ვიდრე პირდაპირი მნიშვნელობით. აპოკალიფსი, სანამ იგი სამყაროში განხორციელდება, ანუ ცოდვათა გამო აღსასრულის ჟამი დადგება, ეტყობა, ცნობიერებაში მოხდება. **მეტი რა აპოკალიფსური დამბლა უნდა დაეცეს ადამიანის ცნობიერებას, მეტი როგორ უნდა აემღვრეს და გაულაყდეს ტვინი, რომ სააკაშვილს აღმერთებდეს და სტალინს განაქიქებდეს?! იჯდა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი (ფილოსოფოსი) და თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობებით იმ ვინმე ტაბლიაშვილზე (წამყვანზე) უბადრუკად გამოიყურებოდა. არ არის ეს ეროვნული ტრაგედია?!**

კიდევ ერთი საკითხი...

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ძალიან მომრავლდა ე.წ. ფერადი რევოლუციები, მსოფლიოში გავრცელდა ასეთი ხუმრობა: ეს რევოლუციები, აშშ-ის გარდა, ყველგან მოხდებაო. რატომო? — იმიტომ, რომ აშშ-ში აშშ-ის საელჩო არ არისო.

**ყველა იმ სახელმწიფოს თავზე, რომელშიც აშშ-ის საელჩოა, დამოკლეს მახვილი ჰკიდია.** ბელარუსის პრეზიდენტმა **ალექსანდრე ლუკაშენკომ** 2008 წელს, ამერიკელების მიერ ბელარუსისთვის დაწესებული უსინდისო სანქციების გამო, ვაშინგტონიდან ელჩი გამოიწვია, მინსკიდან კი აშშ-ის ელჩი გააძევა, არც მეტი, არც ნაკლები, ბელარუსში აშშ-ის „მეხუთე კოლონის“ ორგანიზების ბრალდებით. მას შემდეგ თორმეტი წელიწადი გავიდა. 2020 წლის თებერვალში ბელარუსს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **მაიკ პომპეო** ეწვია და ურთიერთობების დათბობაც დაიწყო. ახლახან ელჩებიც გაცვალეს და თითქოს ყველაფერი მშვიდობიანად ვითარდებოდა, მაგრამ **ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ბელარუსსა და რუსეთს შორის უზარმაზარი სკანდალი აგორდა. მინსკში დესტაბილიზაციის მომზადების ბრალდებით რუსეთის 33 მოქალაქე დააკავეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მინსკის ინციდენტი პროვოკაცია აღმოჩნდა.**

**ИЗВЕСТИЯ:** — ბელარუსში რუსი მოქალაქეების დაკავება უკრაინული სპეცსამსახურების მიერ მოწყობილი პროვოკაცია აღმოჩნდა.

**ვალერი კვარაცხელია:** — მეტი გამოძიების წარმოება (არც იურიდიულის და არც ჟურნალისტურის) საჭირო არ არის. ისედაც ყველაფერი ნათელია. **უკრაინის დღევანდელი სპეცსამსახური აშშ-ის სპეცსამსახურია, უკეთეს შემთხვევაში — აშშ-ის სპეცსამსახურის უკრაინული ფილიალი.** ნათელია, რომ ეს პროვოკაცია, რომელმაც კინაღამ ჩაანგრია ხიდი რუსეთსა და ბელარუსს შორის, გარეშე ძალების ხელით იმართებოდა. არ აქვს მნიშვნელობა, კონკრეტულად საიდან მოდიოდა პროვოკაცია — კიევიდან თუ რომელიმე სხვა ქალაქიდან, სულაც მოსკოვიდან, **მთავარი ის არის, რომ მისი მართვის მთავარი პულტი ვაშინგტონში იყო. ეს ფაქტი მინსკში აშშ-ის ელჩის გამოჩენიდან სულ რამდენიმე დღეში მოხდა. კონკრეტული საკითხები და დეტალები, რა თქმა უნდა, შესასწავლი და გამოსაძიებელია, მაგრამ იმ ზოგადი დასკვნის გაკეთებას, რომ მინსკის პროვოკაციაზე ამერიკელებმა თავიანთი ყურმოჭრილი ყმების ხელით, როგორც კიევში, ასევე მოსკოვში, სერიოზულად იმუშავეს, გამოძიება არ სჭირდება.** ამ ეტაპზე ჩვენთვის ეს ზოგადი დასკვნაა მთავარი. კიდევ კარგი, რომ მინსკშიც და მოსკოვშიც დროულად გაერკვნენ შექმნილ ვითარებაში და ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პროვოკაციები და სიბინძურეები აღარ იქნება... როგორ ფიქრობთ, **უცხო ძალების ჩარევის გარეშე დაიძაბა ვითარება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ცოტა ხნის წინათ? არავითარ შემთხვევაში! ვინ იყვნენ ეს უცხო ძალები? რა თქმა უნდა, ამერიკული სპეცსამსახურები, რომლებიც მსოფლიოს მოედვნენ, ყველგან წრიალებენ, თავიანთი ბინძური საცეცებით ყველაფერს სწვდებიან და გაუთავებლად თესავენ ბოროტებას, რომელმაც ხან ახლო აღმოსავლეთში უნდა ამოიყაროს ყლორტები, ხან — კავკასიაში, ხან — ლათინურ ამერიკაში, ხან — ჩინეთში, ხან — ჩრდილოეთ კორეაში და, რომელიღაც ეტაპზე, ერთიანად უნდა მოიცვას მთელი მსოფლიო. ამერიკელთა ამ სცენარში, ცხადია, ბელარუსიც განიხილება.**

**როგორ ფიქრობთ, უცხო ძალების ჩარევის გარეშე დაიძაბა ვითარება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ცოტა ხნის წინათ? არავითარ შემთხვევაში! ვინ იყვნენ ეს უცხო ძალები? რა თქმა უნდა, ამერიკული სპეცსამსახურები, რომლებიც მსოფლიოს მოედვნენ, ყველგან წრიალებენ, თავიანთი ბინძური საცეცებით ყველაფერს სწვდებიან და გაუთავებლად თესავენ ბოროტებას, რომელმაც ხან ახლო აღმოსავლეთში უნდა ამოიყაროს ყლორტები, ხან — კავკასიაში, ხან — ლათინურ ამერიკაში, ხან — ჩინეთში, ხან — ჩრდილოეთ კორეაში და, რომელიღაც ეტაპზე, ერთიანად უნდა მოიცვას მთელი მსოფლიო**

აშშ-სა და ბელარუსს შორის დიპლომატიური ურთიერთობის თორმეტწლიანი წყვეტის შემდეგ, 2020 წლის 1 თებერვალს მინსკში, როგორც უკვე გითხარით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჩაბრძანდა, რომელსაც ალექსანდრე ლუკაშენკო მწარე იუმორით შეხვდა.

**ალექსანდრე ლუკაშენკო,** ბელარუსის პრეზიდენტი: — კარგია, რომ გარისკეთ და ჩამოხვედით ჩვენი დიქტატურის სანახავად.

**ვალერი კვარაცხელია:** — სტუმარი მასპინძელს იუმორში ვერ აჰყვა. ამიტომ, იქით გადაუხვია, სადაც უფრო ძლიერი პოზიცია აქვს — დემაგოგიისა და მოქრთამვისკენ.

**მაიკ პომპეო,** აშშ-ის სახელმწიფო მდივანი: — ჩვენ დაინტერესებული ვართ ბელარუსის დამოუკიდებლობითა და სუვერენიტეტით... ჩვენ მსოფლიოში ნავთობპროდუქტების უდიდესი მწარმოებელი სახელმწიფო ვართ და შეგვიძლია, ბელარუსი მთლიანად დავაკმაყოფილოთ მისაღებ ფასებში.

**ვალერი კვარაცხელია:** — გასაოცარია, ხომ?! ბელარუსს საკუთარი ენერგომატარებლები არ აქვს და სხვაზეა დამოკიდებული, მაგრამ **წარმოიდგინეთ, რა მასშტაბის ვერაგობაა ჩადებული პომპეოს შეთავაზებაში. ბელარუსი ენერგომატარებლებით უმდიდრესი და თითქმის მთელი ევროპა-აზიის მომმარაგებელი რუსეთის მოკავშირე ათმილიონიანი სახელმწიფოა. რისთვის სჭირდება მას ოკეანის გაღმიდან წამოღებული ენერგომატარებლები, როდესაც რუსეთი გვერდით ჰყავს?!** რა აზრი შეიძლება ჰქონდეს იმას, რომ ბელარუსში ნავთობპროდუქტები ტანკერებით ათრიო, გარდა იმისა, რომ რუსეთი და ბელარუსი ერთმანეთს მოწყვიტო და მათ შორის დამაკავშირებელი ძაფები ჩაწყრა?! რა განსაკუთრებული მიხვედრის უნარი სჭირდება იმის გაგებას, რომ ამერიკელები პროვოკაციებითა და გაუგებრობების შექმნის გზით რუსეთსა და ბელარუსს შორის განხეთქილების ჩამოგდებას ცდილობენ. თავიანთი პოზიციებიდან და გადასახედიდან სწორადაც იქცევიან, ვინაიდან ბელარუსი და მისი პრეზიდენტი სერიოზულად ჰყავთ ყელში გაჩხერილი.

**ალექსანდრე ლუკაშენკო ორი მთავარი მიმართულებითაა მიულებელი აშშ-ისა და, საერთოდ, კოლექტიური დასავლეთისთვის. პოსტსაბჭოთა სივრცეში პრეზიდენტი ლუკაშენკო ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც იმთავითვე მტკიცედ დაადგა რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის გზას და, მიუხედავად გაუთავებელი პროვოკაციებისა არა მხოლოდ დასავლეთიდან, არამედ რუსეთიდანაც, აგერ უკვე ოცდაექვსი წელიწადია, ამ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით უაღრესად სწორი გზიდან არ გადაუხვევია.** მეორე და უმთავრესი ისაა, რომ **ლუკაშენკომ არ დაანგრია სოციალისტური სისტემის უმთავრესი მონაპოვარი, არ დაანგრია საბჭოთა პერიოდში შექმნილი სამრეწველო პოტენციალი, ინფრასტრუქტურა, საწარმოო ურთიერთობები, პირიქით, ის, რაც სხვაგან (ვთქვათ, საქართველოში) ჯართად აქციეს და საზღვარგარეთ გაყიდეს ხალხის მყვლეფავი და ექსპლოატატორი ბურჟუაზიული კლასის შესაქმნელად, მან ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ჩააყენა, რამაც საშუალება მისცა, ბევრი ახალი საწარმო აეშენებინა, მილიონობით სამუშაო ადგილი შეექმნა და ცხოვრების დონის განუხრელი ზრდისთვის მიეღწია.** შესადარებლად: საქართველოში მოსახლეობა თითქმის განახევრდა და დემოგრაფიული კატასტროფა გვემუქრება, ბელარუსში კი მოსახლეობის რაოდენობა მატულობს; საქართველოდან მოსახლეობის სოციალურმა და შრომითმა ემიგრაციამ დამანგრეველი ხასიათი მიიღო, ბელარუსში კი სხვა ქვეყნიდან ჩადიან დასაქმების მაძიებელნი, ხოლო ქვეყნიდან ემიგრაციის მაჩვენებელი ბუნებრივისა და დასაშვების ფარგლებშია. **ბელარუსი პოსტსაბჭოთა სივრცეში სოციალური სამართლიანობის, სტაბილურობისა და სიმშვიდის ერთადერთი ოაზისია, საბოლოო ჯამში, გონიერების ოაზისია. ეს ის საკითხებია, რომლებიც ჩვენი დღევანდელი გადაცემის ფორმატს სცდება. ბელარუსის პრეცედენტი უცნაური ფენომენია — მეცნიერულად შესასწავლი ფენომენი.**

9 აგვისტოს ბელარუსში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა, რომელმაც ძალიან მაღალი პოლიტიკური აქტიურობის პირობებში ჩაიარა. ალექსანდრე ლუკაშენკომ, რომელიც ევროპის დღევანდელ ლიდერთა შორის გამორჩეული პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწეა, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. მან ხმათა ოთხმოცი პროცენტი დააგროვა და, კიდევ ერთხელ, სრულიად დამსახურებულად გახდა ქვეყნის პრეზიდენტი, რითაც დამტკიცდა, რომ ბელარუსში ხალხიც ბრძენია და წინამძღოლიც.

არჩევნების მეორე დღეს ბელარუსში საპროტესტო აქციების გამართვა სცადეს, რაც ლუკაშენკომ ასე შეაფასა.

**ალექსანდრე ლუკაშენკო:** — პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ჩეხეთიდან იყო სატელეფონო ზარები. ისინი მართავენ, ბოდიშს ვიხდი, ამ ჩვენს ცხვრებს: ამათ არ იციან, რას აკეთებენ და ამიტომ მართავენ მათ გარედან.

**ვალერი კვარაცხელია:** — ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P. S. საქართველოში აშშ-ის „მეხუთე კოლონის“ წარმომადგენლები, რომლებიც ყველგან არიან — ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, საინფორმაციო საშუალებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, გახარებულნი იყვნენ რუსეთსა და ბელარუსს შორის ურთიერთობის დაძაბვით, რაც, მათი აზრით, არჩევნებში ალექსანდრე ლუკაშენკოს დამარცხების, მომავალში, ბელარუსის მიერ პროდასავლური კურსის აღებისა და პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის პოზიციების დასუსტების გარდაუვალ წინაპირობად უნდა ქცეულიყო, რომლითაც აშშ-ის პოზიცია ერთმნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა.**

**იყო ეს სიხარული, მაგრამ, როგორც იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ...**

**სამწუხაროდ, დიდი ხანია, რაც ქართული კოვზი ამერიკულ ნაცარში გდია...**

**ვალერი კვარაცხელია**

ოცდამეხუთე გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხალხს (მასას) რაციონალური კატეგორიებით აზროვნება არ შეუძლია, ცალკეულ ადამიანებს — კი. ხალხი შეიგრძნობს, შეგრძნებით აზროვნებს არჩევნების დროს და ყველა სხვა შემთხვევაშიც. რაციონალურობა არავითარ როლს არ თამაშობს, როცა მთელ ხალხზე ვლაპარაკობთ. შიში იმისა, რომ ხვალ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება დაინგრეს და დაიშალოს, ის კაცი თუ წავა, ჩემთვის კარგად არის ცნობილი“.**

# პრობლემა, რომელიც რუსეთსაც აწუხებს და საქართველოსაც

## ვინმემ იცით, როგორია საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეოლოგია? გაგვიმხილეთ, თუ ღმერთი გწამთ

**არასრული ორი კვირაც და არჩევნების წინა ზაფხულიც მიიწურება. ჩვენ ხომ არჩევნებიდან არჩევნებამდე ვცხოვრობთ!**
**სექტემბერიც თვალსა და ხელს შუა შემოგვადნება და დადგება ოქტომბერი, რომელიც გარდატეხის მიჯნად მიგვაჩნია. ასე გვეუბნებიან — სხვა რეალობაში ვიცხოვრებთო.**
**თუ მანამდე არ დავჭამეთ ერთმანეთი.**
**საბოლოოდ.**
**კოვიდ-19-ის პანდემიით, ყურისძირში სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული დაპირისპირებით, სოციალური მოუწყობლობის, ახალგაზრდების სიცოცხლის ხელყოფისა და კიდევ ბევრი სხვა მოუგვარებელი საკითხით დამძიმებულ ჩვენს ხალხს მაინცდამაინც არ სჯერა საოქტომბრო ლოზუნგებისა და დაპირებების.**
**გამოცდილება გვაქვს, გაკვეთილები — გავლილი. ჩიხია!**
**სად ვეძებოთ გამოსავალი? არსებობს კი?**
**დღეს შემოგთავაზებთ ისრაელის ცნობილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწის, ექსპერტ იაკობ კედმის საყურადღებო ანალიზს ამ თემაზე.**
**საუბარი რუსეთში არსებული იმ პრობლემების ფონზე მიმდინარეობს, რომელთა მსგავსი ამ შემთხვევაში (და, საერთოდ) ჩვენც გვაწუხებს აქ, საქართველოში.**
**და ღირს დაფიქრებად...**

* * *

კედმი ამბობს:

— რუსეთი, ეს უდიდესი, მრავალეროვნული, მრავალკონფესიური ქვეყანა ვერ იარსებებს, როგორც სახელმწიფო, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების გარეშე.

წარმოუდგენელია.

დაიშლება.

**(მკითხველებს ვთხოვ, აქედანვე ყურადღება გაამახვილონ იმ პარალელებზე, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს უახლეს ისტორიასა და დღევანდელობაში აშკარად არის გამოკვეთილი).**

ხალხის როლს თუ შევეხებით, უნდა ვთქვა, რომ **ხალხს (მასას) რაციონალური კატეგორიებით აზროვნება არ შეუძლია, ცალკეულ ადამიანებს — კი. ხალხი შეიგრძნობს, შეგრძნებით აზროვნებს. არჩევნების დროს და ყველა სხვა შემთხვევაშიც. რაციონალურობა არავითარ როლს არ თამაშობს, როცა მთელ ხალხზე ვლაპარაკობთ. შიში იმისა, რომ ხვალ ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება დაინგრეს და დაიშალოს, ის კაცი თუ წავა, ჩემთვის კარგად არის ცნობილი.**

ამაზე გავიზარდე.

მახსოვს **სტალინის** უკანასკნელი წელიწადი, უკანასკნელი დღეები, როცა ვგრძნობდი, რომ ყველაფერი დაინგრევა.

ეს შეგრძნება გამართლდა.

არ ყოფილა იგი (ეს შიში) ნააზრევის ნაყოფი — არც ჩემი, არც ვინმე სხვისი.

რუსეთს არასოდეს ჰქონია ისეთ მცირე ტერიტორია, როგორიც დღეს აქვს (ყირიმის დაბრუნების შემდეგ ცოტა მოიმატა. ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში უფრო ნაკლები იყო).

ისღა გაკლდათ, რომ ოთხმოცდაათიანი წლების შემდეგ კიდევ რამე დაგეკარგათ *(კედმი რუსეთის მრავალმილიონიან ტელემაყურებელთა მასას მიმართავს).*

**არასოდეს დამუქრებია რუსეთს, მის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ობიექტებს იმდენი საფრთხე, რამდენიც დღეს: ჩრდილოეთ პოლუსიდან რუსეთის ცენტრამდე მოფრენას თხუთმეტიოდ წუთი სჭირდება, ხვალ — გაცილებით ნაკლები.**

საბჭოთა ხელისუფლების პირველი 10-15 წლის გამოკლებით ქვეყანა ისეთ მტრულ გარემოცვაში არ მოქცეულა, როგორშიც დღეს არის. ასეთია ობიექტური ვითარება. და უშიშროების ამ პრობლემის გადაწყვეტა, ხალხის აზრით, შეუძლია მხოლოდ ერთ კაცს.

სხვა არავინაა.

სხვას ვერავის ხედავს ხალხი.

მაგრამ ეს კერძო პრობლემაა.

**სახელმწიფოს ღრმა და საფუძვლიანი პრობლემების გადაჭრა ამჟამად მიმდინარეობს, მაგრამ არავინ არის დარწმუნებული, რომ ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება, რადგან ისინი (პრობლემები) ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. და რადგან არ არის მოგვარებული, ხალხი დაეჭვებულია: რას გვიქადის ხვალინდელი დღე?**

მეორე პრობლემაა ძალაუფლების მემკვიდრეობითობა: ვინ იქნება შემდეგი?

ასე რატომ დგას საკითხი? იმიტომ, რომ **ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ძალა, არ არის პოლიტიკური პარტია, არ არის იდეოლოგია. არ არის პარტია ისეთი იდეოლოგიით, რომელსაც გააზრებული აქვს ქვეყნის მომავალი ცხოვრება.**

არ არ-სე-ბობს!

ეს გააზრებული აქვს მხოლოდ ერთ ადამიანს, ყოველ შემთხვევაში, იმ მოცულობით, როგორითაც ამჟღავნებს. სხვა ყველანი ან ბანს აძლევენ, ან ბუზღუნებენ.

არის სხვა ქვეყანა, ისიც რთულია და დიდი, მაგრამ მას არ აქვს შიში იმისა, თუ ვინ წავა და ვინ დაიკავებს მის ადგილს.

**ჩინეთი.**

**ვთქვათ, წავიდა სი ძინპინი. ჩინელები ამის გამო ისტერიკაში ჩავარდებიან? არა! ხალხი მშვიდად იქნება.**

**რატომ?**

**იმიტომ, რომ ჩინეთში არის მყარი და მდგრადი, მემკვიდრეობითობის პრინციპზე აგებული ხელისუფლება, ერთი იდეოლოგიითა და სამომავლო პროგრამით. მაო ძედუნის შემდეგ ვინ იქნება ხელისუფლების სათავეში, ხვალიდან ყველაფერი უკუღმა ხომ არ დატრიალდება, ამის შიში ჩინელებს არ აქვთ. რადგან არის პარტია, რადგან არის ხელისუფლება.**




**კოვიდ-19-ის პანდემიით, ყურისძირში სომხეთ-აზერბაიჯანის შეიარაღებული დაპირისპირებით, სოციალური მოუწყობლობის, ახალგაზრდების სიცოცხლის ხელყოფისა და კიდევ ბევრი სხვა მოუგვარებელი საკითხით დამძიმებულ ჩვენს ხალხს მაინცდამაინც არ სჯერა საოქტომბრო ლოზუნგებისა და დაპირებების. გამოცდილება გვაქვს, გაკვეთილები — გავლილი**

რუსეთში პარტია არ არის. მახსოვს, როგორ ქმნიდნენ პარტიას, რომელსაც სახელისუფლო პარტია ჰქვია. მახსოვს, ვინ ქმნიდა. მახსოვს, როგორ ირჩევდა თანამოაზრეებს. ვეკითხებოდი, რატომ ირჩევდა ამა თუ იმ ადამიანს. მიხსნიდა.

**არ არსებობს სახელისუფლო პარტია. არიან ადამიანები, რომლებიც არიან ჩაფრენილი ძალაუფლებას, რათა ამ ხელისუფლების პირობებში რამენაირად იარსებონ და იმოღვაწეონ.**



*** იდეოლოგია არ აქვთ. ხედვა იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს სახელმწიფომ, არ გააჩნიათ.**

*** როგორ უნდა განვითარდეს ეკონომიკა, არ იციან.**

*** როგორი იქნება სოციალური სისტემა, ვერ წარმოუდგენიათ.**

*** და, საერთოდ, რას წარმოადგენს რუსეთი დღეს, არ ესმით.**

*** რას ნიშნავს, იყო რუსეთის მოქალაქე, ასევე ცოტა ვინმე თუ აგიხსნით.**

*** ამას მოჰყვება ადგილობრივი პრობლემები: რუსები კითხულობენ, ვინ ვართ ჩვენ — რუსები? რატომ ვართ რუსები?**

ჩვენც გვაქვს ისრაელში ჩვენი პრობლემები: ვინ ვართ ჩვენ — ისრაელიანნი? მაგრამ ეს სხვა პრობლემაა. მოვერევით რამენაირად.

**ძალიან ბევრია გადაუწყვეტელი, გაურკვეველი პრობლემა. და მეტისმეტად ბევრია ამ პრობლემების გადაწყვეტის გზა, ან, როგორც ამჟამად ამბობენ, პრობლემები და კრიზისები კი არ უნდა გადავწყვიტოთ, არამედ ვმართოთ ისინი.**

საკითხების გადამწყვეტი კი თქვენი (რუსეთის) პრეზიდენტია, თუმცა ყველას და ყველაფერს ჯერ ვერ გასწვდა, ქმედუნარიანი პოლიტიკური ელიტის შექმნასაც ჯერჯერობით ვერ ახერხებს. ელიტა არ არსებობს. მაშ, ვის უნდა ენდოს ხალხი?

მახსოვს, სტალინის სიცოცხლეში ჩვენ ბავშვური მიდგომით ვაფასებდით, რომ მის დროს იყვნენ ბელადები, თანამებრძოლნი. დღეს თანამებრძოლებიც კი არ არიან.

ხალხისთვის არ არსებობენ.

**ხალხი ერთ კაცს ხედავს. ხალხი ფიქრობს: მას რამე თუ დაემართა, ვინ შეცვლის? მის გარდა არავინ არის. მთელი ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელშია კონცენტრირებული, იდეოლოგია ერთ ადამიანშია, სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებები ერთ ადამიანშია.**

უთუოდ დაიხმარს ვინმეს, მოეთათბირება, უყვარს რჩევის მოსმენა, მაგრამ ეს საერთო პრობლემას ვერ გადაწყვეტს.

**უნდა იყოს ერთიანი, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, ავტორიტეტული, ან პოლიტიკური პარტია ერთიანი იდეოლოგიით, რომელიც ხალხს უჩვენებს სამომავლო გზას.**

* * *

**ასე თქვა კედმიმ.**

**და თქვენ, ჩვენი გაზეთის განათლებულო მკითხველო, წაიკითხეთ ტელევიზიით მისი გამოსვლის გადმოქართულებული ვარიანტი.**

**ხომ დაემთხვა ექსპერტის ანალიტიკური დასკვნები თქვენს ნაფიქრსა და ნააზრევს, ოღონდ საქართველოს ჭრილში...**

**ეჭვიც არ მეპარება, რადგან ასეთია რეალობა, რომელშიც ვარსებობთ: კაცს მივყვებით, ლიდერს. მაგრამ თუ იგი ამ იდეას (იდეოლოგიას) პრაქტიკუად განახორციელებს?!**

**ეგებ, სწორედ ასეთია ჩვენი ბედისწერა და სხვა არც გზა გვაქვს, არც საშუალება.**

**ჯერჯერობით მაინც.**

**ამის იქით ჩემი შეგონებებით თავს არ შეგაწყენთ — უჩემოდაც მოგვიმრავლდნენ „პუბლიცისტები“ საქართველოში.**

**არმაზ სანებლიძე**

**მსოფლიოში შავი მიწის (საუკეთესო ნიადაგის) მესამედი უკრაინაშია, — აღნიშნავს გერმანული საქმიანი გამოცემა. „გერმანიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებლებს არ სურთ ასეთი „მნიშვნელოვანი ბაზრის“ ხელიდან გაშვება, მაგრამ ამ ბაზრის მიმართ ინტერესს ამჟღავნებენ სხვა საერთაშორისო კონცერნებიც, აგრეთვე, ევროპული და ამერიკული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები. მათ შორის არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი... დიდ სახსრებს დებს უკრაინაში ჩინეთიც.**

მსოფლიო მოვლენები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვინ ყიდულობს უკრაინის მიწას

**აშშ-ის, ევროკავშირისა და ჩინეთის აგრარული კომპანიები გააფთრებით იბრძვიან უკრაინის შავმიწა ნიადაგიანი ტერიტორიებისთვის, — წერს გერმანული გამოცემა Deutshe Wirtshafts Nachrichten-ი.**

## უკრაინის შავმიწა ნიადაგები მალე გადავა დასავლური კორპორაციების ხელში

მსოფლიოში არსებული შავი მიწის (საუკეთესო ნიადაგის) მესამედი უკრაინაშია, — აღნიშნავს გერმანული საქმიანი გამოცემა. „გერმანიის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწარმოებლებს არ სურთ ასეთი „მნიშვნელოვანი ბაზრის“ ხელიდან გაშვება, მაგრამ ამ ბაზრის მიმართ ინტერესს ამჟღავნებენ სხვა საერთაშორისო კონცერნებიც, აგრეთვე, ევროპული და ამერიკული ბანკები და საფინანსო ინსტიტუტები. მათ შორის არის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი... **დიდ სახსრებს დებს უკრაინაში ჩინეთიც, პეკინი პირდაპირ იჯარით იღებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს ან მხარს უჭერს ადგილობრივ მწარმოებლებს, თუმცა ავალდებულებს მათ, რომ მოსავლის დიდი ნაწილი მიაწოდოს ჩინეთს... ამით ჩინელები განამტკიცებენ თავიანთი სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოებას“.**

უკრაინის უზენაესმა რადამ (პარლამენტმა) მიიღო კანონი „უკრაინის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, ნებადართულია მიწის გაყიდვა. კანონი აუქმებს აკრძალვას სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე ფიზიკური პირებისთვის — უკრაინის მოქალაქეებისა და იურიდიული პირებისთვის.

კანონი მიიღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ულტიმატური მოთხოვნის შემდეგ, დაეჩქარებინათ კანონების მიღება მიწის რეფორმის, ბანკების სისტემის რეგულირებისა და მისი რეფორმის პრობლემების მოსაგვარებლად. უფრო ადრე ევროპის სასამართლომ დაავალდებულა უკრაინა, მორატორიუმი მოეხსნა მიწის გაყიდვაზე.

უკრაინის ფერმერებისა და კერძო მიწამფლობელთა ასოციაციის პრეზიდენტი **ნიკოლოზ სტრიჟაკი** ამბობს: **„ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, არის რეფორმა მონათმფლობელური საზოგადოების ელემენტებით“.**

იულია ტიმოშენკომ კი განაცხადა: „ჩვენ მოგვცემენ რამდენიმე მილიარდს ვალად და წაიღებენ რესურსს, რომელიც ფასდაუდებელია“.

უკრაინის შავმიწანიადაგიან ტერიტორიებს დღეს მართლაც არ აქვს ფასი. აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის ბუნებით სარგებლობის განყოფილების გამგის — **ოლღა ხოდაკოვსკაიას** შეფასებით, 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის სასტარტო ფასი 2500 დოლარზე მეტი არ არის. სხვა შეფასებით, 1 ჰა უკრაინის შავმიწა ნიადაგის ფასი 1000 დოლარს არ აღემატება. შესადარებლად: უნგრეთში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა 4000 დოლარი ღირს, ესტონეთში — 5000, რუმინეთში — 6000, საფრანგეთში — 7400, პოლონეთში — 11000, გერმანიაში — 32300, ავსტრალიაში — 42000, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში შესაბამისად — 63000 და 70000, ჩეხეთში სასოფლო-სამეურნეო მიწა ყველაზე ძვირია.

აშშ-ის სოფლის მეურნეობის სააგენტოს შეფასებით, უკრაინას შეუძლია, მსოფლიოში მარცვლეულის ერთ-ერთი დიდი ექსპორტიორი გახდეს. მიწის დაბალი ღირებულების ფონზე უკრაინა და მისი აგრარული სექტორი ძალიან მიმზიდველია დასავლური კაპიტალისთვის, სწორედ ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გადაუგრიხა ხელები უკრაინის პრეზიდენტ **ვლადიმერ ზელენსკის** და გააუქმებინა მორატორიუმი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გაყიდვაზე.

დასავლური კომპანიები უკვე ფართოდ ჩაერთვნენ უკრაინის აგრარულ სექტორში. მონიტორინგის პროექტ Land Matrix-ის (იტალია, შვეიცარია, სამხრეთი აფრიკა) უკრაინელი კოორდინატორის, **მიხეილ ამოსოვის,** განცხადებით, უკრაინაში 50-ზე მეტი უცხოელი ინვესტორი ამუშავებს მიწას. გაფორმებულია 208 გარიგება, რომელთა შედეგადაც მიწის დიდ მასივებს უცხოელები აკონტროლებენ. აგროჰოლდინგები ყიდულობენ საწარმოებს. უცხოური კომპანიები აქამდე ყიდულობდნენ არა მიწას, არამედ უკრაინულ ჰოლდინგებს, რომლებსაც მიწა იჯარით ჰქონდათ აღებული.



**უკრაინის ფერმერებისა და კერძო მიწამფლობელთა ასოციაციის პრეზიდენტი ნიკოლოზ სტრიჟაკი ამბობს: «ის, რასაც ჩვენ გვთავაზობენ, არის რეფორმა მონათმფლობელური საზოგადოების ელემენტებით». იულია ტიმოშენკომ კი განაცხადა: «ჩვენ მოგვცემენ რამდენიმე მილიარდს ვალად და წაიღებენ რესურსს, რომელიც ფასდაუდებელია»**




**ნათელი მაგალითია უკრაინის უდიდეს აგროჰოლდინგ „მარიას“ შესყიდვა საუდის არაბეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის მიერ. საუდელები უკრაინაში ამჟამად ამუშავებენ 195 ათას ჰა სახნავ მიწას. არაბებს განზრახული აქვთ, უკრაინაში ააშენონ საპორტო ტერმინალები და ფული ჩადონ ამ ქვეყნის რკინიგზის განვითარებაში.**

სიდიდით მესამე უკრაინული აგროჰოლდინგი „აგროპროსპერისი“ აგროკულტურების უდიდესი მწარმოებელი და ექსპორტიორია შავი ზღვის რეგიონში. მისი ერთადერთი აქციონერია „აგრო ჰოლდინგს ლიმიტედი“ — საინვესტიციო ფონდ NCH Capital-ის (აშშ) შვილობილი კომპანია.

აგროჰოლდინგი AgroGeneration-ი, რომლის მიწის ბანკი 120 ათასი ჰექტარია, 2007 წელს დააფუძნა ფრანგმა ბიზნესმენმა **შარლ ბეგბედერმა,** მისი აქციების 12% ეკუთვნის საერთაშორისო საინვესტიციო ფონდ SigmaBleyzer Southeast European Fund IV-ს.

Land Matrix-ის მონაცემებით, უკრაინაში ამჟამად მუშაობს 50 ინვესტორი, რომლებიც 3,5 მლნ ჰა მიწას აკონტროლებენ.

**2015 წელს ბუნდესტაგის დეპუტატმა ნიმა მოვასატმა პროტესტი გამოთქვა უცხოური აგროჰოლდინგების მიერ უკრაინის მიწების დატაცებაზე, რომელიც უკრაინელი ფერმერების გაღატაკებას გამოიწვევდა. დეპუტატმა ჩაატარა გამოძიება, რომელმაც აჩვენა, რომ უკრაინა ერთ-ერთი პერსპექტიული მზარდი ბაზარია MONSANTO-ისა და DUPONT-ის გენმოდიფიცირებული თესლის მწარმოებლებისთვის.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და უკრაინის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ უკრაინისთვის კრედიტების გამოყოფა სწორედ ამ და სხვა კომპანიებისთვის სახნავი მიწების გადაცემით არის განპირობებული. **უკრაინასა და ევროპაში მიწის ფასებს შორის დიდი განსხვავება გამოიწვევს იმას, რაც 2000-იან წლების დასაწყისში მოხდა არგენტინასა და ბრაზილიაში. არგენტინაში მიწის ფართობები ძალიან იაფად შეისყიდეს, შემდეგ კი 10-ჯერ ძვირად გაყიდეს. ბრაზილიაში მიწის იაფად შესყიდვამ და შემდეგ ძვირად გაყიდვამ უმიწო გლეხების მოძრაობის შექმნასა და მიწის ნაკვეთების თვითნებურად მიტაცებას შეუწყო ხელი. რთული მისახვედრი არ არის, რომ უკრაინას უფრო სერიოზული პრობლემები ელის.**

**უკრაინის შავმიწა ნიადაგიან ტერიტორიებს დღეს მართლაც არ აქვს ფასი. აგრარული ეკონომიკის ინსტიტუტის ბუნებით სარგებლობის განყოფილების გამგის — ოლღა ხოდაკოვსკაიას შეფასებით, 1 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის სასტარტო ფასი 2500 დოლარზე მეტი არ არის. სხვა შეფასებით, 1 ჰა უკრაინის შავმიწა ნიადაგის ფასი 1000 დოლარს არ აღემატება. შესადარებლად: უნგრეთში 1 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა 4000 დოლარი ღირს, ესტონეთში — 5000, რუმინეთში — 6000, საფრანგეთში — 7400, პოლონეთში — 11000, გერმანიაში — 32300, ავსტრალიაში — 42000, ნიდერლანდებსა და შვეიცარიაში შესაბამისად — 63000 და 70000, ჩეხეთში სასოფლო-სამეურნეო მიწა ყველაზე ძვირია**

centrasia.org-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ოწიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ურეკი ბუნების ამოუხსნელ საიდუმლოებად 1928 წლამდე რჩებოდა, სანამ არ ამოქმედდა ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა. პირველი და მეორე ხუთწლედების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად სწორედ კოლხეთის ჭაობის ამოშრობა დაისახა. 1928 წელს დაიწყო ურეკის ტყიანი ტერიტორიის ათვისება, რომელსაც, სტალინის ბრძანებით, კოლხეთის მიწაზე ციტრუსების პირველი მეურნეობის დაარსება მოჰყვა და მას ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ეწოდა.**

# სტალინი და ურეკი

**მკითხველს გაუკვირდება წერილის სათაური და იფიქრებს, რა კავშირი უნდა ჰქონოდა ამ ადგილთან სტალინს ახალგაზრდობაში ან შემდგომი მოღვაწეობის პერიოდში. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე. ურეკი თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, თვითონ ქმნის მიუკარებლობის, შეუვალობის, იდუმალებისა თუ საკრალურობის განცდას. ეს ურთიერთშეწნული ლიანები თუ გიგანტური ხეები გაუვმალობის განცდას აღძრავდა და რაღაც იდუმალების მორევში ძირავდა ადამიანს.**



**კოლხეთი, სადაც მიცვალებულებს წყლით სავსე თხრილებში მარხავდნენ და მალარია მასობრივად სპობდა მოსახლეობას, სტალინის ხელმა ნარინჯების ტერიტორიად აქცია. თბილისის შემოგარენის 200 000 ჰა მიწის ფართობი, რომელიც მზისგან იყო დამწვარი, ხალხი კი მიწისქვეშა სოროებში გმინავდა შიმშილისგან, აყვავებულ მხარედ და ქალაქად გარდაქმნა. დამწვარი შირაქის ველი ალაზნის ტალღებს დააფარინა და ყურძნისა და ხორბლის ბეღლად აქცია**

ასეთი იყო კოლხეთის დაბლობის ათასობით ჰექტარი, მაგრამ იქ, სადაც მდინარე სუფსა შავ ზღვას უერთდება, ბუნება ადამიანისათვის უფრო ხელმიუწვდომელი გახლდათ. ასე ყოფილა უხსოვარი დროიდან მე-20 საუკუნემდე. შეებრძოლო ბუნებას და გაიმარჯვო მასზე, წარმოუდგენელია, მაგრამ ბუნებასთან შებრძოლება, ფრაგმენტულად, ერთ პატარა მონაკვეთზე და მასზე გამარჯვება შეიძლება დროებით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში და არა საბოლოოდ.

300 ათას ჰექტარ ჭაობზე ბუნებასთან შებრძოლებს არც ფრაგმენტული შეიძლება ეწოდოს და არც მასშტაბური.

დედამიწაზე სტიქიებთან საომრად ადამიანებს ღმერთმა **სტალინი** მოუვლინა. **კოლხეთი, სადაც მიცვალებულებს წყლით სავსე თხრილებში მარხავდნენ და მალარია მასობრივად სპობდა მოსახლეობას, სტალინის ხელმა ნარინჯების ტერიტორიად აქცია. თბილისის შემოგარენის 200 000 ჰა მიწის ფართობი, რომელიც მზისგან იყო დამწვარი, ხალხი კი მიწისქვეშა სოროებში გმინავდა შიმშილისგან, აყვავებულ მხარედ და ქალაქად გარდაქმნა. დამწვარი შირაქის ველი ალაზნის ტალღებს დააფარინა და ყურძნისა და ხორბლის ბეღლად აქცია.**

არაფერს ვიტყვი მდინარეების — ვოლგისა და დონის — შეერთებაზე, რომლის შედეგად ხუთი ზღვა — ბალტიის, თეთრი, აზოვის, შავი და კასპიის — ერთმანეთთან დააკავშირა და მსოფლიოში მე-8 საოცრებად ცნობილ სანაოსნო სისტემად აქცია. მე არ ჩამოვთვლი სტალინის მიერ ბუნების გარდაქმნის განხორციელებულ თუ განუხორციელებელ პროექტებს, მხოლოდ სტალინსა და ურეკზე ვისაუბრებ.

ურეკი ბუნების ამოუხსნელ საიდუმლოებად 1928 წლამდე რჩებოდა, სანამ არ ამოქმედდა ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა. პირველი და მეორე ხუთწლედების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად სწორედ კოლხეთის ჭაობის ამოშრობა დაისახა. 1928 წელს დაიწყო ურეკის ტყიანი ტერიტორიის ათვისება, რომელსაც, სტალინის ბრძანებით, კოლხეთის მიწაზე ციტრუსების პირველი მეურნეობის დაარსება მოჰყვა და მას ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა ეწოდა. ცოტა მოგვიანებით, 1933 წელს, ურეკში მიღწეული წარმატებების ბაზაზე სუბტროპიკული მცენარეების სანერგე მეურნეობა გაჩნდა. შედეგები საოცარი იყო, — საუკუნეების განმავლობაში ნასვენი მიწიდან ვულკანივით ამოხეთქა ოქროსფერმა ნაყოფმა და აღაფრთოვანა ადგილობრივი მოსახლეობა, ამასთანავე, ურეკში მოწეულმა ოქროს ნაყოფმა უკიდეგანო საბჭოთა კავშირის ტერიტორია შემოიარა, როგორც უძვირფასესმა ექსპონატმა.

ყველაფერზე მზრუნველმა სტალინმა 1944 წელს, ჰიტლერთან ბრძოლის პარალელურად, დაავალა საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს, მოეძიებინათ რკინის საბადო პერსპექტივაში ასაშენებელი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის (გაიხსნა 1948 წელს) საჭიროებისათვის. ქართველმა გეოლოგებმა სტალინის ბრძანების შესასრულებლად დიდი საძიებო სამუშაოები ჩაატარეს მთასა თუ ბარში. სხვადასხვა საბადოში მოპოვებულ ნიმუშთა შორის ყველაზე მეტი ყურადღება მდინარე სუფსის შავ ზღვასთან შეერთების ადგილას მოპოვებულმა ნედლეულის ნიმუშმა გამოიწვია, რომელიც თითქმის მზა პროდუქციას წარმოადგენდა. მაგნიტური ქვიშა, რომელიც ზღვისა და მდინარე სუფსის შესართვთან მოიპოვებოდა, დიდი ოდენონით რკინას შეიცავდა. ეს ბუნების საოცრებად იქნა მიჩნეული.

საბადოს აღწერილობა და ნედლეულის მოპოვების ტექნოლოგია დააზუსტეს და პროექტი უშუალოდ სტალინს გაუგზავნეს. **ბელადმაც არ დააყოვნა და 1944 წლის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება ურეკის მიდამოებში მსუბუქი რეჟიმის ტყვეთა ბანაკის მოწყობის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ნედლეულის ჩატვირთვას ღია ვაგონებში რუსთავში გასაგზავნად. ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელობისათვის ჩაიდგა კოტეჯის ტიპის პირველი ფინური სახლი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ. მიმდებარე ტერიტორიაზე კი გაშენდა ტყვეთა ბანაკი, რომლის უფროსად დაინიშნა იპოლიტე სიგუა.** ტყვეთა ბანაკის უფროსი იპოლიტე სიგუა, რომელსაც ინსტრუქტაჟი უკვე მიღებული ჰქონდა მოსკოვში, თანამშრომლებს აფრთხილებდა, გულისხმიერად მოქცეოდნენ ტყვეებს და თავისუფალ დროს არ შეეზღუდათ ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაში.

შემსუბუქებული რეჟიმის ბანაკებში ანაწილებდნენ ტყვეებს იმ მეომრებისაგან, რომლებიც სამეცნიერო, კულტურის, სპორტისა და ჰუმანურ დარგებში მოღვაწეობდნენ და პირდაპირ ფრონტის ხაზზე აღმოჩნდნენ.

„ტყვეებს, რომლებიც შემსუბუქებული რეჟიმის ბანაკებში არიან, არ უნდა დაუშალონ ადგილობრივ მოსახლეობასთან კონტაქი, პირიქით — განათლებული გერმანელი ერის განათლებული წარმომადგენლები უნდა გამოვიყენოთ ჩვენი მოსახლეობის განმანათლებლად“ (**ვიაჩესლავ მალიშევის** ჩანაწერებიდან).

ურეკის რკინიგზის სადგურიდან სასწრაფოდ დაიწყო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზის გაყვანა მაგნეტიტამდე, საიდანაც მაგნიტური ქვიშა გადაჰქონდათ ცენტრალურ სადგურამდე.

აქ თემიდან ცოტა უნდა გადავუხვიო და მკითხველს სხვა ცნობა მივაწოდო:

ბევრისთვის ცნობილია ატომური ბომბის წინამორბედი გერმანული რაკეტა „ფაუ-2“, რომლის ბაზაზეც მოსალოდნელი იყო ატომური ბომბის უშუალოდ საბჭოეთის რომელიმე დიდ ქალაქში ჩამოგდება. „ფაუ-2“-ის შემქმნელი **ვერნერ ფონ ბრაუნი,** როგორც ბევრი სხვა გერმანელი, ნებაყოფლობით ჩაბარდა ამერიკელებს, ხოლო მისი მოადგილე **ერიხ ფონ ანდერე** საბჭოთა ჯარისკაცებმა ტყვედ ჩაიგდეს, როგორც რიგითი ჯარისკაცი. ანდერე სარაკეტო შეიარაღებაში ყველაზე რთულ დარგს — საწვავს განაგებდა. იგი უბრალო ჯარისკაცის მუნდირით ჩაბარდა საბჭოთა ჯარიკაცებს. სწორედ ამ მოხერხებულობის წყალობით მოხვდა იგი მსუბუქი რეჟიმის ბანაკში, 1944 წელს კი ურეკის ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს.

ანდერეს გულ-სისხლძარღვთა დაავადება და ართრიტი სტანჯავდა. მან მუშაობისას რამდენჯერმე შეამჩნია, რომ სანაპიროზე, სადაც ქვიშას იღებდნენ, საქონელი მიდიოდა და წვებოდა. მეცნიერს ცხოველების ეს მიზანმიმართული ქმედება უყურადღებოდ არ დარჩენია და სწორედ იმ ადგილზე დაიწყო დაწოლა, სადაც საქონელი წვებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. ერიხმა შვება იგრძნო — ტკივილები გაუყუჩდა. მან ქვიშაზე წოლის ხანგრძლივობა გაზარდა და კიდევ უფრო შეუმცირდა ართრიტით გამოქვეული ტკივილები, გარკვეული ხნის შემდეგ კი სრულიად მოეხსნა.

ფრიად განათლებულმა გერმანელმა ინტელექტუალმა, რომელიც ბედად საქართველოში აღმოჩნდა, სტალინის სახელზე წერილი დაწერა:

**„საბჭოთა კავშირის მიერ მაგნიტური სილის მეტალურგიული კომბინატისათვის ნედლეულის სახით გამოყენება იგივეა, ბარაკები ოქროს უნიტაზებით აღჭურვოთ. უნიკალური ქვიშა შავი ზღვისპირეთის კლიმატურ პირობებთან ერთად საბჭოთა კავშირს საშუალებას მისცემს, ურეკი სრულიად განსაკუთრებულ კურორტად გადააქციოს, რომლის მსგავსიც მსოფლიოში არ იარსებებს“.**

სამკუთხა წერილი ერიხმა ურეკის რკინიგზის სადგურის ფოსტის ყუთში ჩააგდო, თვითონ კი თავის საქმეს დაუბრუნდა ნიჩბით ხელში. ეს 1949 წლის იანვარში მოხდა. იმავე წლის მაისში **საკავშირო მინისტრთა საბჭომ სტალინის ხელმოწერით მიიღო დადგენილება ფოთიდან ქობულეთამდე საკურორტო ზონის განვითარების**



ერიხ ფონ ანდერე

**შესახებ. იქვე იყო მითითებული ფოთიდან ქობულეთამდე ბიჭვინთური ფიჭვების დარგვა 100-150 მ სიგანეზე. შავ ზღვისპირეთში მხოლოდ ეს სახეობა იზრდება და ზღვის მარილიან ანაორთქლს უძლებს. კატეგორიულად აიკრძალა ურეკიდან მაგნიტური სილის გატანა და ბანაკიც დაიხურა.**

და როდესაც ერიხ ფონ ანდერე გადაიყვანეს სოხუმის დახურულ ინსტიტუტში, მაშინღა მიხვდა, რომ სტალინმა მისი სამკუთხა ბარათი მიიღო და წაიკითხა.

**ერიხ ფონ ანდერემ სოხუმში 1957 წლამდე იმუშავა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნება ითხოვა, რაზეც თანხმობა განუცხადეს. წავიდა ერიხი საქართველოდან და გაიყოლა გამოჯანმრთელებული გული და, საქართველოზე უსაშველოდ შეყვარებულმა, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩაიტანა სტალინური პრემიის ლაურეატობის 7 მედალი. ჩვენ კი დაგვიტოვა შავიზღვისპირეთის უნიკალური კურორტი ურეკი.**

სტალინის გარდაცვალებიდან ოცი დღის შემდეგ, 1953 წლის 25 მარტს, **გიორგი მალენკოვმა** შეაჩერა სტალინის ინიციატივით დაწყებული ტრანსპოლარული რკინიგზის მშენებლობა, ხოლო 1955 წელს **ნიკიტა ხრუშოვმა** საერთოდ დახურა, როგორც ბუნების გარდაქმნის დიადი სტალინური გეგმა, ისე ყველა პროექტი. ამან საფუძველი გამოაცალა მსოფლიოს ერთ-ერთ მძლავრ სახელმწიფოს და 1991 წელს სსრკ-მა არსებობა შეწყვიტა...

**„საბჭოთა კავშირში კვლავ მიაპყრეს ყურადღება ურეკს, როცა კოსმოსში ადამიანების გაშვება დაიწყეს. პირველივე კოსმოსურმა ფრენებმა აჩვენა, რომ უწონადობის გარემოში ყოფნის შემდეგ კოსმონავტების გლუვი კუნთები, რომლებსაც ძვლები არ ამაგრებდა, ატროფირდებოდა და ფრენის შემდეგ მათ თირკმლების, ღვიძლისა და შარდის ბუშტის სერიოზული პრობლემები ექმნებოდათ. თითქმის გამონაკლისის გარეშე წარმოიქმნებოდა შარდვისა და პოტენციის დაქვეითების პრობლემები.**

შეიქმნა კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტი, რომელმაც კოსმონავტების რეაბილიტაციისათვის დაიწყო მუშაობა. ამ ინსტიტუტის სპეციალისტების საქმიანობიდან ერთ-ერთი პირველი იყო ის, რომ კოსმონავტებს ათავსებდნენ მაგნიტურ სოლენოიდებით აღჭურვილ სპეციალურ ბაროკამერებში, რათა კოსმონავტებზე მაგნიტურ ველს კეთილისმყოფელი გავლენა მოეხდინა. ისევ და ისევ ბედნიერი შემთხვევის წყალობით, კოსმოსური მედიცინის ინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა, ხელმძღვანელობას მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოში არსებობს ადგილი, სადაც ანალოგიური ეფექტის მიღწევა ბუნებრივი გზითაა შესაძლებელი, ანუ მაგნიტური ქვიშის გამოყენებით.

**გასული საუკუნის 70-იან წლებში ურეკში კოსმოსური სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნა გადაწყდა. შეიმუშავეს სპეციალური სამსართულიანი ფუნდამენტის მქონე ოცსართულიანი შენობის პროექტი. ფუნდამენტი, რომელიც ცნობილმა გერმანულმა ფირმამ ააშენა, სახელმწიფოს 60 მლნ დოლარი დაუჯდა. სამწუხაროდ, საქმე ამით დამთავრდა.**

შემდეგ ურეკის, ისევე, როგორც მთლიანად საბ- ►

**სტალინმა 1944 წლის ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება ურეკის მიდამოებში მსუბუქი რეჟიმის ტყვეთა ბანაკის მოწყობის თაობაზე, რომელიც უზრუნველყოფდა ნედლეულის ჩატვირთვას ღია ვაგონებში რუსთავში გასაგზავნად. ტყვეთა ბანაკის ხელმძღვანელობისათვის ჩაიდგა კოტეჯის ტიპის პირველი ფინური სახლი, რომელსაც ფოტოზე ხედავთ. მიმდებარე ტერიტორიაზე კი გაშენდა ტყვეთა ბანაკი, რომლის უფროსად დაინიშნა იპოლიტე სიგუა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ჭოთა კავშირის, ისტორიაში ბნელი ხანა დაიწყო. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ შეწყდა უზარმაზარი სანატორიუმების დაფინანსება. ურეკში აღარ ჩადიოდნენ პაციენტები და ტურისტები. დაიწყო ველური პრივატიზაცია. საბჭოეთის ინფრასტრუქტურა ურეკთან ერთად დაინგრა “ („ურეკის მაგია“. ალექსანდრე მაქსიმოვი).

ახლა კი გიამბობთ, როგორი იყო ურეკის განვითარების სტალინური გეგმა, რომელიც საბჭოეთის ბელადის გარდაცვალების შემდეგაც დაიხვეწა საბჭოთა არქიტექტორების მიერ.

გენერალური გეგმის მიხედვით, კურორტის სიმძლავრე ერთდროულად 20 000 ორგანიზებული დამსვენებლისათვის იყო განსაზღვრული. 10 000 საწოლი ეთმობოდა ბავშვთა კონტინგენტს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულებისათვის, 10 000 საწოლი — ზრდასრულებს.

კურორტს უნდა ემუშავა მთელი წლის განმავლობაში. კლიმატური პროცედურები სითბური რეჟიმის გამოყენებით ტარდებოდა აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. წლის დანარჩენ თვეებში რეჟიმის გახანგრძლივება ხდებოდა დახურულ დარბაზებში.

პირველი რიგის საკურორტო მშენებლობისთვის პროექტით შერჩეული იყო ურეკის ტერიტორია (შეკვეთილის ზონაში) მდინარე სეფას ორივე ნაპირზე. მარცხენა ნაპირზე 300 ჰა დათმობილი ჰქონდა საბავშვო კურორტს, ხოლო მარჯვენა ნაპირზე იყო დასასვენებელი ზონა დიდებისთვის.

10 000 ბავშვისთვის გათვალისწინებული კურორტი იყოფოდა 5 კომპლექსად, თითოეული გათვლილი იყო 2 000 ბავშვზე.

**I კომპლექსი საბავშვო კურორტის ჩრდილოეთ ნაწილში საპროექტო ტბის სამხრეთით იყო განლაგებული და განკუთვნილი იყო 15-16 წლის ყმაწვილებისთვის.**

**II და III კომპლექსები სანატორიუმის ტიპის ბავშვთა ბანაკებისათვის იყო გათვალისწინებული, რომლებშიც დაისვენებდნენ 10-14 წლის ბავშვები.**

**IV კომპლექსი გათვალისწინებული იყო უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის.**

**V კომპლექსი დედათა და ბავშვთა სანატორიუმისათვის იყო გათვალისწინებული.**

ყველა დაწესებულების შენობა სამსართულიანი უნდა ყოფილიყო, გარდა დედათა და ბავშვთა სანატორიუმებისა, რომლებიც შეიძლებოდა ყოფილიყო მრავალსართულიანი (ამ შემთხვევაში, ისინი ცხრასართულიანი იქნებოდა). ყოველ საბავშვო დაწესებულებას ჰქონდა ორი ერთსართულიანი სასადილო 400 ადგილზე. კორპუსები ზღვის მიმართ მართობულად იყო განლაგებული, რაც საშუალებას იძლეოდა, საძინებელ ოთახებს ჰქონოდა ოპტიმალური ორიენტაცია (სამხრეთით, რომელიც ურეკის პირობებში სასურველია წლის ყველა პერიოდში).

საბავშვო კურორტი დაგეგმილი იყო სამსაფეხურიანი მომსახურებით. აქ იგულისხმებოდა მომსახურების შემდეგი სახეები: კვება, სწავლა, კულტურულ-სანახაობითი,

## 1933 წელს ურეკში მიღწეული წარმატებების ბაზაზე სუბტროპიკული მცენარეების სანერგე მეურნეობა გაჩნდა. შედეგები საოცარი იყო, — საუკუნეების განმავლობაში ნასვენი მიწიდან ვულკანივით ამოხეთქა ოქროსფერმა ნაყოფმა და აღაფრთოვანა ადგილობრივი მოსახლეობა, ამასთანავე, ურეკში მოწეულმა ოქროს ნაყოფმა უკიდეგანო საბჭოთა კავშირის ტერიტორია შემოიარა, როგორც უქვირფასესმა ექსპონატმა


ტყვეთა ყოფილი ბანაკის დირექციის შენობა


აქ ადრე ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა გადიოდა

## «ფაუ-2»-ის შემქმნელი ვერნერ ფონ ბრაუნი, როგორც ბევრი სხვა გერმანელი, ნებაყოფლობით ჩაბარდა ამერიკელებს, ხოლო მისი მოადგილე ერიხ ფონ ანდერე, საბჭოთა ჯარისკაცებმა დაატყვევეს, როგორც რიგითი ჯარისკაცი. ანდერე სარაკეტო შეიარაღებაში ყველაზე რთულ დარგს — საწვავს განაგებდა. იგი უბრალო ჯარისკაცის მუნდირით ჩაბარდა საბჭოთა ჯარიკაცებს. სწორედ ამ მოხერხებულობის წყალობით მოხვდა იგი მსუბუქი რეჟიმის ბანაკში, 1944 წელს კი ურეკის ტყვეთა ბანაკში გაგზავნეს

სპორტული, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, ადმინისტრაციული და სამეურნეო.

2 000 საწოლზე გათვლილი თითოეული საბავშვო კომპლექსი უზრუნველყოფილი იყო ყველა იმ მომსახურების ობიექტებით, რომლებიც აუცილებელი იყო მისთვის:

**1.** კორპუსებში გათვალისწინებული იყო საძინებელი ოთახები, საკლასო ოთახები, სამზარეულო-სასადილო ბლოკი.

**2.** კლუბი, სასპორტო დარბაზი, ღია ესტრადა, გასართობი და სპორტული ბაქნები ღია ცის ქვეშ.

**3.** კარგ ამინდში ღია ცის ქვეშ ძილისთვის გათვალისწინებული იყო ბაქნები, რომელთა გადახურვა საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციებით.

**4.** მოზრდილთა კომპლექსისათვის, რომელიც უნდა აშენებულიყო ხელოვნური ტბის მახლობლად, გათვალისწინებული იყო სპორტული ბაზის მშენებლობა წყალსაჯომარდო სპორტისათვის. იქვე შენდებოდა დიდი საცურაო აუზი ტრიბუნებით.

**5.** სანატორიუმის ტიპის ბავშვთა ბანაკები დაგეგმილი


ურეკი დღეს

იყო საბავშვო კურორტის ცენტრალურ ნაწილში. მის წინა პლანზე გაშენებული იქნებოდა ბაქანი, რომელზეც შეიძლება ჩატარებულიყო ყოველგვარი სადღესასწაულო აღლუმი. ეს ბაქანი ორიენტირებული იყო ტრიბუნებით ზღვისკენ.

**ყველა კომპლექსისათვის დაგეგმილი იყო დამოუკიდებელი გასასვლელი პლაჟზე. პლაჟი იქნებოდა კეთილმოწყობილი და უზრუნველყოფილი ყოველგვარი საპროცედურო-საპლაჟო მოწყობილობით.**

პლაჟის ზოლი, პროექტის მიხედვით, დაგეგმილი იყო პარტერულ-დეკორატიული გამწვანებით, რომელთანაც შერეული იქნებოდა მაღალტანიანი ხეები.

* საკურორტო დაწესებულების უკანა პლანზე, ე.ი., აღმოსავლეთით, ძირითადად, მოთავსებული იყო მომსახურების შემდეგი ობიექტები: საყოფაცხოვრებო კომბინატი, მიმღები პუნქტები ოზოლატორით, პერსონალის საცხოვრებელი სახლები მაღაზიებითა და სასადილო ბლოკით, დახურული საცურაო აუზი, სპორტდარბაზი, სტადიონი ტრიბუნითა და სათადარიგო სავარჯიშო მოედანი ფეხბურთისათვის (სხვა სასპორტო მოედნებთან ერთად). აქვე იყო საერთო საკურორტო ცენტრი, ადმინისტრაციული სახლი, პოლიკლინიკა (საკონსულტაციო), კინოთეატრი (ყველა დამხმარე სათავსოთი), საცეკვაო დარბაზი, ბიბლიოთეკა, მთავარი ლაბორატორია, აფთიაქი, კაფე, საპარიკმახერო, ავტომატური სატელეფონო სადგური, ფოტოატელიე, საგამოფენო დარბაზი და სხვ.

*** ბავშვთა დიდი კონტინგენტის ერთ საკურორტო კომპლექსში კონცენტრაციამ განაპირობა ინფექციური საავადმყოფოს აუცილებლობა. იგი დაგეგმილი იყო საბავშვო კურორტის ზონის გარეთ, ტყე-პარკში და აუცილებლად იზოლირებული იქნებოდა ხალხმრავალი საკურორტო ობიექტისაგან.**

ზღვისპირა ნახევარკილომეტრიანი ზოლი, რომელიც დათმობილი იქნებოდა საკურორტო დაწესებულებებისათვის, ტრანსპორტის მოძრაობისაგან იზოლირებული იქნებოდა (გარდა ეპიზოდური შემთხვევებისა).

*** საბავშვო კურორტის ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობის სქემა შემდეგ პრინციპზე იყო აგებული: მთავარი საკურორტო მაგისტრალიდან, რომელიც 50მ სიგანის უნდა ყოფილიყო, ოთხი სატრანსპორტო შესასვლელი იყო გათვალისწინებული. ერთი ძირითადი შესასვლელი კურორტის კულტურულ- ადმინისტრაციულ ცენტრში გახლდათ გათვალისწინებული. შესასვლელები კურორტის ტერიტორიაზე ურთიერთკავშირში იყო შიდა გამანაწილებელი გზებით. გამანაწილებელი გზიდან ყოველ კორპუსს ექნებოდა დამოუკიდებელი მისასვლელი.**

* ურეკის განვითარების გენერალური გეგმის გიგანტური ნაწილი იყო მისი საბაგირო გზით დაკავშირება სამთო კურორტ ბახმაროსთან — ეს იქნებოდა მთისა და ზღვის კურორტების შერწყმის უნიკალური შემთხვევა.

*** ურეკში იგეგმებოდა მსოფლიოში სახელგანთქმული ახალგაზრდული ბანაკის, „არტეკის“, გადმოტანა, ასევე უნდა გახსნილიყო ფოთი-ქუთაისის სამდინარო სატრანსპორტო ხაზი, რომელსაც სვანეთში საჰაერო მიმოსვლის რეგულარული საშუალება დაემატებოდა, საქართველო უკან ჩამოიტოვებდა მსოფლიოში სახელგანთქმულ დასასვენებელ ადგილებსა და სამკურნალო-საკურორტო ზონებს.**

აქვე შენდებოდა კოსმონავტთა სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც ერთადერთი და იქნებოდა მსოფლიოში. ამის უტყვი მოწმეა ურეკის ტერიტორიაზე დღესაც არსებული სამსართულიანი მიწისქვეშა ფუნდამენტი, რომელზეც უნდა აღმართულიყო მრავალსართულიანი უნიკალური სარეაბილიტაციო ცენტრი კოსმონავტებისათვის და რომლისთვისაც გამოყოფილი იყო 12 ჰა მიწის ფართობი. ამ საძირკველს, რომელიც საბჭოთა მთავრობას 60 მლნ დოლარი დაუჯდა, დღეს სამსართულიანი უსახური შენობა ადგას თავზე.

დღეს ურეკის ოქროს ხალიჩაზე ღორები ერთმანეთში არეულ სხვადასხვა ნაგავსა და ფეკალურ მასას თქვლეფენ და არად აგდებენ ბუნების მიერ ნაბოძებ და კაცის მიერ ნალოლიავებ უნიკალურ ბუნებას.

**ურეკი,**
**2020 წლის 7 აგვისტო**

აფეთქების ექო

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბეირუთის პორტის საწყობებში, ალბათ, კიდევ ინახება ისეთი რამ, რაც შეიძლება აფეთქდეს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის თავზე გაჩნდა რადიაციული ღრუბელი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ადრე ლიბანში ევროპიდან წამოღებული რადიაქტიური ნარჩენები დამარხეს, როგორც ჩანს, ადგილობრივებიდან ვიღაცამ ამით ხელი მოითბო.**

# ბეირუთის შემდეგ კიდევ სად და რა შეიძლება აფეთქდეს ახლო აღმოსავლეთში?

## ლიბანს ეკონომიკური კოლაფსი და მოსახლეობის ბუნტი უწინასწარმეტყველეს

**4 აგვისტოს, საღამოს, ლიბანის დედაქალაქ ბეირუთის პორტში ორჯერ გაისმა აფეთქების ხმა. პირველი აფეთქება შედარებით მცირე ძალის იყო (აალდა პიროტექნიკა), მაგრამ კვამლის უზარმაზარმა ღრუბელმა გამვლელთა ყურადღება მიიპყრო. სწორედ გამვლელების ვიდეოკამერებმა აღბეჭდეს მეორე აფეთქება. ის ტაქტიკური ბირთვული მუხტის დეტონაციას ჰგავდა. აფეთქება ისეთი მძლავრი იყო, რომ დარტყმითი ტალღისგან დაზარალდა საქმიანი კვარტლის ყველა შენობა და აეროპორტი, რომელიც ქალაქის სხვა ნაწილში მდებარეობს.**

7 აგვისტოს მონაცემებით, ბეირუთში მომხდარი აფეთქების შედეგად დაიღუპა 145 ადამიანი, დაიჭრა — 5 ათასზე მეტი. დაღუპულთა და დაჭრილთა შორის არიან არა მხოლოდ ლიბანელები, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც. ბეირუთის მერმა მომხდარს ეროვნული კატასტროფა უწოდა. ქვეყანაში გლოვა გამოცხადდა.

**ამერიკულმა გამოცემა Veterans Today-მ ყურადღება გაამახვილა ჰაერში მოძრავ უცნაურ ობიექტზე, რომელიც პორტის საწყობების თავზე შენიშნეს მეორე აფეთქების წინ.** ამას გარდა, რადიაციის გაზომვამ იტალიაში რადიაციული ფონის მკვეთრი მომატება ცხადყო. ვიღაცამ ივარაუდა, რომ ისრაელმა (შესაძლოა, აშშ-თან ერთად) ატომური იარაღით შეუტია ლიბანს, მაგრამ ამ ვერსიის მომხრეებს მყისვე განუმარტეს, რომ ასეთ შემთხვევაში იქნებოდა ელექტრომაგნიტური იმპულსი და შედეგად ყველა მობილური ტელეფონი გაითიშებოდა. ამით **კომპაქტური ბირთვული იარაღის გამოყენების ვერსია გამოირიცხა.**

გაჩნდა მიმართული საბრძოლო მუხტის გამოყენებით უზარმაზარი რაოდენობის სელიტრის აფეთქების ვერსია. ამ ვერსიას მხარი დაუჭირა ტელეარხმა CNN-მა, რომლის ეთერშიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილმა ოპერატიულმა თანამშრომელმა **რობერტ ბაერმა** განაცხადა, რომ ამონიუმის ნიტრატი (სელიტრა) თავისით არ შეიძლება აფეთქდეს. **ირანის ახალი ამბების სააგენტომ გამოაქვეყნა მონაცემები 4 აგვისტოს სირია-ლიბანის სანაპიროსთან 4 ამერიკული მზვერავი თვითმფრინავის საეჭვო აქტიურობის შესახებ. აფეთქებამდე რამდენიმე დღით ადრე კი ბეირუთის თავზე ისრაელის უპილოტო საფრენი აპარატები შენიშნეს. ერთი კვირით ადრე ისრაელის დრონები სამხრეთ ლიბანის თავზეც დაფრინავდნენ და მათგან ერთ-ერთი „ჰეზბოლამ" ჩამოაგდო.**

5 აგვისტოს, დილით, ბეირუთში გამოაცხადეს მომხდარის ოფიციალური ვერსია: „პორტის მე-12 მისაბმელის საწყობში მიმდინარეობდა შედუღების სამუშაოები, წარმოქმნილი ნაპერწკლების შედეგად აალდა პიროტექნიკა, ცეცხლი მოედო სელიტრათი სავსე ტომრებს (საწყობში ინახებოდა 2750 ტონა სელიტრა), რომლებიც აფეთქდა".

**სელიტრა ბეირუთის პორტში რამდენიმე წლის წინათ შეიტანეს. დოკუმენტების მიხედვით, ტვირთი ბათუმიდან მოზამბიკში გადაჰქონდა მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავ გემ Rhosus-ს, მაგრამ 2013 წელს გემი დამატებითი ტვირთის ასაღებად ბეირუთში შევიდა. ბეირუთის სასამართლომ კი მოსაკრებლის გადაუხდელობის გამო გემი ტვირთთან ერთად დააკავა. კაპიტანი და მისი გუნდის რამდენიმე წევრი კარგა ხანს იყვნენ დაპატიმრებულები, ტვირთი კი პორტის საწყობში ინახებოდა.**

თითქმის მყისვე, როგორც ეს ბოლო ხანს გამუდმებით ხდება ხოლმე, ალაპარაკდნენ „რუსულ კვალზე", ამოტივტივდა გემ Rhosus-ის მფლობელის ფიგურაც. ეს არის ამჟამად კვიპროსზე მცხოვრები რუსეთის მოქალაქე, ხაბაროვსკელი **იგორ გრეჩუშკინი,** რომელმაც გემის დაპატიმრების შემდეგ ბედის ანაბარა მიატოვა ტვირთიც და ეკიპაჟის წევრებიც.

ბეირუთის პორტის აფეთქებაში რუსეთის მონაწილეობის ვერსია უარყო ლიბანის ტელეარხ „ალ-მანარის" კორესპონდენტმა **ახმად ჰაჯ-ალიმ.** მისი თქმით, ამონიუმის ნიტრატი განკუთვნილი იყო ტერორისტული დაჯგუფებისთვის სირიაში, შემკვეთები კი იყვნენ სპარსეთის ყურის არაბული სახელმწიფოების



უცნობი ობიექტი ბეირუთის პორტის თავზე მეორე აფეთქების წინ





მონარქები, რომლებიც ვაშინგტონის მითითებებით მოქმედებენ.

უპასუხოდ რჩება კითხვა — რატომ ინახებოდა ამდენი წლის განმავლობაში ეს სახიფათო ნივთიერება ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პორტში მარცვლეულის საცავსა და საცხოვრებელ კვარტლებთან ახლოს? რა შეიძლება ითქვას? ლიბანი თავისებური ქვეყანაა. იქ არ არის მდგრადი მთავრობა, ხელისუფლების სათავეში შემთხვევითი ადამიანები არიან, ავანტიურისტებისა და თაღლითების შესახებ სკანდალები პოლიტიკურ ნორმად იქცა.

ბეირუთის პორტის საწყობებში, ალბათ, კიდევ ინახება ისეთი რამ, რაც შეიძლება აფეთქდეს. აღსანიშნავია, რომ ქალაქის თავზე გაჩნდა რადიაციული ღრუბელი. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ადრე ლიბანში ევროპიდან წამოღებული რადიაქტიური ნარჩენები დამარხეს, როგორც ჩანს, ადგილობრივებიდან ვიღაცამ ამით ხელი მოითბო.

ბეირუთის პორტის გავლით ქვეყანა აუცილებელი საქონლის 70%-ს იღებს. საწყობებთან ერთად დაიწვა მარაგი მედიკამენტებისა, რომელთა დიდი ნაწილიც ირანში იყო დამზადებული. და, რადგან ლიბანი გაკოტრების ზღვარზე მყოფი ქვეყანაა, ეს სელიტრის განადგურებაზე უფრო საშინელი დარტყმაა. ისრაელის გაზეთმა „ჰაარეცმა" უკვე უწინასწარმეტყველა ლიბანს ეკონომიკური კოლაფსი და მოსახლეობის ბუნტი.

სხვათა შორის, აფეთქება მოხდა ლიბანის ყოფილი პრემიერმინისტრის, **რაფიკ ჰარირის,** მკვლელობის სასამართლო პროცესის დაწყებიდან რამდენიმე დღით ადრე. მეორე დღეს, 5 აგვისტოს კი, პარტია „ჰეზბოლას" გენერალურ მდივანს, **ჰასან ნასრალას,** მოსახლეობისთვის სიტყვით უნდა მიემართა.

სანამ ლიბანის ხელისუფლება უარყოფს აფეთქებებში აშშ-ისა და ისრაელის მონაწილეობას, გამოძიება გრძელდება.

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**P.S. ტელეკომპანია „ალჯაზირას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბეირუთის ცენტრში დაიწყო საპროტესტო აქციები. დემონსტრანტები, რომლებიც მთავრობის გადადგომას მოითხოვენ, პარლამენტში შეჭრას შეეცადნენ.**

# უნგრეთის პრემიერმინისტრმა მიგრანტები ბიოლოგიურ იარაღს შეადარა



**უნგრეთის პრემიერმინისტრმა ვიქტორ ორბანმა მიგრანტებს ბიოლოგიური იარაღის მსგავსი საფრთხე უწოდა და მოითხოვა, რომ შეწყდეს მათი შესვლა ევროპაში და, კონკრეტულად, უნგრეთში.**

„არალეგალი მიგრანტები, რომლებსაც სურთ, ქვეყანაში შემოვიდნენ უკონტროლოდ, არა მხოლოდ არღვევენ უნგრეთის კანონებს, არამედ ბიოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენენ", — განაცხადა **ვიქტორ ორბანმა.**

უნგრეთის პრემიერმინისტრის აზრით, ყველა მიგრანტი ამჟამად წარმოადგენს პოტენციურ საფრთხეს, რადგან უცნობია, რომელია მათ შორის კორონავირუსით ინფიცირებული. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკურის სამსახურის ხელმძღვანელმა **ჟოზეპ ბორელმა** 12 მაისს განაცხადა, რომ კორონავირუსის პანდემია მსოფლიოს ქვეყნების უსაფრთხოებას ძირის გამოთხრით ემუქრება.

მარტში უნგრეთის შს მინისტრმა **პეტერ სიიარტომ** განაცხადა, რომ ბუდაპეშტი დაიცავს თავის საზღვრებს და აღკვეთს ასიათასობით სირიელი მიგრანტის შეჭრის მცდელობას.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

იტალიური მედიასაშუალებები აჭრელებულია ცნობებით მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევათა რაოდენობის მატების შესახებ. მემარჯვენე ოპოზიციისთვის ეს არის საბაბი მთავრობაზე შესატევად, რომელსაც ადანაშაულებენ დემაგოგიაში „საომარ მოქმედებებს ძლივს თავდაღწეული საწყალი ლტოლვილების მიმართ“. სინამდვილეში კი მიგრანტთა შორის თითქმის არ არიან წარმომადგენლები იმ ქვეყნებისა, რომლებშიც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

დეზინტე-გრაცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იტალიური მედიასაშუალებები განგაშს ტეხენ: ჩრდილოეთ აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან წამოსული მიგრანტები განაგრძობენ იტალიის შტურმს, ამ მიგრანტებს შორის კი ბევრია კორონავირუსით პოტენციურად ინფიცირებული. მხოლოდ ივლისში არალეგალების ნაკადმა 400%-ით მოიმატა. ახალჩამოსულები გარბიან დროებითი განთავსების ცენტრებიდან და ვირუსს ავრცელებენ აპენინის ნახევარკუნძულზე.**

# გამოიწვევს თუ არა Italexit-ს «მზრუნველი» ევროკავშირის დირექტივები

არალეგალი მიგრანტებით გადავსებულია არა მხოლოდ კუნძული ლამპედუზა, არამედ ქვეყანაში ლტოლვილების მიმღები ყველა პუნქტი პირთამდეა სავსე. მოსახლეობა აპროტესტებს და პროტესტი სხვადასხვა ფორმას იღებს. მაგალითად, **კალაბრიაში ადგილობრივი მცხოვრებნი გზაზე წვებიან და მოძრაობას აჩერებენ, რათა გადაადგილებაში ხელი შეუშალონ მანქანებს, რომლებითაც მიგრანტები გადაჰყავთ. ტრევიზოში, სადაც მიგრანტები იზოლირებულად მოათავსეს ყოფილ ყაზარმებში, მიგრანტებმა მოაწყვეს ბუნტი — დალეწეს ავეჯი და მოწყობილობები.**

იტალიური მედიასაშუალებები აჭრელებულია ცნობებით მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის შემთხვევათა რაოდენობის მატების შესახებ. მემარჯვენე ოპოზიციისთვის ეს არის საბაბი მთავრობაზე შესატევად, რომელსაც ადანაშაულებენ დემაგოგიაში „საომარ მოქმედებებს ძლივს თავდაღწეული საწყალი ლტოლვილების მიმართ“. სინამდვილეში კი მიგრანტთა შორის თითქმის არ არიან წარმომადგენლები იმ ქვეყნებისა, რომლებშიც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

**„ევროკავშირის მხარდაჭერით ცდილობენ, იტალია გადააქციონ გიგანტურ პორტად მესამე სამყაროს ყველა სასოწარკვეთილი ადამიანისთვის და ჩვენ უკვე ძალიან ძვირი დაგვიჯდა ეს“,** — წერენ იტალიური მედიასაშუალებები.

მემარჯვენეთა კოალიციაში გაერთიანებული პარტია „ფრატელი დ'იტალია“-ს ლიდერმა **ჯორჯია მელონიმ** განაცხადა, რომ მთავრობა ატარებს „შეუწყნარებელ იმიგრაციულ პოლიტიკას და ამით შეურაცხყოფს მსხვერპლს, რომელიც იტალიელებმა გაიღეს კორონავირუსთან ბრძოლაში“, **„ნუთუ მათ, ვინც უკანონოდ ჩამოდის იტალიაში, შეუძლიათ ყველაფერი გააკეთონ, რაც მოესურვებათ და ამით საფრთხე შეუქმნან იტალიის მოქალაქეების სიცოცხლეს?“** — სვამს კითხვას ჯორჯია მელონი.

„დღეს ისე, როგორც არასდროს, — ამბობს პარტია „წინ, იტალია“-ს ლიდერი **სილვიო ბერლუსკონი,** — მკაცრი სასაზღვრო კონტროლია საჭირო იმპორტირებული კორონავირუსის ახალი ტალღის წინააღმდეგ, რომელიც მოდის იტალიაში უკანონოდ შემოსული მიგრანტებისგან“.

ამ პრეტენზიებს არ იღებენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ მათი არგუმენტები არადამაჯერებელია, მაგალითად, **რეგიონული საკითხების მინისტრმა ფრანჩესკო ბოჩიამ განაცხადა, რომ „ინფიცირებულთა 75% იტალიელია, რომლებიც სხვა იტალიელებს აინფიცირებენ“. ამ განცხადებიდან ირკვევა, რომ ინფიცირებულთა, სულ ცოტა, 25% მიგრანტები არიან, რომლებსაც ვირუსი საზღვრებს გარედან შეაქვთ იტალიაში.**

აღსანიშნავია, რომ **კვლავ ცდილობენ, განსასჯელის სკამზე დასვან ოპოზიციის ლიდერი — „ჩრდილოეთის ლიგის“ ხელმძღვანელი მატეო სალვინი, რომელსაც ადანაშაულებენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნისას ხელს უშლიდა მიგრანტებით სავსე გემების შესვლას იტალიის პორტებში და ამით არღვევდა ევროკავშირის დირექტივებს.**

აი ამ ფონზე გაისმა ხმები იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც ამბობენ, რომ იტალიამ აუცილებლად უნდა დატოვოს ევროკავშირი და შესაბამისად — ევროზონა.

ევროკავშირში იტალიის წევრობით უკმაყოფილო ძალების გაერთიანების მცდელობაზე განაცხადა სენატორმა **ჯან ლუიჯი პარაგონემ,** რომელმაც ახალი პარტია შექმნა, მანამდე კი პარტია Brexit-ის (დიდი ბრიტანეთი) ლიდერ ნაიჯელ ფარაჯს შეხვდა. „ჩვენ აღარ მოვითმენთ შანტაჟს იმ ქვეყნებისა, რომლებიც ძირს უთხრიან იტალიის პრესტიჟს“, — განაცხადა პარაგონემ.

**„მხოლოდ ნამდვილად სუვერენულ სახელმწიფოს შეუძლია, გაუმკლავდეს კოვიდ-19-ის გავრცელებით გამოწვეულ კრიზისს“, — თქვა იტალიის სენატორმა. „ევროკავშირი და ევრო, — თქვა პარაგონემ, — იტალიას თავს ძალდატანებით მოახვიეს. ამით ავნეს რეალურ ეკონომიკას, ოჯახებს, მომუშავეებს, მცირე და საშუალო ბიზნესს. ევრო შექმნეს სპეციალურად გერმანიისთვის. დღეს ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს პოლიტიკურ ნებას არჩევნებზე, მაგრამ ჩვენ მიერ არჩეულმა მთავრობამ უნდა გაატაროს ის პოლიტიკა, რომელსაც კარნახობენ ევროკავშირიდან. ჩვენ აუცილებლად უნდა დავამყაროთ სრული კონტროლი ჩვენს მთავრობაზე“. „იტალექსიტი“ ისე ახლოა, როგორც არასდროს!“** — აღტაცებით წერს ბრიტანული გამოცემა Express-ი. თუმცა სპეციალისტთა აზრით, ის მეტისმეტად აფასებს იტალიის მზადყოფნას, დატოვოს ევროკავშირი. ფული, რომლის გამოყოფასაც დაჰპირდნენ იტალიას ე.წ. ეკონომიკის აღდგენის ფონდიდან (ამ ფონდის შექმნის შესახებ 17-21 ივლისს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირის სამიტზე განაცხადეს, თუმცა ჯერჯერობით უცნობია, როდის დაიწყება ფონდიდან ფულის გადარიცხვები) შეიძლება ძლიერი მუხრუჭი აღმოჩნდეს ევროკავშირიდან გასვლის გზაზე.

**fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**




**«ევროკავშირის მხარდაჭერით, ცდილობენ, იტალია გადააქციონ გიგანტურ პორტად მესამე სამყაროს ყველა სასოწარკვეთილი ადამიანისთვის და ჩვენ უკვე ძალიან ძვირი დაგვიჯდა ეს», — წერენ იტალიური მედიასაშუალებები**



მიგრანტების განთავსების ცენტრები გადავსებულია



კალაბრიის მცხოვრებნი ასე ცდილობენ გზის გადაკეტვას იმ ავტომობილებისთვის, რომლებითაც მიგრანტები გადაჰყავთ




სენატორი პარაგონე და ნაიჯელ ფარაჯი

პოლიტ-განათლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1948 წლის მაისში გაიმართა პანევროპისტების ჰააგის კონგრესი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის გაერთიანებას ევროპული მოძრაობის შექმნით. თავმჯდომარე გახდა ჩერჩილის სიძე დუნკან სენდისი, გენერალური მდივანი — რეტინგენი. საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს უინსტონ ჩერჩილი და კონრად ადენაუერი, იტალიელი დე გასპერი, ფრანგი ბლუმი და ბელგიელი სპაააკი.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25, 26, 28, 29, 2020 წ.

# ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია

## გეგმები, მექანიზმები, შედეგები

**კუდენჰოვე-კალერგისთან** ერთად პანევროპული მოძრაობის ლიდერებად ჩამოყალიბდნენ **ჟოზეფ რეტინგერი, ოტო ფონ ჰაბსბურგი და ჟან მონე.**

ომის შემდეგ პანევროპულმა **მოძრაობამ ფრთები გაშალა, მაგრამ ამის გამო აღმოსავლეთ ევროპა ინგლის-ამერიკის კონტროლს აღარ დაექვემდებარა, დასავლეთმა ყურადღება გადაიტანა დანარჩენი ევროპის გაერთიანებაზე, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთისა და გერმანიის შერიგებაზე. ეს შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ორივე ქვეყნის ხელისუფლებებში დამკვიდრდებოდა პროატლანტიკური ელიტა, რომელიც იხელმძღვანელებდა არა ეროვნული ინტერესებით, არამედ საერთო ევროპული კატეგორიებით.**

გერმანიაში, რომელშიც ეროვნული იდეა სრულად იყო დისკრიდიტებული, ხოლო ხალხს ჰოლოკოსტის იდეოლოგიის საშუალებით თავს მოახვიეს ეროვნული არასრულყოფილების კომპლექსი (რომელმაც გერმანულ მომავალს ბოლო მოუღო), მმართველი კლასი უკიდურესად დამყოლი გახდა. ახალი გერმანიის პოლიტიკურ ლიდერად გაამწესეს **კონრად ადენაუერი,** რომელსაც გერმანული ელიტის ეროვნული იდეა პროატლანტიკურ კალაპოტში უნდა მოექცია.

რაც შეეხება საფრანგეთს, **ნაციზმის მსხვერპლად აღიარებამ, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაძლიერებამ და ძლიერი ეროვნული ლიდერის, გენერალ დე გოლის, მოსვლამ ხელისუფლების სათავეში უკიდურესად გაართულა „პანევროპიზაციის" იდეით ფრანგების დაინტერესება. ამიტომ იყო, რომ აქცენტი 1944 წელს შექმნილ გასაიდუმლოებულ ორგანიზაცია „საუკუნეზე" გადაიტანეს, რომელშიც ყველა ნაირფერი და განსხვავებული იდეოლოგიების მქონე ორგანიზაციის წარმომადგენლები გააერთიანეს.**

„საუკუნე" საფრანგეთში რეალური ძალაუფლების მქონეთა კონსოლიდაციის ფორმად ჩამოყალიბდა, რომელშიც თავი მოიყარეს წამყვანმა ბანკებმა, საწარმოებმა და მასობრივი ინფორმაციის მსხვილმა საშუალებებმა. ის იყო დახურული, არცთუ მრავალრიცხოვანი კლუბი, რომელიც მითითებებს იღებდა ტრანსნაციონალური ელიტებისგან განვითარების უმთავრეს საკითხებზე, მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბებაზე და ა.შ.

ამ სამოქალაქო საზოგადოებისგან იზოლირებულ გარემოში სწამთ მხოლოდ ერთი იდეოლოგია, რომელსაც ჭეშმარიტებად მიიჩნევს მისი ყველა წევრი, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, და რომელიც სავალდებულოა გლობალიზებული „ზეკლასისთვის".

**დე გოლი** ერთადერთი ფრანგი პოლიტიკოსი იყო, რომელიც აუმხედრდა ატლანტიზმს და „საუკუნეში" არ გაერთიანებულა.

შესაბამისი „საკადრო რეზერვის" შექმნის შემდეგ, ინგლის-ამერიკის ისტებლიშმენტი შეუდგა თავისი გეგმების რეალიზაციას. 1946 წელს ერთიანი ფედერალური ევროპის იდეა მოიწონა აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭომ, რომელსაც **ალენ დალესი** ედგა სათავეში, და ჩართო იგი სახელმწიფო დეპარტამენტისთვის რეკომენდაციების სიაში. მაშინ წარმოთქვა **უინსტონ ჩერჩილმა** თავისი ცნობილი სიტყვა, რომელიც მიუძღვნა ევროპის გაერთიანებული შტატების შექმნის აუცილებლობას. ამ გამოსვლის ტექსტი **კუდენჰოვე-კალერგის** მონაწილეობით იყო შედგენილი. პროექტის წარდგება დაამთხვიეს რაიხის კაპიტულაციის წლისთავს. იმავე წლის სექტემბერში იქმნება ეკონომიკური თანამშრომლობის ევროპული ლიგა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **ჟონ რეტინგერი,** კუდენჰოვე-კალერგის მეტოქე.

შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა მონტრეში (შვეიცარია) შეხვედრის გამართვით 1947 წლის აგვისტოში. მონაწილეობდნენ პანევროპეიზმის ამერიკელი და ევროპელი წარმომადგენლები. აქ მიიღეს გადაწყვეტილება ორი სტრუქტურის შექმნის შესახებ. პირველი იყო „მსოფლიო ფედერალური მოძრაობა," მეორე — „ფედერალისტების ევროპული კავშირი, რომლებისთვისაც სახსრები ამერიკელებმა გამოყვეს. შეხვედრის პროცესში „მსოფლიო ფედერალურმა მოძრაობამ" შეიმუშავა დეკლარაცია, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც „მსოფლიო კონფედერაციის" განმსაზღვრელი დოკუმენტი, როგორც დროის მთავარი პრობლემა.

**1948 წლის მაისში გაიმართა პანევროპეისტების ჰააგის კონგრესი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ევროპის გაერთიანებას ევროპული მოძრაობის შექმნით, რომლის თავმჯდომარე გახდა ჩერჩილის სიძე დუნკან სენდისი, გენერალური მდივანი — რეტინგენი. საპატიო თავმჯდომარეებად აირჩიეს უინსტონ ჩერჩილი და კონრად ადენაუერი, იტალიელი დე გასპერი, ფრანგი ბლუმი და ბელგიელი სპაააკი.**

პროცესის გასაკონტროლებლად 1949 წლის იანვარში ნიუ-იორკში შეიქმნა გაერთიანებული ევროპის ამერიკული კომიტეტი **უილიამ დონოვანის** თავმჯდომარეობით, რომელშიც გაერთიანდნენ ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლები (**სმიტი** და **დალესი**), პოლიტიკოსები, იურისტები, ბანკირები და პროფკავშირების მოღვაწენი. **1949-დან 1959 წლამდე პერიოდში ამ ორგანიზაციას ამერიკელებმა (უპირველესად, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ) 50 მილიონი აშშ დოლარი დაახარჯა (თანამედროვე კურსით).**

ისიც უნდა ითქვას, რომ **ოფიციალური პანევროპული ორგანიზაციების პარალელურად, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე მუშაობდნენ, იქმნებოდა სხვა, ჩრდილოვანი სტრუქტურები, რომელთა მიზანი იყო ევროპის გაბატონებული კლასის რეალური გაერთიანება. მათგან ერთ-ერთი (როგორც ვთქვით) იყო საიდუმლო ტრანსნაციონალური საზოგადოება „წრე", რომელიც, როგორც ვარაუდობენ, ჩამოაყალიბა საფრანგეთის პრემიერმინისტრმა პინემ 1950-იანი წლების დასაწყისში** (ზუსტი თარიღი უცნობია), რომლის წევრები გახდნენ კონტინენტური ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, ბანკირები, ელჩები, გამომცემლები, პუბლიცისტები და სამხედროები.



> **ნაციზმის მსხვერპლად აღიარებამ, ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაძლიერებამ და ძლიერი ეროვნული ლიდერის, გენერალ დე გოლის, მოსვლამ ხელისუფლების სათავეში უკიდურესად გაართულა «პანევროპიზაციის» იდეით ფრანგების დაინტერესება. ამიტომ იყო, რომ აქცენტი 1944 წელს შექმნილ გასაიდუმლოებულ ორგანიზაცია «საუკუნეზე» გადაიტანეს, რომელშიც ყველა ნაირფერი და განსხვავებული იდეოლოგიების მქონე ორგანიზაციის წარმომადგენლები გააერთიანეს**

**მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ვატიკანის, მალტის ორდენებისა და „ოპუს დეის" წარმომადგენლები, რომლებიც ისწრაფვოდნენ წმინდა რომის იმპერიის აღდგენას „ატლანტიკიდან შავ ზღვამდე", ასევე, ინგლისური არისტოკრატიის წევრები. თუმცა ეს უკანასკნელნი თანდათან ჩამოსცილდნენ ამ პროექტს, რადგან ჩათვალეს, რომ იგი ვერ შეინარჩუნებდა დიდი ბრიტანეთის გადამწყვეტ როლს.**

ამ წიაღში, რომელიც აერთიანებდა დასავლეთის სამყაროს წამყვანი კორპორაციებისა და ბანკების წარმომადგენლებს, ყალიბდებოდა ფინანსური ელიტების საბოლოო მიზნების მიღწევის გზები და მეთოდები, რომლებიც ერთიანი გლობალური ბაზრისა და მსოფლიოს ერთიანი მთავრობის შექმნასთან იყო დაკავშირებული. ამ იდეის პირველი ეტაპი უნდა ყოფილიყო ევროპული სუპერსახელმწიფო საკუთარი ცენტრალური ბანკითა და ერთიანი ვალუტით. **იმ მიზეზით, რომ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები გაერთიანების თავიანთ ალტერნატიულ გზას ადგნენ, მთავარ ამოცანად გამოიკვეთა ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ. ბილდერბერგის კლუბმა იკისრა უზენაესი კონტროლის განხორციელება პანევროპული კავშირის მიზნების რეალიზაციაზე.**

ბოლო წლებში **ბილდელბერგის კლუბმა** ჭეშმარიტად გადამწყვეტი როლი შეასრულა ევროპის მმართველ კლასში არსებული დაპირისპირებული ცენტრისკენული ტენდენციის დაძლევაში. პირველი ხუთი კონფერენცია, რომლებიც 1954-1957 წლებში გაიმართა, ეძღვნებოდა დასავლეთში „წითელი მუქარის" წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების გაძლიერების საკითხს, აგრეთვე, შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების შემუშავებას, რომლებიც აუცილებელი იყო 1957 წლის მარტში რომის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ამ ხელშეკრულებამ სათავე დაუდო საბაჟო კავშირის, საერთო ეკონომიკის პოლიტიკისა და შრომის საერთო ბაზრის, საერთო მომსახურებასა და შიდა კაპიტალის შექმნას. მონაწილე ქვეყნებმა მოილაპარაკეს, რომ განახორციელებდნენ საერთო პოლიტიკას სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის დარგებში, ერთმანეთს შეუთავსებდნენ ეკონომიკურ კანონმდებლობას და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების სტანდარტულ პროცედურებს და ა.შ. შეიქმნა ახალი ორგანოები: კომისია, მინისტრთა საბჭო, ევროპის სასამართლო პალატა და საპარლამენტო ასამბლეა. დიდი ბრიტანეთი, რომელმაც თანამშრომლობის თავისი ფორმა შეიმუშავა, ამ ჯგუფში არ გაერთიანებულა. მან **1959 წელს შექმნა თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია. ამ ახალ წარმონაქმნში შევიდა შვედეთი, ნორვეგია, დანია, შვეიცარია, ავსტრია და პორტუგალია.**

ევროპელი ფედერალისტების გეგმები თანდათან ინერგებოდა ევროპულ რეალობაში, მაგრამ 1958 წელს, საფრანგეთის ხელისუფლების სათავეში გენერალ დე გოლის მოსვლის შემდეგ, ვითარება მკვეთრად შეიცვალა. გენერალს გაერთიანებულ ევროპაზე თავისი თვალსაზრისი ჰქონდა, რომელიც პანევროპულ პროექტში ვერ ეწერებოდა და, რაც მთავარია, არ შედიოდა საზოგადოება „საუკუნეში", რაც შეუძლებელს ხდიდა ჩრდილოვანი სტრუქტურების ნება-სურვილზე მის მანიპულირებას. ასე რომ, **დე გოლის ფენომენმა, ისევე, როგორც სტალინის ფენომენმა რუსეთში, საფუძველი გამოაცალა ევროპის ფედერალიზაციის გლობალისტების გეგმების განხორციელებას და ათი წლით გადაწია ამ ჩანაფიქრის რეალიზაცია. ნიშანდობლივია, რომ ამერიკელები იძულებულები გახდნენ, დაეთხოვათ გაერთიანებული ევროპის ამერიკული კომიტეტი და შეეწყვიტათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ პანევროპეისტების საიდუმლო დაფინანსება.**

პანევროპეისტებმა დე გოლი „მტრად" შერაცხეს და ხელისუფლებიდან მის ჩამოშორებაზე შეუდგნენ მუშაობას, რაც, ბოლოს და ბოლოს, განახორციელეს. მის ადგილზე მოვიდა **ჟორჟ პომპიდუ**, პარიზში როტშილდების ბანკის ერთ-ერთი მმართველი, რომელიც დაახლოებული იყო დიდი ბრიტანეთის საფინანსო წრეებთან და მათი ინტერესების განსახორციელებლად იღვწოდა.

### 6. ევროპის მშენებლობის გარდამტეხ ეტაპზე ჩრდილოვანი ხელისუფლების ახალი ხელსაწყო-იარაღები

1970-იანი წლების დასაწყისი უმნიშვნელოვანეს მიჯნად ჩამოყალიბდა დასავლეთის მმართველი წრეების მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში, როცა გამჟღავნდა საფინანსო კაპიტალის სერიოზული ცვლილებები. ტრანსნაციონალურმა ბიზნესმა დაასკვნა, რომ სახელმწიფო რეგულირების მისთვის პოზიტიური პოტენციალი ამოწურულია და რომ „სოციალური ეკონომიკა" თანდათან დაემუქრა მის პოზიციას.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ პერიოდში ▶

პოლიტ-განათლება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დე გოლის ფენომენა, ისევე, როგორც სტალინის ფენომენა რუსეთში, საფუძველი გამოაცალა ევროპის ფედერალიზაციის გლობალისტების გეგმების განხორციელებას და ათი წლით გადაწია ამ ჩანაფიქრის რეალიზაცია. ნიშანდობლივია, რომ ამერიკელები იძულებულები გახდნენ, დაეთხოვათ გაერთიანებული ევროპის ამერიკული კომიტეტი და შეეწყვიტათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ პანევროპეისტების საიდუმლო დაფინანსება.**

◀ დასავლეთში ფეხს იკიდებს „მულტინაციონალების“, ანუ კომპანიების გაერთიანების მიმდინარეობა, რომელიც ახალ პრობლემას გამოხატავდა. მისი ინტერესები აშკარად ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი წარმოების ინტერესებს და, ამასთან ერთად, თავის გარშემო ქმნიდა ისეთ სოციალურ გარემოსა და პროპაგანდას, რომლებიც ქცევისა და მოხმარების სტერეოტიპებს აყალიბებდა. **ეს სტერეოტიპები აშკარად ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ ტრადიციებს, მათი გავლენის სფერო კი სწრაფად ფართოვდებოდა. თავიანთი ექსპანსიის განხორციელების პროცესში ისინი ჰქმნიდნენ მიმოფანტული და მათ დამორჩილებაში მყოფი ანკლავების ერთიან ქსელს. ამ პირობებში კი თვით სახელმწიფო ხელისუფლება და საზღვრები ტრანსნაციონალური ბიზნესის საქმიანობის დაბრკოლებად წარმოგვიდგებოდა. სწორედ მაშინ დაიწყეს იმ სტრატეგიის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეგულირების სისტემის წინააღმდეგ და ღია „გლობალურ“ საზოგადოებაზე გადასვლის საფუძველი გახდებოდა.**

ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში ახალი სტრატეგიის შექმნა არ იგულისხმებოდა. დღის სინათლეზე უნდა გამოეტანათ „მრგვალი მაგიდის“, საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოსა და ბილდერბერგის კლუბის იდეები ისეთი იდეოლოგიური ფორმით, რომელიც მისაღები გახდებოდა დასავლეთის საზოგადოების ფართო ფენებისთვის. ამაზე **დაიწყეს მუშაობა შესაბამისმა „ტვინის ცენტრებმა“, რომელთა შორის მთავარ როლს თამაშობდა ბილდერბერგთან მჭიდროდ დაკავშირებული რომის კლუბი, რომელიც აერთიანებდა მსოფლიო პოლიტიკურ, საფინანსო და სამეცნიერო ელიტების წარმომადგენლებს. პრიორიტეტული მნიშვნელობა მიეცა „კაცობრიობის ერთიანი საზოგადოების“, „საზღვრებს გარეშე მშვიდობის“, ფულის ერთიანი გლობალური მიმოქცევის, ერთიანი ცენტრალური ბანკის, საქონლის, იდეებისა და მომსახურების აბსოლუტურად თავისუფალი გადაადგილების პროპაგანდას.**

შესაბამისად, აუცილებლად მხარი უნდა დაეჭირათ ყველაფრისთვის, რაც გლობალიზაციის იდეას გაამყარებდა და, ამასთანავე, სახელმწიფოს, როგორც სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების რეგულატორის, როლის დისკრედიტაციას მოახდენდა.

რომის კლუბმა თავისი მოღვაწეობით რადიკალურად შეცვალა დასავლეთის ადამიანის შეგნებაზე კონტროლი, გლობალურ სისტემაზე გადასვლის აუცილებლობის დამტკიცებას „მეცნიერულად დასაბუთებული“ დებულებებით შეუდგა. ამჯერად ერთი მილიარდი მოსახლეობის (ე.წ. ოქროს მილიარდის) ბედნიერი ყოფის უზრუნველყოფის დასაბუთებას ზუსტი მათემატიკური ანალიზით ცდილობდნენ. მაგრამ რეალურად რომის კლუბის იდეოლოგიაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა ოკულტურ-პანთეისტური მსოფლმხედველობის მოძრაობა „ნიუ ეიჯ“ თავისი „სიღრმისეული ეკოლოგიის“ კულტით. ყველა ამ ფსევდომეცნიერული კონცეფციის მიღმა იმალებოდა ინტერესები საფინანსო ელიტისა, რომლისთვისაც „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების მოსახლეობა არანაირ ფუნქციურ ღირებულებას არ წარმოადგენდა, ხოლო თვით ამ ქვეყნებს განიხილავდა, როგორც სანედლეულო დანამატსა და მავნე ნარჩენების გადასაყრელ ზონას.

მაგრამ ეს იყო თეორია. ვითარება კი მოითხოვდა რეალურ ძვრას, რომელიც მასებს დაარწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო განვითარების ძველი მოდელის უარყოფა. **ბილდერბერგის კლუბის შეხვედრაზე დაგეგმეს კორპორაციული ელიტების მიერ ნავთობის პროვოცირებული გაძვირება. ეს მოხდა 1973 წელს და ომის შემდგომ ევროპაში პირველი ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. კალაპოტიდან ამ ამოვარდნას პერმანენტული კატაკლიზმები მოჰყვა. ამ კრიზისს წინ უსწრებდა სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ფინანსური ელიტების პოლიტიკის რეალურ მიჯნად შეიძლება ჩაითვალოს. იგულისხმება დოლარის მიბმა ოქროზე, რომლის შედეგადაც დოლარი ჩამოყალიბდა საერთაშორისო ანგარიშსწორების მთავარ საშუალებად, იბეჭდებოდა შეუზღუდავი რაოდენობით და, აშშ-ის პრეზიდენტის ნიქსონის აღიარებით, შეერთებული შტატების ძირითად საექსპორტო საქონლად იქცა.** ფულის ბეჭდვა და ამ ფულით რეალური მსოფლიო აქტივების შესყიდვა ამერიკელი ფინანსური ელიტების მთავარ ბიზნესად დამკვიდრდა.

1970-იანი წლების ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა დასავლელი ადამიანი ფსიქოლოგიურ შოკში ჩააგდო, რომელიც კოპორაციულმა ელიტებმა „სოციალური სახელმწიფოს“ დაუნდობელი კრიტიკის დასაწყებად გამოიყენეს. ამ მიზნის განსახორციელებლად შექმნეს ჩრდილოვანი ხელისუფლების კიდევ ერთი სტრუქტურა როკფელერების კონტროლით და **ზბიგნევ ბჟეზინსკის** ხელმძღვანელობით — სამმხრივი კომისია, რომლის მიზანი იყო უთანხმოების დაძლევა და სამი რეგიონის (აშშ-ის, ევროპისა და იაპონიის) მმართველი ელიტების კონსოლიდაციის მიღწევა ნეოლიბერალური კურსის დაცვისა და განხორციელების საქმეში.

ზემოთ დასახელებული და სხვა პროცესების შედეგად გააქტიურდა ყველა სტრუქტურა, რომლებიც ევროპის ზენაციონალური გაერთიანებისთვის მუშაობდა. რაც შეეხება პანევროპულ კავშირს, **კუდენჰოვე-კალერგის თვითმკვლელობის შემდეგ (1972 წლის ივლისი) ჟორჟ პომპიდუს წინადადებით, ორგანიზაციის პრეზიდენტად აირჩიეს ოტო ფონ ჰაბსბურგი, „წრის“ გავლენიანი წევრი.** ამ მომენტში პანევროპულ კავშირს ჰქონდა ჩრდილოვანი პოლიტიკური ორგანიზაციების ქსელი ევრ-

**პანევროპულ მოძრაობას აკონტროლებდა (ოტო ჰაბსბურგის მეშვეობით) ვატიკანი, რომელიც იოანე პავლე II-ის მოღვაწეობის პერიოდში თანმიმდევრულად მხარს უჭერდა ნეოლიბერალურ მსოფლიო პროექტს და ყველა შესაძლებლობას იყენებდა გლობალური კატეგორიებით მოაზროვნე ახალი ტიპის მმართველი ელიტის ჩამოსაყალიბებლად**



**თუ «განახლებული მსოფლიოს» მხოლოდ კონტურებია ჯერჯერობით გამოსახული, მთავარი იდეა უკვე სავსებით ნათლად არის გამოკვეთილი: თუ არ გსურთ საყოველთაო ქაოსი, საჭირო იქნება ერთიანი «გლობალური მმართველობის» შემოღება, რაც მონდიალისტური ენიდან გასაგებ ენაზე გადმოთარგმნილი ნიშნავს: თუ არ დათანხმდებით «გლობალურ მმართველობას», არნახულ ქაოსს მოგიწყობთ**

ოპაში. **პანევროპულ მოძრაობას აკონტროლებდა (ოტო ჰაბსბურგის მეშვეობით) ვატიკანი, რომელიც იოანე პავლე II-ის მოღვაწეობის პერიოდში თანმიმდევრულად მხარს უჭერდა ნეოლიბერალურ მსოფლიო პროექტს და ყველა შესაძლებლობას იყენებდა გლობალური კატეგორიებით მოაზროვნე, ახალი ტიპის მმართველი ელიტის ჩამოსაყალიბებლად.**

**1990-იან და შემდგომ — 2000-იან წლებში თანმიმდევრულად განხორციელდა ფინანსური ელიტების გეგმების უდიდესი ნაწილი, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და რომელთა სარეალიზაციოდ მუშაობდა ღია და ფარული ჩრდილოვანი სტრუქტურების მთელი ქსელი.**

1999 წელს შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი; 1999-2001 წლებში შემოიღეს ევრო, თავიდან უნაღდო, 2002 წლიდან კი ნაღდ ანგარიშსწორებაში; გაფართოვდა ევროპარლამენტის ფუნქციები და ევროკომისიის უფლებები; ჩამოყალიბდა ერთიანი ევროპული სამართლებრივი და ერთიანი საინფორმაციო სივრცეები; დამკვიდრდა პიროვნების ახალი კონცეფცია, რომელსაც არ უნდა დაებრკოლებინა საზოგადოებრიობის თითოეულ წევრზე ტოტალური ელექტრონული კონტროლის დაწესება. მაგრამ ახალი წესრიგის დამყარების გზაზე კვლავ გადაულახავ წინაღობად დარჩა სახელმწიფო ხელისუფლება, ამიტომ სწორედ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის კონცეფციაზე უნდა განეხორციელებინათ ძირითადი დარტყმა.

**ბოლო წლებში უკვე მწვავედ შეუტიეს ეროვნულ სუვერენიტეტს. მის მოძველებულობაზე არაერთხელ ილაპარაკა როკფელერმა. მილიარდერის ყველაზე უფრო გავრცელებული გამოთქმების მცირე ნაწილს შევახსენებთ მკითხველებს: „ინტელექტუალური ელიტისა და ბანკირების ზეეროვნული სუვერენიტეტი ხალხთა თვითგამორკვევაზე აღმატებულია“ (1991); „ჩვენ გლობალური ცვლილებების ზღურბლზე ვდგავართ, ყველაფერი, რაც გვჭირდება — ეს არის მასშტაბური კრიზისი და მაშინ ხალხი მიიღებს ახალ მსოფლიო წესრიგს“ (1994); „რაღაცით უნდა შეცვალოს მთავრობები, და მე მგონია, რომ საამისოდ ყველაზე უმჯობესი იქნება კერძო ხელისუფლება“ (1999).**

ბოლო წლების განმავლობაში გლობალური ხელისუფლების იდეის აღიარებისთვის კაცობრიობას რომ ამზადებდნენ, მსოფლიო ელიტები სხვადასხვა სოციალურ ტექნოლოგიურ საშუალებას გამოიყენებდნენ. მაგრამ ისევე, როგორც 1970-იანი წლების დასაწყისში სჭირდებოდათ მძლავრი შერყევა, ძვრა, რომელიც მათ „დისკურსს“ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში რეალურ და მოქმედების ერთადერთ გამართლებულ პროგრამად წარმოაჩენდა.

**ასეთ საშუალებად წარმოგვიდგა 2008 წელს მათ მიერ ორგანიზებული მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი, რომლის დაწყებისთანავე დასავლური საზოგადოების ლიდერები შეუდგნენ კაცობრიობისთვის იმ აზრის ჩანერგვას, რომ ამ დიდი ძვრიდან „მსოფლიო სრულიად განსხვავებული გამოვა“. მაგრამ, თუ „განახლებული მსოფლიოს“ მხოლოდ კონტურებია ჯერჯერობით გამოსახული, მთავარი იდეა უკვე სავსებით ნათლად არის გამოკვეთილი: თუ არ გსურთ საყოველთაო ქაოსი, საჭირო იქნება ერთიანი „გლობალური მმართველობის“ შემოღება, რაც მონდიალისტური ენიდან გასაგებ ენაზე გადმოთარგმნილი ნიშნავს: თუ არ დათანხმდებით „გლობალურ მმართველობას“, არნახულ ქაოსს მოგიწყობთ.**

გლობალურმა ელიტებმა რეალურად გადაწყვიტეს, დაასრულონ სახელმწიფო ძალაუფლების საკუთარით ჩანაცვლება — გლობალური მასშტაბის კერძო ძალაუფლებით.

ეს პროცესი ორი გზით ხორციელდება: ერთი მხრივ, საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო ააშკარავებენ თავიანთ ზეეროვნულ ხასიათს და მმართველობის ზეეროვნულ ორგანოებად წარმოგვიდგებიან, რომელთა საქმიანობა არ ესადაგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს; მეორე მხრივ, **სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროები თანმიმდევრობით გადადის კერძო სტრუქტურების ხელში, რაც ხორციელდება ე.წ. აუტსორსინგის საშუალებით, როცა სახელმწიფო ფუნქციები გადაეცემა კერძო ფირმებს, რომლებიც კონტრაქტორის როლში გამოდიან, ორგანიზაციის შიდა ამოცანების გადასაწყვეტად გარეშე პირებს იწვევენ. ეს პროცესი განსაკუთრებით აქტიურად მიმდინარეობს აშშ-ში, სადაც კორპორაციებს გადასცემენ სამხედრო საქმეს, პენიტენციურ სისტემას, სადაზვერვო საქმიანობას, ინფორმაციის გაკონტროლებას და ა.შ. მაგრამ, თუ აქ „თავისი“ კერძო კაპიტალი ბატონობს, პერიფერიების ქვეყნებში მმართველობის ფუნქციების პრივატიზაცია გზას უხსნის უცხოურ კაპიტალს.**

მგვარად, ყალიბდება ტოტალური საფინანსო, სამართლებრივი, სამხედრო და ელექტორალური კონტროლის ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელსაც განახორციელებენ კერძო კორპორაციები და რომელიც დაეყრდნობა მასშტაბურ სადამსჯელო აპარატს. **რეალური ხელისუფლება ტრანსეროვნულად ყალიბდება და მას „გლობალურ სამართლებრივ სახელმწიფოს“ უწოდებენ.**

ამ დროს ევროკავშირი კი არ ინგრევა, არამედ მმართველობის სახელმწიფო სისტემად ტრანსფორმირდება, რადგან ნებისმიერი კრიზისი, რომელიც ეროვნულ ეკონომიკასა და ეროვნულ სოციალურ სისტემას კალაპოტიდან ამოაგდებს, გამოყენებული იქნება ზეეროვნული ევროპული სტრუქტურების გასაძლიერებლად.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უცხოური ინვესტიციებისთვის უპირობოდ კარის გაღება კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან ყველა ბიზნესის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა და არა ქველმოქმედება, ამიტომ ჩვენ ის შუალედური ურთიერთობა უნდა ავაწყოთ ინვესტორებთან, რომელიც არა მხოლოდ მისთვისაც იქნება სასარგებლო და საინტერესო, არამედ, პირველ რიგში,**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

## წერილი მესამე

საქართველოს დღეს განსაკუთრებით სჭირდება ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა ადამიანთა დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების მატება, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და ა.შ. სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს უცხოური ინვესტიციის მოზიდვა ქვეყანაში და სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა იაფი მუშახელის შეთავაზებით, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებულ იაფ მუშახელს, ძირითადად, არ შეუძლია ხარისხიანად მშენებლობა, რემონტი, გზების დაგება, ინოვაციური პროდუქტის შექმნა და ა.შ. ამიტომ, სანამ ქვეყანაში არ შეიცვლება მიდგომა პროფესიული განათლებისადმი და არ მოხდება კვალიფიციური კადრების შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისად მომზადება, უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაშიც კი ვერ მოხერხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების დონის მნიშვნელოვანი ცვლილება.

ფაქტია, ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაშია სასურველი, თუ ის ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურება. ნებისმიერი კაპიტალი ავტომატურად ვერ ჩაითვლება პოზიტიურ ინვესტიციად, თუ არ შეფასდა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც ილიამ მოგვცა მაგალითი, დეტალურად უნდა განვიხილოთ უცხოელი ინვესტორების თითოეული წინადადება, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები; რომ ინვესტორი ქვეყანაში უნდა შემოვიდეს, როგორც პარტნიორი და არა ისე, როგორც ჩვენთან ხდება უმეტეს შემთხვევაში — 90%-ზე მეტი მას მიაქვს, ადგილზე კი რჩება იაფი მუშახელის ანაზღაურება და ხშირად, მრავალწლიანი შეღავათიანი დაბეგვრის წყალობით, სიმბოლური გადასახადები. ხშირია შემთხვევა, როცა იაფი მუშახელიც თვითონ ჩამოჰყავს ინვესტორს.

აი, რას ამბობს ილია უცხოურ კაპიტალზე: „კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი — ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა — იქა მკის, სადაც არ უთესია...“, „უფულო ერი ფულიანთა საძოვარი, მისი საცხოვრისი ხდება“. და იქვე დასძენს: „ქურდბაცაცა ბურჟუაზია და კაპიტალიზმის გაუმაძღარი სტომაქი ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს, თუ ჩვენი მხრიდანაც ჩვენი ცხოვრების უწერელი კანონები არ მოვიმარჯვეთ...“ ასე რომ, უცხოური ინვესტიციებისთვის უპირობოდ კარის გაღება კარგს არაფერს მოგვიტანს, რადგან ყველა ბიზნესის მთავარი მიზანი მოგების მიღებაა და არა ქველმოქმედება, ამიტომ ჩვენ ის შუალედური ურთიერთობა უნდა ავაწყოთ ინვესტორებთან, რომელიც არა მხოლოდ მისთვისაც იქნება სასარგებლო და საინტერესო, არამედ, პირველ რიგში, ჩვენთვის. თუ „მასში ჩვენი სახეირო არა არის რა და სავნებელი კია“, უარი უნდა ვთქვათ. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა უცხოური ინვესტიციების აკრძალვასა და მასზე უარის თქმას არ ნიშნავს. აქ საუბარია იმ სირთულეებზე, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოვჩნდეთ და ილიაც სწორედ ამის შესახებ გვაფრთხილებდა, როცა აღნიშნავდა: „ხმლით მოსულმა ვერა დაგვაკლო რა – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან გაგვიტანს... ქართველებს სახსენებელს გაგვიწყვეტს...“ და გვირჩევს ინვესტორებთან ურთიერთობისას „ოქროს შუალედის“ მოძებნას.

## ბ-ნ მეისნერის პროექტი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №28-29, 2020 წ.

მაგრამ ვსთქვათ, ბ-ნ მეისნერის მექომაგეთაებრ, რომ ფარატინა ქაღალდმა წაგვიტყუა, და აქაო-და ბევრი ფარატინა ქაღალდი დატრიალდება ხელშიო, ავიღეთ და ღვინის გამრავლებას შევუდექით მაშინ, როდესაც ყოველივე სხვა გარემოება წინანდელის მაგალითისა დარჩა უცვლელად. ცხადია, რომ ღვინო გავამრავლოთ, პურს უნდა მოვაკლოთ მწარმოებელნი და მიწა. ვსთქვათ, ოთხასის თუნგის მაგიერ ექვსასი თუნგი ღვინო მოვიწადინეთ; თუ ხუთს დღიურს და ათს მწარმოებელს ოთხასი მოყვანდა, ესე იგი ხუთს მწარმოებელს და ორდღიურ-ნახევარს მიწას ორასი, მაშასადამე, პურს უნდა მოვაკლოთ ხუთი მწარმოებელი და ორ-დღიურნახევარი მიწა და ღვინის წარმოებას დავუმატოთ. მართალია, ამით ექვსასი თუნგი ღვინო გვექნება, მაგრამ ამ-რიგად განახევრებული წარმოება პურისა ორას კოდიდამ ასს კოდზე ჩამოხტება. აქედამ 50 კოდი თითონ პურის მწარმოებელთ მოუნდებათ სარჩოდ და 50 კოდი პურიღა იქნება ღვინოზედ გასაცვლელად, მაშინ როდესაც ამას გარდა კიდევ ასი კოდია საჭირო ყველასათვის სარჩოდ და 200 თუნგი ღვინო კი მეტია. ვსთქვათ, მარტო ეს 200 თუნგი ღვინო, რომელიც ჩვენთვის მეტია, გაიტანა ბ-ნმა მეისნერმა და მის სამაგიეროდ ფარატინა ქაღალდი მოგვცა. ნუთუ ეს ფარატინა ქაღალდი პურის დანაკლისს არ გვაგრძნობინებს? ნუთუ პურის მაგივრობას გვიზამს? ნუთუ ამით ჩვენში პური არ დაძვირდება? პური თუკი ერთი-ორად ნაკლები იქნება და საჭიროება იგივე, მისი ფასი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, ერთი-ორად მაინც აიწევს, და თუ მისი ფასი ფარატინა ქაღალდია, ერთიორად ამ ფარატინას მოითხოვს; რაკი პური ასე დაძვირდება, ამ წარმოებისაგან წასული მწარმოებელი და მიწა ისევ პურს უკანვე დაუბრუნდა იმავე ფარატინების გამორჩომის იმედითა, რამაც წინა მაგალითში ღვინის თაობაზედ წაიტყუა ერთიცა და მეორეც. თუ ფარატინა ქაღალდმა ერთს შემთხვევაში წაგვიტყუა და ღვინის წარმოება გაგვაძლიერებინა პურის დაკლებით, რატომ იგივე ფარატინა არ წაგვიტყუებს მეორე შემთხვევაში და პურის წარმოებას არ გაგვაძლიერებინებს ღვინის წარმოების დაკლებითა? მიზეზი ერთია, შედეგიც ერთი უნდა იყოს. ეს ერთხელ აღძრული ტოკვა სასწორის ულლისა ღვინისა და პურის წარმოების შუა იქამდინ იქნება, ვიდრე ღვინო თავის დონემდე არ დავა და პური თავის დონემდე არ ავა ამ-რიგად უღელი სასწორისა წინანდელ ლარზედ არ დადგება.

მაგრამ გვეტყვიან, რომ ეს ჩვენიდამ ღვინო იმდენი გავა, რაც მეტია და სწორედ იმოდენადაც მეტი იქნება, რაც დანაკლისის პურის მოსაპოვებლად საჭიროა. სასწორი ჩვენის სარჩოქონებისა და საქონ-

# ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი უცხოური ინვესტიციების შესახებ



ასე არ მოხდებაო, რადგანაც პურის წარმოებაზედ შეგვიძლიან სრულებითაც ხელი ავიღოთო და პური რუსეთიდამ ვზიდოთ იმ ფულის შემწეობით, რასაც ჩვენგან გატანილს ღვინოში ბ-ნი მეისნერი მოგვცემსო. შესაძლოა, მაგრამ ის შემოსული ბ-ნ მეისნერისაგან ფული ამ გზით ხომ ჩვენის ქვეყნიდამ ისევ მთლად გაიზიდება, და იქნება მოჭარბებითაც, რადგანაც **პური უფრო აუცილებელი და დიდი საჭიროებაა ჩვენთვის, ვიდრე ღვინო რუსეთისათვის. მაშინ ბ-ნ მეისნერის მექომაგეთ ხომ ამითაც გამოეცლებათ ხელიდამ საბუთი, რომ იმედოვნებენ, მისგან შემოტანილი ფული ჩვენშივე დარჩებაო, მაშასადამე, ფული გაგვიმრავლდება და გავბედნიერდებითო. ეს კიდევ არაფერია. საქმე იმაშია, ჩვენ ამით რა მოგვემატება?** არაფერი.

ლისა არ შეიცვლება და ისევ ამ სახისა იქნება: ქონება = 400 თუნგი ღვინო + 200 კოდი პური, საქონელი = 200 თუნგი ღვინო + 100 კოდი პური, - რაც უნდა ბევრმა ფულმა იტრიალოს ამათ საალებ-მიცემოდ.

**ზარალი კი ის იქნება, რომ პური უწინ ახლო საშოვარი იყო და ეხლა შორს საძებნელი გახდება, და როცა ის შორი ბაზარი რომელისამე გარემოებით ჩვენთვის დაიკეტება, მშივრები ამოვწყდებით. ეხლა ერთიც ვიკითხოთ: თუ არა მოგვემატება რა, უტკივარი თავი რათ ავიტკივოთ.**

**მაშასადამე, ბ-ნ მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გავყიდოო, ესე იგი — ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, — არას-გზით და არას-მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი.**

საზოგადოდ, ვაჭრობა იმ მხრით კი არ არის სახეირო ქვეყნისათვის, რომ ქვეყნის მეტი სარჩო გაიტანოს, არამედ იმ მხრით, რომ იმ მეტის სარჩოთი ის აშოვინოს, რაც აკლია ქვეყანას დანარჩენ სარჩოდ.

„ვაჭრობის სარგებლობა, — ამბობს ზემოთვე ხსენებული მეცნიერი, — იმაში კი არ მდგომარეობს, რომ გაჰყიდოს საქონელი, როგორც აქამომდე ეგონათ, არამედ იმაში, რომ გასასყიდი საქონელი საშუალებად ხდება სასყიდის საქონლის შესაძენადაო“.

**მეორე პირობა ბ-ნ მეისნერისა, რომელიც დიდ ბედნიერებად მიაჩნია მის მექომაგეთ, ის არის, რომ თქვენს ღვინოს სხვა ახალს ბაზარს გავუჩენო. აბა ეს არის ის კაი ფონი, რომელიც ერთს ადგილას აღრჩობს. სხვა ახალის ბაზრის აჩენა მაშინ არის კარგი, როცა უკვე აჩენილი, ესე იგი დღევანდელი ბაზარი, არ იტევს საქონელსა.** მაშინ ქვეყანა ან ახალს ბაზარს ეძებს საქონლისათვის, ან, თუ ვერ იშოვა, თითონ წარმოებას შეაცოტავებს, თუ სხვა გარემოებანი უცვლელნი არიან.

ეხლა ერთი ვიკითხოთ: **ნუთუ მართლა იმოდენა ღვინო მოდის ჩვენს ქვეყანაში, რომ ჩვენში ველარა საღდება. ამაზედ ჰოს ვერავინ გვეტყვის, თუ ალალ-ბედად თქმა არ იკადრა, და თუ იკადრა, ამასაც იტყვის, რომ ათში ერთი ჩაფი იყიდება ჩვენშიო და დანარჩენი ცხრა ჩაფი გაუსყიდავი რჩებაო?**

**მართალია, ჩვენში ხშირად ისმის ჩივილი, ღვინო არ გვეყიდებაო, მაგრამ მაგასვე პურის პატრონიც იძახის პურის შესახებ, მატყლისა — მატყლის შესახებ, შეშისა — შეშის შესახებ და სხვა ამ-გვარი. ნუთუ აქედამ ის დასკვნა უნდა გამოიყვანოს კაცმა, რომ ყოველივე ამ ნაწარმოებით ჩვენი ბაზარი იმოდენად სავსეა, რომ ყოველს ამას აღარ იტევს, ყოველივე ეს ვერა საღდება უმუშტრობის გამო.**

თუ ეს საჩივარი გამსყიდველთა მართალია, აბა, ეხლა ყური დაუგდეთ, რა საჩივარი ისმის იმავე დროს ▶

**«კაპიტალი, როცა ნამუსიანია, კარგია, მაგრამ უნამუსო კაპიტალი — ჩარჩული ფული ბუნებითაც მხდალია, იმიტომ, რომ ქურდბაცაცაა — იქა მკის, სადაც არ უთესია...»**

**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები**

(მლნ. აშშ დოლარი)

| წელი | სულ | I კვ. | II კვ. | III კვ. | IV კვ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1996 | 3,8 | .. | . | . | |
| 1997 | 242,8 | 38.8 | 48.5 | 97.0 | 58.2 |
| 1998 | 265,3 | 19.1 | 97.8 | 45.0 | 103.4 |
| 1999 | 82,2 | 19.4 | 22.3 | 20.0 | 20.6 |
| 2000 | 131,2 | 32,7 | 30,0 | 28.9 | 39.5 |
| 2001 | 109,8 | 20,0 | 30,6 | 29,8 | 29,2 |
| 2002 | 160,2 | 24,4 | 44.6 | 36.4 | 54.8 |
| 2003 | 334,6 | 56,3 | 80,4 | 83,4 | 114.4 |
| 2004 | 492,3 | 118,2 | 117,2 | 133.0 | 123.9 |
| 2005 | 452,8 | 68,6 | 104,8 | 79.6 | 179.7 |
| 2006 | 1 171,2 | 145,2 | 318,0 | 332.4 | 375.5 |
| 2007 | 1 764,7 | 330.8 | 375.3 | 470.6 | 588.0 |
| 2008 | 1 575,2 | 540.1 | 607.7 | 136.1 | 291.3 |
| 2009 | 666,8 | 114.5 | 178.3 | 179.1 | 194.9 |
| 2010 | 865,6 | 176.1 | 211.5 | 236.8 | 241.2 |
| 2011 | 1 134,0 | 222,6 | 273.1 | 309.1 | 329.2 |
| 2012 | 1 048,2 | 312,4 | 248.0 | 220.5 | 267.3 |
| 2013 | 1 039,2 | 291.8 | 224.1 | 271.6 | 251.6 |
| 2014 | 1 837,0 | 331.9 | 217.6 | 749.5 | 538.0 |
| 2015 | 1 729,1 | 343.4 | 493.2 | 531.1 | 361.3 |
| 2016 | 1 650,3 | 392.2 | 452.1 | 506.5 | 299.5 |
| 2017 | 1 962,6 | 411.7 | 394.0 | 627.9 | 529.0 |
| 2018 | 1 265,2 | 373.5 | 403.6 | 367.0 | 171.0 |
| 2019* | 1 267,7 | 283.6 | 209.8 | 427.4 | 347.0 |
| 2020* | 165,4 | 165.4 | | | |

*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. [illegible]
2. [illegible]
3. [illegible]
4. [illegible]

პირობითი აღნიშვნები

[illegible]

შენიშვნა: [illegible]

„ბაზარი კი, როგორც საერთო, საყოველთაო სასწორი საქონლის ღირებულებისა, თვითოეულის სურვილს კი არ ემორჩილება, არამედ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას, რომელიც საქონლის ფასს ხან ასწევს ხოლმე, ხან დასწევს საერთო წარმოების მთელს სივრცეზედ“.

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების მიხედვით

ათასი აშშ დოლარი

| რეგიონი | I კვ. 2018 | II კვ. 2018 | III კვ. 2018 | IV კვ. 2018 | 2018 | I კვ. 2019* | II კვ. 2019* | III კვ. 2019* | IV კვ. 2019* | 2019* | I კვ. 2020* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 323 546,2 | 403 649,3 | 357 021,2 | 171 019,4 | 1 265 236,1 | 283 556,0 | 209 795,5 | 427 390,5 | 346 982,4 | 1 267 724,4 | 165 367,8 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | |
| ქ. თბილისი | 283 568.2 | 305 460.2 | 270 238.4 | 174 023.9 | 1 033 290.7 | 206 475.7 | 98 983.4 | 276 293.0 | 238 416.8 | 820 168,9 | 116 207.9 |
| აჭარა | -24 000 0 | 100 062 8 | 2 734 1 | -3 245.6 | 75 551,3 | 26 231.3 | 34 019,4 | 52 453.1 | 94 327.3 | 207 031,2 | 20 084.3 |
| კახეთი | -3 187 9 | 562,6 | -3 881 3 | -3 278 8 | -9 785,3 | 1 021,4 | 1 871,7 | 1 865.7 | 1 257,8 | 6 016,5 | 1 719 3 |
| სამცხე-ჯავახეთი | 17 398.9 | -5 606,5 | 18 828 5 | 14 174.9 | 44 795.7 | 17 180.4 | 15 052.4 | 20 334.9 | 10 374.9 | 62 942,6 | 6 585 2 |
| ქვემო ქართლი | 29 581.3 | 27 400.8 | 13 656.0 | 16 390.0 | 87 028.1 | 9 122.8 | 25 010.5 | 27 153.1 | 3 370.5 | 64 656,9 | 9 931.1 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია | 5 583.9 | -19 646.8 | 36 204.5 | -32 672 4 | -10 530,8 | 15 489.1 | 19 952.4 | 33 631.5 | 7 987.4 | 77 060,3 | 7 905.0 |
| სამეგრელო-ზემო სვანეთი | 5 479.0 | -19 531.7 | 36 004.7 | -32 780.8 | -10 828,9 | 15 382.7 | 19 759.0 | 31 611.6 | 7 684,8 | 74 438,1 | 7 232.3 |
| გურია | 104.9 | -115,0 | 199,8 | 108,4 | 298,1 | 106 3 | 193.3 | 2 019.9 | 302,6 | 2 622,1 | 672,8 |
| იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 11 422.0 | -7 922.4 | 16 913.7 | 6 349.9 | 26 763.1 | 1 762.8 | 5 433.1 | 5 231.1 | 5 658.5 | 18 085,4 | 5 631.7 |
| იმერეთი | 11 239.8 | -8 206.3 | 16 776.7 | 6 461.4 | 26 269,6 | 1 821.4 | 5 199.4 | 2 182.6 | 5 618.4 | 14 821,8 | 5 370.1 |
| რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი | 182.1 | 285.9 | 136.9 | -111.5 | 493,5 | -58.6 | 233.6 | 3 048.5 | 40,0 | 3 263,6 | 261.6 |
| შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი | 3 179 7 | 3 338 6 | 12 327.3 | -722 4 | 18 123,2 | 6 272,5 | 9 472,7 | 10 428,2 | -14 410,8 | 11 762,6 | -2 696 7 |
| შიდა ქართლი | -2 949,8 | 5 003,6 | 9 574,2 | 3 612,0 | 15 240,0 | 5 552 0 | 6 717 1 | 5 243 1 | -17 071,5 | 440,6 | 239,7 |
| მცხეთა-მთიანეთი | 6 129,5 | -1 665,0 | 2 753,1 | -4 334.4 | 2 883,3 | 720 5 | 2 755.6 | 5 185.1 | 2 660.8 | 11 322,0 | -2 936.4 |

*წინასწარი მონაცემები.

◀ და იმავე ბაზარში მყიდველთაგან: ღვინო ძვირია, პური ძვირია, საკლავი ძვირია, ლამის გავტყავდეთო. ეს ჩივილი რომ ვთარგმნოთ, იმასა ნიშნავს, რომ ჩვენი ბაზარი ყოველ ამით არამც თუ სავსეა, ნაკლულადაც არის, თუ ნაკლულად არ იყოს, იეფობა იქნებოდა. ეს ორი საჩივარი რომ ერთმანეთს პირში წავუყენოთ, გამოვა, რომ ერთსა და იმავე ბაზარში ერთობ საქონელი ბევრიც არის და ცოტაც ერთსა და იმავე დროს.

მაშასადამე, მართალი ორში რომელი ერთია? ცხადია, არც ერთი. მართალი სწორედ ამათ შუაა და ვერც ერთს კი ხელი ვერ ჩაუვლია. საქმე იმაშია, — **ვერც საქონლის გამსყიდავი, როგორც კერძო პირი, ვერც მსყიდავი, ვერა სცნობს ეკონომიურს ვითარებას რომელიმე დროისას და ამიტომ ჰგონია ერთსაც და მეორესაც, რომ სასწორს საქონლის ღირებულებისას თავიანთ სურვილისამებრ თუნდა ასწევენ, თუნდა დასწევენ მარტო თავის სასარგებლოდ.** როცა ღვინის პატრონი ჩივის, ღვინო არ მეყიდებაო, ეგ ჩივილი ასე უნდა ითარგმნოს, რომ იმ ფასად არ ეყიდება, რამოდენიც გულში ჩაუდვია, და როცა იმავე დროს ღვინის მსმელი, ესე იგი მუშტარი, ჩივის, ღვინო ძვირიაო, ეს იმასა ნიშნავს, რომ იმ ფასად ვერ უყიდნია, რაც ემეტება.

ტყუილია, თუ ეკონომიური ვითარება საზოგადოდ ისეთია, რომ ორ თუნგ ღვინოზედ მარტო ერთი კოდი პური იშოვება, რაც უნდა მაღლა ასწიოთ თქვენის ღვინის ფასი, მაინც იმოდენას მოგცემენ, რამოდენადაც ერთი კოდი პური იყიდება იმავე დროს და იმავე ბაზარში. თუ არადა ღვინოა, თუ პური, შინ დაგრჩებათ თქვენისავე ახირებით და არა იმიტომ, რომ მსყიდველი არ არის. აბა ღვინის გამსყიდველმა პატრონმა ამ საზოგადო ეკონომიურს ვითარებას შეუტოლოს ღირებულება თავის საქონლისა, თუ ჩვენმა ბაზარმა ყოველივე ეს არ მოიზიდოს და არ დაიტოვოს. ეგევე ითქმის საზოგადოდ სხვა საქონელზედაც, როდესაც იმავე დროს და იმავე ბაზარში საქონლის პირდაპირი მხმარებელი ჩივის, საქონელი გაძვირდაო.

შორს რათ მივდივართ: რომ ჩვენი, თუნდაც კამისიისაგან ეგრე დაწუნებული ტფილისის ბაზარი იტევს მთელს ჩვენს ნაწარმოებს ღვინოს და თითქმის არცა ჰყოფნის, ამის დასამტკიცებლად საკმაოა ვსთქვათ, — რომ დღეს ტფილისში არამც თუ მარტო ქართლ-კახეთის ღვინო სადღება, როგორც უწინ, არამედ იმერეთიდამაც დიდძალი ღვინო შემოდის.

დრო იყო, რომ საფრანგეთიდამაც შემოიტანეს და მუშტარს შოულობდნენ.

**მაშ რა საბუთი გვაქვს, რომ ვამბობთ, ჩვენი ღვინო ჭარბია ჩვენის ბაზრისათვისაო? მაშ რას გვიხარიან ახალის ბაზრის აჩენა?**

**შინაური მიმოხილვა.**
1882 წელი, დეკემბერი

ძალიან საინტერესო მაგალითია რუსეთი, რადგან საკმაოდ არასტაბილური ქართულ-რუსული ურთიერთოების ფონზე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს არასდროს არ ჰქონია გაწყვეტის ან გადინების მომენტი. უკიდურესად დაძაბულ 2008-2009 წლებშიც კი რუსეთიდან შემომავალი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკაოდ სოლიდურ თანხას შეადგენდა. ყველაზე დიდი ნაკადი კი 2007 წელს, ქართულ-რუსულ ომამდე 1 წლით ადრე, შემოვიდა და თითქმის 90 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და მრავალი დარგი მოიცვა: სატელეკომუნიკაციო (ბილაინი), საბანკო (ვე-ტე-ბე ბანკი), ენერგეტიკა (თელასი) და სხვ. რუსი ინვესტორები აგრეთვე, ინტერესდებიან ისეთი კომპანიებით, როგორიცაა: ქინძმარაულის მარანი, ენისელის ღვინოები, ასკანელი ძმები, წინანდლის ღვინის მარანი, კახეთის ღვინის სახლი, ხვანჭკარა და სხვ. (ოფიციალური მონაცემებით, 2009 წელს სულ — 62 კომპანია; 2010-ში –73; 2011-ში – 105; 2012-ში – 157). რუსი ინვესტორების ქართული ღვინის კომპანიებით დაინტერესება (საქართველოსთვის რუსული ემბარგოს მოხსნამდე), გარკვეულწილად მიუთითებდა, რომ რუსული ბაზრის გახსნა ქართული ღვინისთვის რუსი მეღვინეებისთვის მეტ დაინტერესებას წარმოადგენდა, ვიდრე ქართველებისა, რაც, თავის მხრივ, ამ ბაზრის ახლო მომავალში გახსნას მოასწავებდა. მთლიანობაში კი რუსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაინტერესება საქართველოში პრაქტიკულად ყველა სფეროში გამოიხატებოდა, იქნებოდა ეს ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, საფინანსო სექტორი, ვაჭრობა და სხვ.

# «ღვინის ქართულად დაყენება»



### (ნაწყვეტი)

**აი რას ამბობდა ილია ჭავჭავაძე ღვინის სასარგებლო თვისებების შესახებ:**

მინამ შევუდგებოდეთ იმის გარჩევას, თუ რომელი კეთება ღვინისა უმჯობესია, ჩვენებური თუ სხვაებური, და ერთისა და მეორის ავკარგიანობას ერთმანეთს პირში წაუყენებდეთ უტყუარის განაჩენის დასადგენად, საჭიროა ვიცოდეთ, რაშია ჭეშმარიტი ღირსება ღვინისა. რა თქმა უნდა, ღვინო, როგორც სასმელი, რომელსაც მარტო ადამიანი ჰხმარობს, უნდა გაისინჯოს იმისდა მიხედვით თუ, რაგვარ უხდება, რაგვარს შემწეობას უწევს ადამიანის აგებულებას, ანუ, უკედ ვსთქვათ, რა უნდა მოეთხოვებოდეს ღვინოსა.ამ საგანზედ აი რა აზრია გამოთქმული მეცნიერთაგან. ღვინო საკვებავი არ არის ადამიანის აგებულებისათვის; იგი აგებულებას საზრდოს არ აძლევსო; იგი მარტო სანელებელია და ყველაზედ უკეთესი სანელებელიც, რომელიც ძალიან კარგად მოქმედებს ადამიანის ძარღვებსა, გუნებასა და გონებაზედა. ამისთანა თვისებამ ღვინისამ ისეთს აღტაცებაში მოიყვანა ძველს დროში ასკლეპიადი, ჰიპოკრატის მიმდევარი, რომ მან თავის თხზულებაში სთქვა: „ღმერთთა ძლიერებამა არა მგონია იმოდენა ჰქმნას, რაც ღვინის სიკეთემ და სარგებლობამაო“.

ეს ასკლეპიადი პირველი იყო, რომ სხვადასხვაგვარს სნეულებას უფრო ღვინით სწამლობდა. მის მაგალითს აჰყვნენ ბოლოს მკურნალნი სიდენჰამი, სვიტენი, ჰუფელანდი, გრანტი, ჰუქსამი და დასასრულ, ბროუნიცა, რომელმაც მთელი სკოლა მკურნალობისა შეადგინა ინგლისში და მისი ღვინით წამლობა დღესაც ცნობილია მისისავე სახელით „ბროუნიზმი“. მკურნალი სტოკესი დუბლინში სახადს და საოფლეს ღვინით არჩენს, ფოდერე წითელას მარტო ღვინითა სწამლობს, ლებენსტეინ-ლებელი თითქმის ყველა სენსა მარტო ღვინითა ჰკურნავს.

ეს ღვინის მარგებლობა დამტკიცებულია მეცნიერთა გამოცდილებითა. მაგალითებრ, ზღვაში ღელვის დროს ორი გემი მომწყდეული ყოფილა, ერთი ინგლისელებისა და მეორე ფრანგებისა, ორსავე გემში გაჩენილიყო ერთგვარი ავადმყოფობა, რომელსაც ჩვენში პირის ტკივილს, და უფრო გაძლიერებულს, ვგონებთ, ელქანს ეძახიან, და მკურნალობაში „სკორბუტი“ ჰქვიან. ფრანგის მეხომალდეთა, რომელთაც ღვინოს ასმევდნენ თურმე, ამ საშინელმა სნეულებამ არა დააკლო რა, ინგლისელები კი არაყს ასმევდნენ და კინაღამ არ გაწყდნენ. როდესაც პარიჟს გარს ერტყა გერმანიის ჯარი და გასვლა-გამოსვლა აღარავის შეეძლო, ზემოხსენებული სენი საშინელის სიმძლავრით გაჩნდა. მაშინ მკურნალმა ბრუადელმა ღვინო იხმარა წამლად და ამით არჩინა სნეულნი.

ამასაც ამბობენ, ვითომც ციებ-ცხელებაში ცხროებას ანელებს ღვინო და საზოგადოდ აგრილებს ადამიანის




აგებულებასა. ერთი საფრანგეთის მწერალი თურმე ამტკიცებს, რომ იმ ქვეყნის ერი, საცა ღვინო მოდის, უფრო გონებით სწრაფია, მოსწრებულია, მახვილგონიერია, ვიდრე იმ ქვეყნისა, საცა სასმელად ლუდსა (პივას) ჰხმარობენო. ეს იქნება გერმანელთა მტრობით მოსდის ფრანგსა, იქნება ყოველს ამაში ცოტად თუ ბევრად გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ის კი უეჭველია, რომ ზომიერად მიღებული ღვინო ძალიანა ჰრგებს ადამიანსა; ამღერებს და აღონიერებს ძარღვებს მოქმედებისათვის, ადამიანის აგებულებას, კუჭსა ჰშველის კარგად მოხარშვას და მონელებას საჭმლისას და ყოველ ამით აძლიერებს ძალსა საცხოვრისას. ამ სახით, ამბობს ერთი მწერალი, ღვინო მარგებელი სანელებელია, ყველა სანელებლებზედ გაცილებით უმჯობესი და უპატიოსნესი, იმიტომ რომ ყველაზედ უკეთ აღამაღლებს ხოლმე ადამიანის ჭკუასა და გულსა. ერთი ყლაპი კარგის ღვინისა გამოახალასებს მოხუცსა და გამოაცოცხლებს სნეულსა, იგი ღონეს მოუკრებს ხოლმე დაუძლურებულს და დასუსტებულსა.

რა ჰხდის ღვინოს ესოდენ მარგებელად, ესოდენ სასარგებლოდ! მარტო ერთი ყოვლადშემძლებელი, შეუცდომელი, გაბრძნობილი ოსტატი, რომელსაც ბუნება ჰქვიან. მარტო ბუნებურს ღვინოსა სჭირს ესოდენი სიკეთე, ესოდენი მადლი“.

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ნორვეგიაში აღმოაჩინეს «ველური» ოჯახები, რომლებიც ტრადიციულ ფასეულობებს უჭერენ მხარს

**აგდერ-კომუნაში ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს აბსოლუტურად „ველური" ნორვეგია: „აქ ცხოვრობენ ნორმალური ქალები და ნორმალური კაცები, რომლებმაც სასწაულებრივად შეინარჩუნეს ტრადიციული ფასეულობები და არ გააბინძურეს ერთი და იმავე სქესის პირთა შორის გაუკულმართებული ურთიერთობით", — დაწერა ნორვეგიულმა გაზეთმა „აფტენპოსტენმა" 2014 წლის 24 მაისს.**

როგორც ჩანს, ნორვეგიის გენდერტექნოლოგები სერიოზულად წუხან, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ადგილები, სადაც დღემდე ისე სწრაფად არ ამოფხვრილა ტრადიციული ფასეულობანი, როგორც, მაგალითად, ოსლოში. ეს გენდერ-ტექნოლოგები გვპირდებიან, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ასეთი „ველურების" გენდერულად განათლებისთვის.

ასეთ რეგიონებში ბავშვების განათლების დასამუხრუჭებლად იქაურ სკოლებში სწავლების შემოკლებული კვირა შემოიღეს. მოსწავლეები სკოლაში მხოლოდ 4 დღეს დადიან, ოთხშაბათი გამოსასვლელია, უქმეა. ტრადიციების მიმდევარმა აგდერელებმა მოსახლეობამ ეს სასჯელი საჩუქრად აღიქვეს, რომელმაც საშუალება მისცა მათ, ერთი „ზედმეტი" დღე თავიანთი ბავშვების აღზრდისთვის დაეთმოთ.





## ბრიტანეთის პარლამენტში ამზადებენ კანონპროექტს პასპორტების შესახებ, რომლებშიც სქესის გრაფა არ იქნება

**ამ კანონპროექტის ავტორები არიან დიდი ბრიტანეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატები, — იუწყება The Guardian-ი.**

ისინი მიიჩნევენ, რომ „გენდერულად ნეიტრალური პასპორტები არის წინ გადადგმული ნაბიჯი, რომელიც შეიტანს კარდინალურ ცვლილებებს საზოგადოებაში, რადგან დარწმუნებულები არიან, რომ „დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს ასიათასობით ადამიანი, რომლებიც არც ქალად, არც კაცად არ იდენტიფიცირდებიან, მაგრამ კონსერვატიული მთავრობა უწინდებურად უარს ამბობს მათ პიროვნულ აღიარებაზე.

ეს საკითხი ერთხელ უკვე განიხილეს დიდი ბრიტანეთის სასამართლოში 2020 წლის მარტში, როცა ლიბერალურმა აქტივისტებმა ლგბტ წარმომადგენლის — **ᲥᲠᲘᲡᲢᲘ ᲔᲚ-ᲐᲜ-ᲥᲔᲜᲘᲡ** მეთაურობით სასამართლოში უჩივლეს დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და მოითხოვეს X-სქესიანი პასპორტების გაცემა.

# ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲖᲜᲔᲝᲑᲐ

## ჯოან როულინგს ტრანსსექსუალებმა კვლავ შეუტიეს



**უცნობმა ვანდალებმა ხელოვნური სისხლით მოთხვარეს ჯოან როულინგის პატივსაცემად გაკეთებული სიმბოლო — ფილაზე მწერლის ხელისგულების ანაბეჭდები ქალაქ ედინბურგში.**

ტრანსგენდერებმა, როგორც ტურებმა ღამის საფარქვეშ, შური იძიეს ლგბტ-თემის შესახებ მწერლის მიერ გამოთქმული შეფასების გამო, და თავიანთი გმირობის აღსანიშნავად ედინბურგის ცენტრში აღმართეს ცისფერ და ვარდისფერზოლებიანი ტრანსსექსუალების დროშა, — გვაუწყებს Mirror-ი.

ეს გამოხდომა მწერალთან ახალ სკანდალს მოაყოლეს. ჯოანმა ისაუბრა იმაზე, რაც გარყვნილების ამ კასტის წევრებს არ მოეწონათ და „ჰომოფობიად" და „ტრანსფობიად" მიიჩნიეს. მწერალმა თქვა, რომ **ჰორმონები, რომლებსაც ტრანსადამიანები იღებენ, „კონვერსიული თერაპიის" (ჰომოსექსუალური და ბისექსუალური ორიენტაციის ჰეტეროსექსუალურით შეცვლა) ახალი სახეობაა, ანუ არის ის საეჭვო ფსიქოლოგიური პრაქტიკა, რომლის დახმარებითაც ჰომოსექსუალი ადამიანები ცდილობენ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციის დაბრუნებას.**

**„ᲑᲔᲕᲠᲜᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲪ, ᲛᲘᲕᲘᲩᲜᲔᲕᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲠᲡᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲠᲐᲞᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲒᲔᲔᲑᲘ ᲛᲔᲓᲘᲙᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲓᲒᲐᲜᲐᲜ. ᲐᲛᲐᲜ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲔᲥᲡᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲨᲚᲐ",** — აღნიშნა როულინგმა.

ამ გამონათქვამმა კრიტიკის ახალი ტალღა გამოიწვია. ჯოანს „ფემინიზმით შენიღბული ტრანსფობიური ფანატიზმი" დასწამეს.

სკანდალი წლეულს, ივნისში დაიწყო, როცა მწერალი დაეთანხმა ონლაინსტატიის სათაურს, რომელშიც ნახსენები იყო „მენსტრუაციის მქონე ადამიანები", და Twitter-ში დაწერა: „მენსტრუაციის მქონე ადამიანები. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ადამიანებს უწინ რაღაცას უწოდებდნენ. ვინმე მიკარნახებს? კაცებს? ქალებს?"

მიიჩნიეს, რომ „ჰარი პოტერის" ავტორმა შეურაცხყო ტრანსსექსუალები. იგი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ლგბტ-თემებმა, პოტერიანას ყოფილმა ფანებმა. როულინგის რეპუტაცია შეირყა, მაგრამ მწერალი ქალი კვლავაც მტკიცედ დგას თავის აზრზე.

## ემბერ ჰერდმა სხვისი გაუპატიურების ისტორია თავისად გაასაღა

**ემბერ ჰერდი, რომელსაც ჯონი დეპის წინააღმდეგ სამხილების გაყალბების გამო ციხე ემუქრება, მორიგ სკანდალში გაეხვია. მისმა პირადმა თანაშემწემ სასამართლოში განაცხადა, რომ „აქტრისამ მისი (თანაშემწის) გაუპატიურების ისტორია თავისად გაასაღა".**



ემბერ ჰერდს ამჟამად უჩივის ყოფილი ქმარი — **ᲯᲝᲜ ᲓᲔᲞᲘ**, რომელმაც სასამართლოს სარჩელით მიმართა იმ **პუბლიკაციის** გამო, რომელიც The Sun-მა გამოაქვეყნა — თითქოს მან, 57 წლის მსახიობმა, სცემა თავისი ცოლი. დეპი ამტკიცებს, რომ ყველაფერი პირიქით მოხდა და დამნაშავე არის ჰერდი.

მოკლედ, წყვილი ერთმანეთს უჩივის: დეპი ირწმუნება, რომ ემბერმა თითი მოჭრა, სიგარეტი მის ლოყას მიასრისა და ისე ჩააქრო, კიდევ — მათ ერთობლივ საწოლში მოისაქმა. დეპს მხარი დაუჭირა ჰერდის თანაშემწემ, მსახიობი ქალის პორტრეტს არასასიამოვნო შტრიხები შემატა: „მე მაქვს ჩემი მიზეზები ჩვენების მისაცემად", — განაცხადა ზემოთ ნახსენებმა ქალმა, რომლის სახელს „მირორი" არ ასაჯაროებს.

რამდენიმე წლის წინათ ემბერ ჰერდს თანაშემწემ მოუთხრო სექსუალური ძალადობის ამბავი, რომელიც თავს გადახდა, 26 წლის რომ იყო. ჰერდმა კი ეს ამბავი მიითვისა.

„2020 წლის ივნისში მივიღე დოკუმენტები, რომლებიც ამ საქმეში ჩემს, როგორც მოსარჩლის მხრიდან წარმომადგენლის, მონაწილეობას ეხებოდა. საბუთებს რომ გავეცანი, ჩემდა გასაოცრად, აღმოვაჩინე, რომ ქალბატონმა ჰერდმა მოიპარა ჩემს თავს გადამხდარი სექსუალური ძალადობის ამბავი და მისთვის სასურველი შედეგის მისაღებად საკუთარ ისტორიად გაასაღა. იმან, რომ მან ჩემი ცხოვრების უმძიმესი მომენტი სათავისოდ გამოიყენა, უაღრესად აღმაშფოთა და გული მატკინა", — განაცხადა დაზარალებულმა.

ამას გარდა, ჰერდის ყოფილმა თანაშემწემ დაადასტურა, რომ მსახიობი ქალი ძალიან ეტანებოდა ალკოჰოლურ სასმელებს (კერძოდ, წითელ ღვინოს) და დროსტარებისადმი ავადმყოფურად იყო მიდრეკილი.

**ვითარება ნელა, მაგრამ მაინც იცვლება — აშშ და ევროკავშირი თანდათან შორდებიან ერთმანეთს. ამასთანავე, ბებერი ევროპა ვერ ხედავს აზრს იმაში, რომ განამტკიცოს ნატოს შეიარაღებული ძალები — გერმანელებს, ფრანგებსა და იტალიელებს არ მიაჩნიათ, რომ ჩინეთისგან ან რუსეთისგან საფრთხე მომდინარეობს.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გერმანელი პოლიტოლოგი: ევროკავშირში მცხოვრებთა დამოკიდებულება აშშ-ისა და ნატოსადმი სულ უფრო კრიტიკული ხდება



**„სულ უფრო მეტი გერმანელი, ისევე, როგორც, საერთოდ, ევროპელი ცვლის თავის დამოკიდებულებას ამერიკის შეერთებული შტატებისადმი. მოკავშირეებს შორის ურთიერთქმედება ბოლო პერიოდში ძალიან შეირყა. ეს აისახა არა მხოლოდ პოლიტიკოსების, არამედ ევროპის რიგითი მოქალაქის თვალსაზრისზეც“, — განაცხადა გერმანელმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე რარმა.**

ექსპერტის თქმით, ევროკავშირის სულ უფრო მეტი მცხოვრები კრიტიკულად უყურებს აშშ-სა და ნატოს. ამაზე გავლენა იქონია აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოლიტიკამ ევროპის სახელმწიფოების მიმართ. ლაპარაკია ვაშინგტონის წნეხზე ევროპის სახელმწიფოების მიმართ, რაც ყელში ამოუვიდათ ევროპელებს. თუმცა, ევროპაში მაინც კონსერვატიული თვალსაზრისი ჭარბობს — ევროკავშირის მოსახლეობის 50%-ზე ოდნავ მეტი მიიჩნევს, რომ მოკავშირის რანგში აშშ-ს ალტერნატივა არ ჰყავს. ასე მიაჩნიათ გერმანელებს, რომლებიც მხარს უჭერენ მოქმედ კანცლერ **ანგელა მერკელსა** და მის პოლიტიკურ ძალას. დანარჩენი კი პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მომხრეა.

ალექსანდრე რარმა აღიარა, რომ ვითარება ნელა, მაგრამ მაინც იცვლება — აშშ და ევროკავშირი თანდათან შორდებიან ერთმანეთს. ამასთანავე, ბებერი ევროპა ვერ ხედავს აზრს იმაში, რომ განამტკიცოს ნატოს შეიარაღებული ძალები — გერმანელებს, ფრანგებსა და იტალიელებს არ მიაჩნიათ, რომ ჩინეთისგან ან რუსეთისგან საფრთხე მომდინარეობს, მაგრამ ასე არ ფიქრობენ ე.წ. ახალ ევროპაში — ბალტიისპირეთის ქვეყნებში, პოლონეთში, რუმინეთში და ა.შ.

**politobzor.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**



# რუსეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა დაარეგისტრირა

**რუსეთი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა დაარეგისტრირა. „ნიკოლოზ გამალეიას სახელობის ცენტრის მიერ შემუშავებული პრეპარატი 11 აგვისტოს დავარეგისტრირეთ“, — განაცხადა რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ოლეგ გრიდნევმა.**

„გამალეიას ცენტრის მიერ შემუშავებული ვაქცინა უკვე დავარეგისტრირეთ. ახლა მიმდინარეობს გამოცდის ბოლო ეტაპი — ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვაქცინა უსაფრთხო უნდა იყოს“. — განაცხადა რუსეთის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილემ და დასძინა, რომ ვაქცინას, პირველ რიგში, მიიღებენ მედიცინის მუშაკები და ხანდაზმული ადამიანები. პრეპარატის ეფექტიანობის შეფასება კი მოხდება პოპულაციური იმუნიტეტის ჩამოყალიბების შედეგების მიხედვით.

კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის გამოცდის მესამე (ბოლო) ფაზას დაახლოებით 5 თვე დასჭირდება.

**iz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**



## სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია დიდი მოვლენები ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში

# MI6-ის ხელმძღვანელად დიდი თურანის მომხრე რიჩარდ მური დანიშნეს

**დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკური დაზვერვის — MI6-ის ხელმძღვანელის პოსტი დიდი ბრიტანეთის სამინისტროში პოლიტიკური და თანამეგობრობის საკითხების დირექტორმა რიჩარდ მურმა დაიკავა.**

რიჩარდ მური 2014-2018 წლებში ბრიტანეთის ელჩი იყო თურქეთში. არის ერდოღანის მეგობარი. ამბობენ, რომ თურქეთში ბრიტანეთის ელჩობისას არა მხოლოდ პირადად უჭერდა მხარს ერდოღანს, არამედ დიდად შეუწყო ხელი მის მოგზაურობას ლონდონში და მიღებას სამეფო სახლში.

მური ყველა ადგილობრივ მედიაში უჭერდა მხარს ერდოღანს და მის პარტიას. მიუხედავად ბრიუსელისა და ვაშინგტონის მხრიდან თურქეთის პრეზიდენტის მწვავე კრიტიკისა საგანგებო მდგომარეობის შემოღების, დაკავებების, სახელმწიფო გადატრიალებაში ეჭვმიტანილი ადამიანების წამების გამო, რიჩარდ მურის წყალობით, ლონდონი ანკარის უახლოესი მოკავშირე გახდა.

**მურს არასოდეს დაუმალავს, რომ თურქეთსა და თურქულ სამყაროში რეგიონული ოპერატორის დიდ პოტენციალს ხედავს, მათ შორის, რეგიონიდან რუსეთის, ჩინეთისა და გერმანიის განსადევნად.** რიჩარდ მური ჩავიდა ბაქოში, იცნობს აზერბაიჯანის ელიტას. აქტიურად სწავლობდა ვითარებას ჩრდილოეთ კავკასიაში, აფხაზეთში, წინააღმდეგია ქურთისტანის იდეისა და ქურთების. მური დაიბადა ლიბიაში და, როგორც ჩანს, სურს ლიბიაში თურქეთის გავლენის გაძლიერება და მართული კონფლიქტის სცენარი.

**ანკარაში დანიშვნამდე იყო ევროპის, ლათინური ამერიკისა და გლობალიზაციის საკითხების დირექტორი (2010-2012 წ.), აგრეთვე, ცვლილებების პროგრამების დირექტორი (2008-2010 წ.), მუშაობდა ვიეტნამში, თურქეთში (1990-1992 წ.), პაკისტანსა და მალაიზიაში; 2007 წელს — სტენფორდის საშემსრულებლო პროგრამაში.**

**სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ უახლოეს მომავალში მოსალოდნელია დიდი მოვლენები ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში.**

**bbc.com -ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**



# აშშ-ის სახელმწიფო ვალმა ეკონომიკის დაცემის ფონზე კატასტროფულად მოიმატა

**აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის სესხების მოცულობამ უზარმაზარ ზომებს მიაღწია, მაგრამ ვაშინგტონში ხელების ჩამოშვებას არ აპირებენ იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მშპ-ის დაცემის ტემპმა გასულ კვარტალში 33% შეადგინა.**

2020 წლის ბოლოს აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტმა შეიძლება 20% შეადგინოს, ამიტომ ამ ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ დაბეჭდა 2,75 ტრილიონი დოლარის ობლიგაციები. ივლისიდან სექტემბრამდე პერიოდში ბაზარზე გამოვა 947 მლრდ დოლარის ობლიგაციები, ოქტომბრიდან დეკემბრამდე კი — 1,21 ტრილიონის.

აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ახლა აუცილებელია მაქსიმალური მხარდაჭერა ეკონომიკისა, რომელიც ღრმა კრიზისში ჩაიძირა ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის გამო.

აღსანიშნავია, რომ, **2020 წლის აპრილის მონაცემებით, აშშ-ის სახელმწიფო ვალმა, რომელიც 23,7 ტრილიონ დოლარს შეადგენდა, მოიმატა და ახლა ის 26 ტრილიონი დოლარია.**

**polit.onfo.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## რენე მაგრიტის «შეყვარებულები» და ურთიერთობის პირბადე

ცნობილი ბელგიელი მხატვრის ქმნილება „შეყვარებულები" მნახველს აოცებს შეუსაბამობით. მამაკაცი და ქალი, კარგად ჩაცმულები, ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან. უცნაური არის ის, რომ მათ სახეზე შემოხვეული აქვთ ქსოვილის ნაჭერი. ექსპერტები ამ სიმბოლოებს ხსნიან ასე: ადამიანები ახლო ურთიერთობაშიც კი ცდილობენ, დამალონ თავიანთი გრძნობები. ემოციებისგან თავის შეკავება კი ადამიანებს აიძულებს, დაფარონ თავიანთი სახე. რენე მაგრიტის ნამუშევრები ადამიანს აიძულებს, გააანალიზოს მის სიცოცხლეში მომხდარი მოვლენები და მათ სხვებთან ურთიერთობას პრიზმაში დააკვირდეს.



# ცნობილი ნახატები საიდუმლო სიმბოლოებით

**სახელგანთქმული მხატვრები თავიანთ ნამუშევარში ზოგჯერ ფარულ აზრს დებდნენ სხვადასხვა სიმბოლოს სახით. გთავაზობთ რამდენიმე ასეთ ნახატს.**



## ლეონარდო და ვინჩის «საიდუმლო სერობა»

ლეონარდო და ვინჩის „საიდუმლო სერობაზე" ყველაზე ხშირად კამათობენ ის ადამიანები, რომლებსაც შეთქმულების თეორიების სწამთ და რომლებიც უამრავ საიდუმლო კოდს ხედავენ ამ ნამუშევარში. ლაპარაკი არ არის კრიპტოგრამებზე, რომლებიც, ცნობილი „და ვინჩის კოდის" ავტორ **დენ ბრაუნის** აზრით, იესო ქრისტეს ცხოვრების საიდუმლოებას ინახავს; არც იმ განცხადებაზე, რომ ნახატში დაფარულია მათემატიკური და ასტროლოგიური კოდი დღისა, როდესაც დაიწყება სამყაროს დასასრული (4006 წლის 21 მარტი).

ლეონარდომ თავის ნაწარმოებში კოდებთან ერთად შთამომავლობას დაუტოვა მუსიკალური ნაწარმოებებიც. „საიდუმლო სერობაში" გამოსახულ მაგიდაზე მიმოფანტულ ფუნთუშებში ერთი შეხედვით იდუმალი არაფერია, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ კომპეტენტურმა იტალიელმა სპეციალისტმა **ჯოვანი მარია პალამ** ნახატზე იპოვა... პარტიტურა. თუ ხელებსა და ფუნთუშებს წარმოვიდგენთ, როგორც ნოტებს, და ამ ნოტებს წავიკითხავთ მარჯვნიდან მარცხნივ (და ვინჩი ხშირად ასე წერდა), მივიღებთ 40-წამიან კომპოზიციას, რომელიც ჟღერს რეკვიემივით.





## კარავაჯოს «ბაქი»

„ბაქი" **კარავაჯოს** ყველაზე ცნობილი ნახატია. დღეს ის დაცულია უფიცის გალერეაში (ფლორენცია, იტალია). 1595 წელს შექმნილ ნახატზე გამოსახულია რომაული ღმერთი ბაქი (დიონისო) ბოკალი ღვინით. ის თითქოს თავისკენ იწვევს მნახველს ღვინის დასალევად.

ნახატზე იდუმალი თითქოს არაფერია, მაგრამ რამდენიმე წლის წინათ ექსპერტების ჯგუფმა თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით ნახატის ქვედა მარცხენა კუთხეში გამოსახულ ღვინის გრაფინში კარავაჯოს ძალიან პატარა ავტოპორტრეტი აღმოაჩინა.

## მიქელანჯელოს «ღმერთი აცალკევებს ნათელს უკუნისგან»



აღორძინების ეპოქის კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენლის, **მიქელანჯელოს,** ცნობილი შედევრი სიქსტის კაპელის ჭერზეა მოხატული. ეს გიგანტური ნახატი 9 სეგმენტად იყოფა და მათზე გამოსახულია ბიბლიური ისტორიები.

მიქელანჯელო იყო გენიოსი და აღორძინების ეპოქის ნამდვილი წარმომადგენელი — მხატვარი, სკულპტორი, არქიტექტორი და ამ ყველაფერთან ერთად ადამიანის ანატომიის შესანიშნავად მცოდნე.

თუ კარგად დავაკვირდებით ფრაგმენტს სახელწოდებით „ღმერთი აცალკევებს ნათელს უკუნისგან", დავინახავთ, რომ ღმერთის ყელი და ნიკაპი ძალიან ჰგავს ადამიანის ტვინს. რატომ მალავდა მიქელანჯელო ანატომიურ ჩანახატებს თავის ნამუშევრებში? ექსპერტთა აზრით, ეს იყო მიქელანჯელოს პროტესტი ეკლესიის მიმართ, რომელიც უარს ამბობდა მეცნიერული ფაქტების აღიარებაზე.

## მიქელანჯელოს «ადამის შექმნა»

როგორც ჩანს, მიქელანჯელო მოხიბლული იყო ადამიანის ტვინით. სიქსტის კაპელის სხვა პოპულარულ ფრაგმენტზე მან კიდევ გამოსახა ადამიანის ტვინი. ეს ნახატი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ადამის შექმნა", ალბათ, ყველას უნახავს, რადგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რელიგიური ნამუშევარია.



ღმერთი 12 ფიგურის გარემოცვაში ხელს უწვდის ადამიანს და ოდნავ ეხება მის ხელს, ასე გადასცემს ის ადამიანს სიცოცხლის ნაპერწკალს.

თავდაპირველად მიიჩნევდნენ, რომ კომპოზიცია მხოლოდ ალეგორიაა ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობაზე, მაგრამ, როცა ექსპერტებმა კარგად გააანალიზეს ნახატი, შენიშნეს, რომ ღმერთი და 12 ფიგურა გამოსახულნი არიან დახვეული მოსასხამის ფონზე, რომელიც ძალიან ჰგავს ადამიანის ტვინს.

და ეს არ შეიძლება იყოს უბრალო დამთხვევა, რადგან მიქელანჯელომ ნახატზე გამოსახა თავის ტვინის რთული ნაწილები — ნათხემი, მხედველობის ნერვი და ჰიპოფიზი.



## დროის უდაბნო დალის «მეხსიერების მუდმივობაში»

ეს ნახატი მნახველებში არაერთმნიშვნელოვან განცდებს იწვევს და ყოველთვის დააფიქრებს მათ საჭირბოროტო საკითხებზე. ლაპარაკია **სალვადორ დალის** „მეხსიერების მუდმივობაზე", რომელშიც შერწყმულია საგნების სიმტკიცე და მოქნილობა. დალის ქმნილება შთამბეჭდავია საგნების უცნაური ინტერპრეტაციით, როგორსაც ბუნებაში ვერ შეხვდებით.

უდაბნოს სივრცეში დამდნარი საათები ცვლილებების სიმბოლოს წარმოადგენს, სიკვდილთან შეხვედრას. ხის გამხმარი ტოტი, უდაბნოს დახეთქილი მიწა, შორს მდებარე მთები, ქსოვილის ნაჭერი და მიმობნეული საათები დროის გაკონტროლებისკენ სწრაფვის ქვეცნობიერ სურვილზე მიუთითებს.

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ნახატის ყველა დეტალი ერთმანეთთან სიკვდილის თემით არის დაკავშირებული.



## ვან გოგის «სიყვარული ასტრონომიისადმი»

**ვინსენტ ვან გოგმა** „ვარსკვლავებიანი ღამე" ერთ დღეში შექმნა. მასზე ასტრონომიული სიზუსტითაა გამოსახული მთვარე, ვენერა, პლანეტები. აღსანიშნავია, რომ ვან გოგმა ეს შედევრი დღისით, მზის შუქზე დახატა, ციური სხეულები ცის კაბადონზე კი ზუსტად იმეორებს მათ განლაგებას იმავე ღამეს.

ვან გოგი დაინტერესებული იყო ასტრონომიით და ღრმად იყო ჩახედული მეცნიერების ამ სფეროში.

## მონდრიანის «ბუგი-ვუგი ბროდვეიზე» და ქალაქის პეიზაჟი



**პიტ მონდრიანის** „ბუგი-ვუგი ბროდვეიზე" კვადრატში მოთავსებული ხაზებისა და წერტილების რიგებია. ეს არის მანჰეტენის (ნიუ-იორკის ცენტრი, კუნძული) ე.წ. სქემა ბუგი-ვუგის ჰანგებზე. ნახატი შესრულებულია მხატვრისთვის დამახასიათებელი სტილისტური მანერით. მონდრიანი თავის ნამუშევრებში იყენებდა მხოლოდ რამდენიმე ძირითად ფერს: შავს, თეთრს, ნაცრისფერს, აგრეთვე, სწორ ხაზებსა და წერტილებს. მხატვრობის ამ მიმართულებას ნეოპლასტიციზმს უწოდებენ და აბსტრაქციონიზმის განშტოებად ითვლება.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ეს პრესტიჟული ჯილდო ყველაზე მეტჯერ მოიპოვა „ბარსელონას“ არგენტინელმა ფორვარდმა ლიონელ მესიმ. მის ანგარიშზე 6 „ოქროს ბუცია“ (2010, 2012, 2013, 2017, 2018, 2019 წწ.). სხვათა შორის, მას ამდენივე „ოქროს ბურთი“ — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი — აქვს თავის აქტივში.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 2020 წელს «ოქროს ბუცს» იტალიელი ჩირო იმობილე დაეუფლა

## პრესტიჟული ჯილდოს ისტორია და რეკორდები

**2019-2020 წლების სეზონში, წამყვანი საფეხბურთო ჩემპიონატების შედეგების მიხედვით, ევროპის საუკეთესო ბომბარდირის ტიტული და, შესაბამისად, „ოქროს ბუცი“ მოიპოვა იტალიური კლუბის, რომის „ლაციოს“, თავდამსხმელმა ჩირო იმობილემ, რომელმაც 72 ქულა დააგროვა.**

აი „ოქროს ბუცი-2020“-ის ძირითადი პრეტენდენტები:

1. ჩირო იმობილე („ლაციო“) — 36 გოლი, 72 ქულა;
2. რობერტ ლევანდოვსკი („ბავარია“) — 34 გოლი, 68 ქულა;
3. კრიშტიანუ რონალდუ („იუვენტუსი“) — 31 გოლი, 62 ქულა;
4. ტიმო ვერნერი („ლაიფციგი“) — 28 გოლი, 56 ქულა;
5-6. ლიონელ მესი („ბარსელონა“) — 25 გოლი, 50 ქულა;
5-6. ერლინგ ჰოლანდი („ბორუსია, დორტმუნდი, ზალცბურგი“) — 29 გოლი, 50 ქულა;
7-8. რომერო ლუკაკუ („ინტერი“) — 23 გოლი, 46 ქულა;
7-8. ჯეიმი ვარდი („ლესტერი“) — 23 გოლი, 46 ქულა.






ჩირო იმობილე

### როდის დააწესეს „ოქროს ბუცი“

ეს პრესტიჟული ჯილდო 1968 წელს დააწესა ფრანგულმა სპორტულმა გაზეთმა L'Equipe-მ კომპანია „ადიდასთან“ ერთად. ჯილდო გადაეცემოდა საუკეთესო ბომბარდირს იმ ჩემპიონატებისა, რომლებიც უეფას სარეიტინგო სიაში მოხვდებოდნენ. ჯილდოს ორგანიზატორებს თავდაპირველად გათვალისწინებული არ ჰქონდათ განსხვავება ეროვნული ჩემპიონატების დონეებს შორის.

„ოქროს ბუცის“ პირველი მფლობელი იყო ლისაბონის „ბენფიკას“ ფორვარდი **ეისებიო** (ეუზებიუ და სილვა ფერეირა) — მოზამბიკური წარმოშობის პორტუგალიელი ფეხბურთელი, რომელმაც 42 ბურთი გაიტანა პორტუგალიის ჩემპიონატში. ეისებიომ ორჯერ მოიპოვა ევროპის საუკეთესო ბომბარდირის წოდება — 1968 და 1973 წლებში.

### რა მოხდა 1991 წელს

1991 წელს L'Equipe-მ უარი განაცხადა „ოქროს ბუცის“ გადაცემაზე იმ კლუბების მაქინაციების გამო, რომელთა ფეხბურთელებიც პრეტენზიას აცხადებდნენ პრესტიჟულ ჯილდოზე. იმხანად კვიპროსის ფედერაციამ განაცხადა, რომ საუკეთესო ბომბარდირობის პრიზი უნდა გადაეცათ არა იუგოსლავიური „ცრვენა ზვეზდას“ ფორვარდ **დარკო პანჩევისთვის,** არამედ კვიპროსის ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელისთვის, რომელმაც 40 ბურთი გაიტანა. თანაც, ოფიციალური მონაცემებით, პანჩევმა სეზონში 34 ბურთი გაიტანა, კვიპროსის ჩემპიონატის ყველაზე შედეგიანმა ფეხბურთელმა კი — 19. პანჩეკს „ოქროს ბუცი“ მაინც გადაეცა, ოღონდ 15 წლის შემდეგ — 2006 წელს.

1992-1996 წლებში პრიზმა ოფიციალური სტატუსი დაკარგა და მას მხოლოდ კომპანია „ადიდასის“ ეგიდით გადასცემდნენ. 1997 წლიდან „ოქროს ბუცის“ მეორე ორგანიზატორი გახდა ევროპის სპორტული გამოცემების გაერთიანება ESM-ი (European Sports Magazines), რომელმაც შეცვალა გამარჯვებულის გამოვლენის სისტემა და ჯილდოს ოფიცილური სტატუსი დაუბრუნა.

ახალი წესებით, **გატანილი ბურთების რაოდენობას ამრავლებენ რეიტინგზე ჩემპიონატისა, რომელშიც გამოდიოდა ფეხბურთელი, გამარჯვებული კი გამოვლინდება დაგროვილი ქულების რაოდენობით. უეფას ვერსიით, ევროპის 5 ყველაზე ძლიერ ჩემპიონატში გატანილი ბურთი 2 ქულად ფასდება, უეფას სარეიტინგო სიაში მე-6-დან 21-ე ადგილებზე მყოფი ქვეყნების ჩემპიონატში გატანილი ბურთი — 1,5 ქულად, დანარჩენ ჩემპიონატებში გატანილი — 1 ქულად. ESM-ის მიერ შემუშავებული საუკეთესო ბომბარდირის გამოვლენის სისტემა დღესაც მუშაობს.**

### „ოქროს ბუცის“ რეკორდსმენები

პრესტიჟული ჯილდო ყველაზე მეტჯერ მოიპოვა „ბარსელონას“ არგენტინელმა ფორვარდმა **ლიონელ მესიმ.** მის ანგარიშზე 6 „ოქროს ბუცია“ (2010, 2012, 2013, 2017, 2018, 2019 წწ.). სხვათა შორის, მას ამდენივე „ოქროს ბურთი“ — ევროპის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი პრიზი — აქვს თავის აქტივში.

**მესი ერთადერთი ფეხბურთელია ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ 3 სეზონში მოიპოვა ეს ჯილდო. ამას გარდა, მესი ერთადერთია, ვინც სეზონში 50 გოლი გაიტანა და 100 ქულა დააგროვა (2011-2012 წწ.).**

ჯილდოების რაოდენობით მეორეა პორტუგალიელი **კრიშტიანუ რონალდუ,** რომელიც ახლა ტურინის „იუვენტუსის“ ღირსებას იცავს, ჯილდოები კი „მანჩესტერ იუნაიტედსა“ (ერთხელ) და მადრიდის „რეალში“ (სამჯერ) თამაშისას მოიპოვა.

მესი და რონალდუ — მხოლოდ ამ ფებხბურთელებმა მოიპოვეს ორჯერ და მეტჯერ „ოქროს ბუცი“.

ევროპის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი 2-ჯერ მოიპოვა 8 ფეხბურთელმა: **ეისებომ (1968, 1973), გერდ მიულერმა (1970, 1972 ), დუდუ ჯორჯესკუმ (1975, 1977), ტიერი ანრიმ (2004, 2005), დიეგო ფორლანმა (2005, 2009), ლუის სუარესმა (2014, 2016), ფერნანდეუ გომეშმა (1983, 1985), მარიო ჟარდელმა (1999, 2002).**

### საინტერესო ფაქტები

* ყველაზე ხშირად „ოქროს ბუცის“ მფლობელები იყვნენ „ბარსელონას“ ფეხბურთელები — **მესი** — 6-ჯერ, **რონალდო** და **სუარესი.** მეორე ადგილზეა „მადრიდის“ რეალი: რონალდუ — 3-ჯერ, უგო სანჩესი — ერთხელ.

* „ოქროს ბუცის“ მფლობელები ყველაზე მეტჯერ (15-ჯერ) იყვნენ ესპანეთის ჩემპიონატის ფეხბურთელები; მეორე ადგილზე არიან პორტუგალიელები (7-ჯერ), მესამეზე — ინგლისის ჩემპიონატის მონაწილეები.

* 1990, 2005 და 2014 წლებში „ოქროს ბუცი“ გადაეცა ორ ფეხბურთელს: 1990 წელს — **ხრისტო სტოიჩკოვსა** და **უგო სანჩესს,** 2005 წელს — **ტიერი ანრისა** და **დიეგო ფორლანს,** 2014 წელს — **კრიშტიანუ რონალდუსა** და **ლუის სუარესს.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**


ლიონელ მესი


ეისებიო — „ოქროს ბუცის“ პირველი მფლობელი


კრიშტიანუ რონალდუ

# 30 წელზე მეტია, საქართველოში ამერიკული პოლიტიკური კორონავირუსი დათარეშობს ანუ საქართველო პოლიტიკურ მინიატურებში

**მე, 91-ე წელში გადაბიჯებული პოლიტოლოგი, მკითხველს განსჯისთვის საქართველოს ცხოვრების ამსახველ პოლიტიკურ მინიატურებს ვთავაზობ:**



**1.** 30 წელზე მეტია, საქართველოში ამერიკული პოლიტიკური კორონავირუსი დათარეშობს. დღეს ამ ვირუსისგან თავის დაღწევა უკიდურესად გართულებულია, რადგან საქართველო თავის ხელისუფლებიანად აშშ-ის დოლარებზეა გაყიდული;

**2. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ბატონი დავით ზალკალიანი, ისეთი თავგამოდებით ეტრფის და ეთაყვანება ნატოს სამხედრო ორგანიზაციას, რომ, მგონი, მზეთუნახავი ასული ჰგონია ქართული სახელით — ნატო;**

**3.** დღეს საქართველოში აშკარაა ფასეულობათა გაუფასურება, ისტორიის ფალსიფიცირება, განუკითხაობა, სიცრუე-სიყალბეთა კორიანტელი, ეროვნული გრძნობების დაკნინება და ა.შ. და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო?

**4. აშშ-ის ელჩი, ქალბატონი კელი დეგნანი თავს ისეთი მზრუნველობით დაგვტრიალებს, როგორც დედა — ჩვილს; მადლობა ეთქმის, არა? ნუთუ ასეთი პაწიები და უსუსურები ვართ? გამოვფხიზლდეთ!**

5. საქართველო არ არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო; მას ვაშინგტონი, ბრიუსელი, სტრასბურგი თუ ვენეციის კომისია ისე აგუნდავებენ და აბრტყელებენ ხელიდან ხელში, როგორც დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.

**6. აშშ-მა საქართველო ბელურას ბუდეში მჯდარ იმ პირდაღებულ ბარტყს დაამსგავსა, რომელიც დედისგან საკვებს ელოდება; ამ დასკვნამდე მას შემდეგ მივედი, როცა გვამცნეს — აშშ მრავალმილიონიან ახალ დახმარებას გვპირდებაო; ოღონდ ამ გადაწყვეტილებამ, სინამდვილედ რომ იქცეს, თურმე განხილვის რამდენიმე საფეხური უნდა გაიაროს; ჰოდა, საბოლოო გადაწყვეტილებას პირდაღებული ველოდებით; ვაი, ჩვენს თავს უბედურს!**

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან**

# ევროკავშირთან ურთიერთობის 6-მა წელიწადმა მოლდოვას მხოლოდ ზარალი მოუტანა



**„მოლდოვამ 2014 წელს მოიპოვა ევროკავშირის ასოცირებული წევრის სტატუსი და დნეპრისპირეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალური წარმომადგენლობაც კი გახსნა. კიშინიოვმა ირწმუნა, რომ უკეთესი მომავალი ექნებოდა ევროკავშირთან ერთად, მაგრამ 6 წლის შემდეგ შენიშნა, რომ ყველაფერი სხვანაირადაა“, — წერია ინტერნეტგამოცემა „ეხო მოლდოვაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.**

თუ გასულ წლებს გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ **მოლდოვას არაფერი მიუღია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, მას ადგილიც კი არ აქვს საერთო ევროპულ ბაზარში, სამაგიეროდ, ქვეყანა მტკიცედ მიება ე.წ. დასავლურ სამყაროს და გაირთულა მოძრაობა ევრაზიის ეკონომიკური კავშირისკენ, რომელშიც მოლდოვას რეალური პერსპექტივა აქვს.**

რა თქმა უნდა, რაღაც გარდაქმნები მოხდა მოლდოვის ეკონომიკაში, ქვეყანამ დაიწყო იაფი ნახევარფაბრიკატების იმპორტი, მაგრამ ის ნახევარფაბრიკატები თავიდანვე განკუთვნილი იყო ე.წ. მესამე სამყაროს ღარიბი ქვეყნებისთვის და არა ევროპისთვის. აგრეთვე, მოლდოვა იქცა არც ისე ხარისხიანი ლუდის იმპორტიორად. **ექვსი წელი გავიდა და ქვეყანაში ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესებას საშველი არ დაადგა. სამაგიეროდ, აშკარაა ევროინტეგრაციის უარყოფითი გავლენა მოლდოვის ეკონომიკაზე.**

„რესპუბლიკაში წარმოება დიდწილად ორიენტირებული იყო რუსეთის ბაზარზე. მოლდოვას შეეძლო ვაჭრობა საბაჟო მოსაკრებელის გადახდის გარეშე, იმიტომ, რომ დსთ-ის სივრცეში თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების წევრი იყო. ეს ძალიან ხელსაყრელი გახლდათ ადგილობრივი მეწარმეებისთვის, მაგრამ ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა — ურთიერთობები გაფუჭდა, მოლდოველი მეწარმეები ახლა ბაჟს იხდიან საზღვარზე, ბევრმა დაკარგა თავისი ბიზნესი და მხოლოდ შარშან შეძლო ქვეყანამ პრეზიდენტ **იგორ დოდონის** ძალისხმევით პროდუქციის ნაწილის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე“, — წერს ინტერნეტგამოცემა.

რაც შეეხება მოლდოვის პრეზიდენტს, მას, უკვე დიდი ხანია, აღარ აქვს ილუზიები ქვეყნის ევროპულ მომავალზე, რადგან მიაჩნია, რომ ევროპას თავისი პრობლემებიც საკმარისზე მეტი აქვს, ისევე, როგორც ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირში გაწევრების რიგში დგანან. დოდ?ნის აზრით, აღმოსავლეთს აქვს რეალური ეკონომიკური უპირატესობა: **უზარმაზარი ბაზარი, რომლის შედარებაც კი არ შეიძლება ევროპულთან; იაფი ენერგორესურსები და სამუშაო ადგილები მოლდოვ?ს მოქალაქეებისთვის.**

„მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება არ გამორიცხავს თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას მოლდოვასა და სხვა ქვეყანას შორის, ევროკავშირი ყოველთვის წინააღმდეგია კიშინიოვის დაახლოებისა ევრაზიულ სტრუქტურებთან“, — წერს გამოცემა.

**Top4man.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**ექვსი წელი გავიდა და ქვეყანაში ეკონომიკის მდგომარეობის გაუმჯობესებას საშველი არ დაადგა. სამაგიეროდ, აშკარაა ევროინტეგრაციის უარყოფითი გავლენა მოლდოვის ეკონომიკაზე**




# შვეიცარიელები ფანტასტიკურ საცავს აშენებენ მდიდრებისთვის

**შვეიცარიის ალპებში, მთა ბრიუნიგის სიღრმეში, შვეიცარიული კომპანია გიგანტურ საცავს (სეიფს) ააშენებს მდიდრებისთვის. დიდძალი ფულის გადახდის შემდეგ აქ შეიძლება შეინახოთ ნებისმიერი ფასეულობა — ბრილიანტებით დაწყებული, საკოლექციო ავტომობილებით დამთავრებული. ისინი საიმედოდ იქნება დაცული მთის სიღრმეში.**



შვეიცარია ყოველთვის იყო მსოფლიო ბანკი — ადგილი, სადაც მდიდრები ინახავენ თავინთ ქონებას, მაგრამ ახლა შვეიცარიელებს ახალ დონეზე აჰყავთ ბანკების უსაფრთხოება. ისინი მდიდრებს სთავაზობენ ქონების საიმედოდ შენახვას ალპებში. სეიფი-საცავი, რომლის გეგმაც ახლახან წარუდგინეს საზოგადოებას, განლაგდება ლიუცერნთან ახლოს, მთა ბრიუნიგის შიგნით. მსურველები ნახევარ მილიონ დოლარად მიიღებენ სეიფის გიგანტურ ნაკვეთურს, რომელშიც შეინახავენ ყველაფერს — დოკუმენტებს, ძვირფასეულობას, ხელოვნების ნაწარმოებებსა და ავტომობილებსაც კი. **გიგანტური სეიფის მშენებლობა, რომელიც 7,5 მლნ დაჯდება, 2021 წელს დაიწყება.**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894